PRIME Time

N22 (272) ორშაბათი, 9 ივნისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი · ფასი 2 ლარი · www.ptpress.ge






მიხეილ ყაველაშვილის ორმილიონიანი პროგნოზი „ევროპაბეთში“

EXCLUSIVE

## „ევროპაბეთის“ უპრეცედენტო გათამაშება - გამოიცანი 36 თამაში და მოიგე ორი მილიონი

## მორიგი სკანდალი ციხეში



პატიმრები შიმშილობით იმუქრებიან

EXCLUSIVE



რა ძალები ცდილობენ ანტიდისკრიმინაციული კანონის დისკრედიტაციას

EXCLUSIVE



**ეკა ბესელია:**
„დღეს რომ თენგიზ გუნავა კენჭს იყრის, ეს არის ცინიზმი. ვფიქრობ, გამოძიებამ სერიოზულად უნდა იმუშაოს და დაადგინოს, ვინ იყო ის თანამდებობის პირი, რომელიც ასეთ ბრძანებებს იძლეოდა“

EXCLUSIVE



„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მარნეულში ახალი საწარმო – „ლომთაგორა“ გაიხსნა

# რა წინადადება მიიღო მარგველაშვილმა სააკაშვილისგან EXCLUSIVE

## რით აშანტაჟებს ექსპრეზიდენტი მარგველაშვილს?

# „პრაიმტაიმს“ სკანდალური შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს



## „ნაციონალების“ მხარეს მარგველაშვილის „გადაქაჩვაში“ აქტიური როლი ვანო მაჭავარიანს დაეკისრება

# ღუდუშაურის კლინიკა სკანდალში ეხვევა

## აკრძალული ინტერვიუ გირგვლიანის საქმეზე

EXCLUSIVE

- რა უამბო სასამართლოს საქმის ერთადერთმა მოწმემ
- რას ითხოვს ადვოკატი



„პასუხი უნდა აგოს მაშინდელმა პროკურორმა, ღვინიაშვილმაც და მოსამართლემ, გიორგი ჩემიამაც, რომელმაც, სავარაუდოდ, შეასრულა ხელისუფლების დავალება“

## „რესპუბლიკურ პარტიას“ მძიმე ბრალდებას უყენებენ



„გადაწყდა, რომ ამ თანხას იმ ორგანიზაციებს გაუნაწილებდა, რომლებიც „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ იმუშავებდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმატება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გამოფენაზე

ნანა შონია

**საუკეთესო სტენდი და საუკეთესო მარკეტინგული კამპანია - ამ ტიტულებით კორეის რესპუბლიკაში (სამხრეთ კორეა) საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დაჯილდოვდა. ქალაქ სეულში ტურისტული გამოფენა-ბაზრობა „KOTFA 2014" 29 მაისს -1 ივნისს გაიმართა. სადაც ტურიზმის ადმინისტრაციასთან ერთად გამოფენაში 6 ტურისტული კომპანია მონაწილეობდა.**



„KOTFA 2014" მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა-ბაზრობაა, რომელსაც წელს 59 ქვეყნის 120 ათასზე მეტი სტუმარი დაესწრო.

რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა, რამდენად გაზრდის ეს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და როგორ ემზადება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მსგავსი ღონისძიებებისთვის ამის შესახებ „პრაიმტაიმს" ტურიზმის სფეროში მომსახურების მიმწოდებლებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ირინა დიასამიძე და საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს სპეციალისტი ინგა ლეკიაშვილი ესაუბრნენ.

**ირინა დიასამიძე, ტურიზმის სფეროში მომსახურების მიმწოდებლებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი:** - სამხრეთ კორეაში წელს ჩატარებული საერთაშორისო გამოფენა KOTFA, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე ერთ -ერთი ყველაზე მასშტაბურია. ეს არის გამოფენა, სადაც სტუმრები მსოფლიოს 59 ქვეყნიდან მონაწილეობენ. საქართველო, კერძოდ კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ამ გამოფენაზე, წელს პირველად იყო წარმოდგენილი, ქართულ ბაზარზე არსებულ 6 ტურისტულ კომპანიასთან ერთად. მსგავსი გამოფენებიდან საქართველო ყოველთვის წარმატებით ბრუნდებოდა თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ კორეის გამოფენაში მონაწილეობას პირველად ვიღებდით და არ მოველოდით ასეთ წარმატებას. 29 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით პერიოდში, მთელი 4 დღის მანძილზე, ქართულ სტენდთან დილიდან საღამომდე დამთვალიერებელთა რაოდენობა არ წყდებოდა. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ჩვენი კუთხე 100 ათასზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა, რაც ძალიან სასიამოვნოა. აღსანიშნავია, რომ გამოფენის ორგანიზებაში და წარმატებულად განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის სეულში საქართველოს საელჩოს, პირადად ელჩს ბატონ ნიკოლოზ აფხაზავას. მათი მხარდაჭერით ქართულიდან კორეულ ენაზე ითარგმნა საქართველოს ზოგადი ბროშურა და რუკა. საელჩო აქტიურად იყო ჩართული გამოფენის ორგანიზატორებთან მოლაპარაკებებში სტენდის მდებარეობის, ფინანსური შეღავათებისა და საქართველოს პოპულარიზაციის კუთხით.

**- თქვენ ახსენეთ 6 ტურისტული კომპანია, თუ შეგიძლიათ თქვათ რომელი კომპანიები იყვნენ და როგორ ხდება მათი შერჩევა?**

- გამოფენაზე მონაწილეობა მიიღო ექვსმა ტურისტულმა კომპანიამ, Travel Shop, Visit Georgia, Georgica Travel, Trawellin, Caucasus Travel, Tika Tours. ყოველი წლის ბოლოს, დეკემბერში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში დგება მომავალი წლის გამოფენების გეგმა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს სხვადასხვა გამოფენებში ვიღებთ მონაწილეობას. შეზღუდული რაოდენობის კუთხით ჩვენთან ტუროპერატორები არ არიან. ისინი თავად ირჩევენ რომელ გამოფენებში მიიღონ მონაწილეობა და რომელია მათთვის პრიორიტეტული. ეს თავად ტუროპერატორებზეა დამოკიდებული.

**- რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს მსგავსი გამოფენები ტურიზმის განვითარების კუთხით?**

- ამდაგვარი გამოფენები მიზნად ისახავს საქართველოს პოზიციონირებას ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე და ხელს უწყობს ტურისტების ნაკადის ზრდას საქართველოში.

გამოფენის ფარგლებში მონაწილე ტურისტული კომპანიები აწარმოებენ შეხვედრებს ადგილობრივ კომპანიებთან და მათი დახმარებით იგეგმება ტურები.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გამოფენის დროს დაიგეგმა ტური. ეს გამოფენა იყო საპილოტე, საიდანაც დიდი წარმატებით დავბრუნდით, აქედან გამომდინარე იგეგმება სამომავლოდ სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები კორეის ტურისტულ ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, კორეელი ტურისტების რაოდენობა, ამ ერთი წლის მანძილზე, 38 % გაიზარდა. წელს კი უფრო მეტ ტურისტს ველით.

**- რომ გვითხრათ, რომელი ადგილების მიმართ იჩენდნენ უცხოელი ტურისტები უფრო მეტ ინტერესს?**

- ქართული სტენდის მიმართ საკმაოდ დიდი ინტერესი იყო. ყველაზე მეტი კითხვა მაინც სეზონთან დაკავშირებით ისმებოდა. კორეელ ტურისტებს აინტერესებთ რამდენი სეზონი გვაქვს საქართველოში. ჩვენ მათ ვუხსნიდით, რომ საქართველოში გვაქვს ოთხივე სეზონი. მოგეხსენებათ, კორეაში ასე არ არის. ამიტომაც ვუხსნიდით თუ ვთქვათ ზამთარში გინდათ თხილამურები, ზამთრის კურორტების შეთავაზება შეგვიძლია. ხაზს ვუსვამდით იმასაც, რომ გვაქვს კურორტი სადაც შეგიძლიათ წახვიდეთ ზაფხულში, ისრიალოთ და ასევე ზღვაზე იბანაოთ. ძალიან დიდი ინტერესი იყო ღვინის ტურიზმის მიმართ. ინტერესი იყო ყველა კურორტის მიმართ და ასევე იყო ინდივიდუალური.





„KOTFA 2014"-ზე საქართველო სამი „სტენდით" იყო წარმოდგენილი, ბუკლეტები, ფოტოები, ქართული ღვინო, ჩურჩხელა და ტყლაპი, სწორედ ასე უმასპინძლდებოდნენ ტუროპერატორები გამოფენაზე მისულ დამთავლიერებელს. ამ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობამ გაზარდა საქართველოს ცნობადობა, დააინტერესა ადგილობრივი მოსახლეობა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. გარდა ამისა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიის როლი. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორის ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს სპეციალისტი, ინგა ლეკიაშვილი ამბობს, ამ გამოფენის შესახებ დამთვალიერებელს ინფორმაცია წინასწარ რამდენიმე თვით ადრე მომზადებული სიუჟეტის მიხედვით შეექმნა და შედეგმაც არ დააყოვნა.



**ინგა ლეკიაშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს სპეციალისტი:** - ამ გამოფენამდე რამდენიმე თვით ადრე ჩვენ მოვაწყვეთ პრეს-ტური და ამის ფარგლებში მომზადდა სიუჟეტი, რომლის ეთერში გასვლამ და ჩვენი საელჩოს მიერ ადგილზე ნაწარმოებმა კამპანიამ საკმად დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს წარმატებაზე. გამოფენის ფარგლებში შედგა შეხვედრა ერთ-ერთ რეიტინგულ გამომცემლობასთან „Global Travel News"-ი, სადაც დაიბეჭდება ვრცელი ინტერვიუ საქართველოს შესახებ, ასევე შედგა შეხვედრა „Innovative Marketing Korea"-ს წარმომადგენელთან. მნიშვნელოვანი იყო ასევე პირდაპირი ჩართვა საქართველოს სტენდიდან, სადაც წამყვანმა ტელევიზიამ ჩაწერა ინტერვიუ საქართველოს შესახებ, რომელიც გაშუქდა პირდაპირ ეთერში, როგორც ტელევიზიაში, ასევე ინტერნეტში (Hankyung.com). ზემოხსენებულ გამოფენაზე აქტუალური იყო Kotfa-ს ყოველდღიური ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად, ინტერვიუების საფუძველზე იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს შესახებ, ხოლო ერთ-ერთ ჟურნალში საქართველოს მიეძღვნა სრული გვერდი. შედგა შეხვედრა ერთ-ერთ რეიტინგულ გამომცემლობასთან „Fortune Korea", სადაც დაიბეჭდება სტატია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. ასევე ინტერვიუს საფუძველზე, დაიბეჭდება სტატია ჟურნალ „The Korea Travel Times"-ში. დიდი ინტერესი იყო ასევე ადგილობრივი ბლოგერების მხრიდან, რომელთაც სურთ საქართველოს მონახულება და საქართველოს ტრადიციებზე და კულტურაზე სტატიების მომზადება, შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ბლოგერების ასოციაციის წევრი (blog.naver.com). „Triple Travel People"-ის ონლაინ ჟურნალის რედაქტორმა გამოთქვა სურვილი ინტერვიუს ჩაწერაზე, სადაც გაშუქდება ინტერვიუ საქართველოს შესახებ. რეიტინგული ჟურნალები „Korea Tourism News", „The transport and travel times", „Baum Architects" და „Ab-Road" ინტერვიუების საფუძველზე გამოაქვეყნებენ სტატიებს საქართველოს ტრადიციებზე და კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე. გამოფენის ფარგლებში იწერებოდა სტატიები საქართველოს წარდგენასთან დაკავშრებით Kotfa-ს გამოფენა-ბაზრობაზე წამყვან ონლაინ ჟურნალებში: „tournews21.com, gtn.co.kr, anewsa.com". გამოფენის ფარგლებში მოეწყო გალა-ვახშამი სპეციალურად საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სახელით, სადაც მოწვეულნი იყვნენ წამყვანი მედიის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობით და საქართველოს შესახებ ინფორმაცისს გავრცელებით.

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას წლის წარმატებული ტურისტული გამოფენის შემდეგ წინ კიდევ 4 მსოფლიო გამოფენა ელოდება. სექტემბერში გამოფენა ტოკიოში, ოქტომბერში პოლონეთში, (პოზმანი) ნოემბერში ლონდონსა და ბარსელონაში გაიმართება.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრაიმტაიმს“ სკანდალური შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს



## „ნაციონალების“ მხარეს მარგველაშვილის „გადაქაჩვაში“ აქტიური როლი ვანო მაჭავარიანს დაეკისრება



## რით აშანტაჟებს ექსპრეზიდენტი მარგველაშვილს?



# რა წინადადება მიიღო მარგველაშვილმა სააკაშვილისგან

EXCLUSIVE

ნანა შონია

**„ნაციონალურ მოძრაობასა“ და ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შორის აქტიური თანამშრომლობის შესახებ საზოგადოებისთვის არაერთხელ გახდა ცნობილი. „ნაციონალებს“ რომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად საკუთარი გეგმა აქვთ და ყველაფერს აკეთებენ ამ გეგმის განსახორციელებლად, ამას არც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მალავენ. ამჯერად, შესაძლოა, საქმე მორიგ სკანდალთან გვქონდეს. საქმე ეხება პრეზიდენტ მარგველაშვილის უკრაინაში ვიზისა და იმ სკანდალურ გეგმას, რომელშიც პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში ვანო მაჭავარიანია ჩართული.**

ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის, ჩვენი წყაროს მეშვეობით გახდა ცნობილი, მარგველაშვილის გადაბირებას ეხება.

„პრაიმტაიმის“ წყაროს ცნობით, უკრაინაში პოროშენკოს ინაუგურაციის დროს, კიევში შედგა საიდუმლო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დავით ბაქრაძემ, სააკაშვილის და ბოკერიას დაქირავებულმა ლობისტმა რაფაელ გლუკსმანმა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა მარგველაშვილის ადმინისტრაციის თანამშრომელი ვანო მაჭავარიანი. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ უნდა მოხდეს მარგველაშვილის გადაქაჩვა, „ნაცების“ თამაშში ჩართვა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენება. მარგველაშვილმა თანხმობა განაცხადა, ვანო მაჭავარიანმა სააკაშვილს მარგველაშვილის თანხმობა გადასცა. გადაწყდა, რომ ამერიკელი ლობისტების, რაფაელ გლუკსმანის ხელშეწყობითა და ვიქტორია ნურლანდის დახმარებით შედგებოდა ბაიდენთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა.

შეხვედრის მიზანი მარგველაშვილის ამბიციების გაღრმავება, „გაგიჟება“ და ნაცების მხარეს „გადაქაჩვა“ იყო. როგორც შემდგომში ვნახეთ, შედგა ხუთწუთიანი შეხვედრა ფეხზე დგომით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მარგველაშვილის პიროვნებას არასერიოზულად უყურებს, ვინაიდან ამერიკის მხარემ კარგად იცის, რომ რეალური ხელისუფლება საქართველოში პრემიერს აქვს და ის წყვეტს ყველა საკითხს.

ანუ ეს შეხვედრა ბაიდენთან იყო ფორმალური და არაფრისმომცემი, მაგრამ სააკაშვილისთვის მთავარი ამოცანა შესრულებულია. ჩვენი წყაროს ცნობით, სააკაშვილს სჭირდებოდა ამ შეხვედრის დაფიქსირება, იმისთვის რომ განხორციელდეს მარგველაშვილის „გაგიჟების“ გრძელვადიანი გეგმა.

„ნაციონალების“ მხარეს მარგველაშვილის გადაქაჩვაში აქტიური როლი დაეკისრება ვანო მაჭავარიანს.

ამავე წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილმა და ნაციონალების ლიდერებმა დაგეგმეს მარგველაშვილის „დავერბოვკების“ ანალოგიური სცენარი, ამჯერად საფრანგეთში. საქმე ეხება შემდეგს: ფრანსუა ოლანდის საქართველოში ვიზიტის დროს ოლანდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მარგველაშვილის ადმინისტრაციის მხრიდან გადაეცა თხოვნა, რომ მოხერხებული იყო მარგველაშვილის მიწვევა 14 ივლისს საფრანგეთში ბასტილიის აღების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე. საფრანგეთში ამ საკითხის მოგვარებაში რაფაელ გლუკსმანი ჩაერთო.

რაფაელ გლუკსმანის მეშვეობით მოვიდა ფორმალური ხასიათის მოწვევა, რომლის ფრანგულ ორიგინალურ ვერსიაში ოლანდი მიმართავს მარგველაშვილს, რომ 14 ივლისს საქართველოს მხარე პარიზში იყოს წარმოდგენილი და ფორმალურად ითხოვდნენ წარმომადგენლის გაგზავნას 14 ივლისის ღონისძიებაზე დასასწრებად. მაგრამ ამ მოწვევაში დიპლომატიურ ენაზე არ იგულისხმებოდა მარგველაშვილი, თუმცა აქ უკვე ჩაერთვნენ რაფაელ გლუკსმანი და ნაციონალები. რაფაელ გლუკსმანის მეშვეობით ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, არასწორი თარგმანით, საელჩოს დაადასტურებინა, რომ თითქოს საფრანგეთი საქართველოს პრეზიდენტს იწვევდა.

საფრანგეთში მარგველაშვილის „დავერბოვკების“ სცენარი კიევის სცენარის იდენტურია და გულისხმობს მარგველაშვილის ბოლომდე მიბმას და, საბოლოო ჯამში, საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირების რეჟიმში გადაყვანას.

ასევე, წყარომ გვითხრა, რომ სააკაშვილს ხელში ჩაუვარდა მარგველაშვილის მაკომპრომეტირებელი სკანდალური ვიდეომასალა, კერძოდ, მარგველაშვილის ჩეხეთში ვიზიტის ამსახველი სკანდალური სცენები. სააკაშვილი აპირებს, ყველა კომპრომატის გამოყენებით მართოს მარგველაშვილი და სათავისოდ გამოიყენოს. წყარო ასევე გვეუბნება, რომ კიევში ჩასული მარგველაშვილი ფარულად შეხვდა სააკაშვილს, რაფაელ გლუკსმანსა და საფრანგეთის ყოფილ ელჩს საქართველოში ერიკ ფურნიეს. ეს ის ფურნიეა, რომელიც 26 მაისის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ სააკაშვილის ქმედებები მიტინგის დაშლის დროს აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილს ფურნიესთვის დიდი ფული ჰქონდა გადახდილი და მასვე ფურნიეზე ჰქონდა კუდ-ის მიერ გადაღებული ფარული მაკომპრომეტირებელი მასალები.

ამ ეტაპზე სააკაშვილის გეგმა მარგველაშვილის „დავერბოვკების“ თაობაზე წარმატებით ხორციელდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „გიკრძალავთ ამ ინტერ

## ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის ფსიქოპორტრეტი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში

მარიამ ნადირაძე

**მას შემდეგ, რაც გასულ კვირას სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით კიდევ ერთხელ დაიკითხა გირგვლიანის მეგობარი, ლევან ბუხაიძე, ამ თემამ კიდევ ერთხელ დამუხტა საზოგადოება და გაახსენა, რომ რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა ბიჭებს უტიფრად ხოცავდნენ და შემდეგ სამართალდამცველები საქმეებს ასევე უტიფრად კერავდნენ...**

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ისე მიდის, როგორც ამას გარდაცვლილის დედა, ირინა ენუქიძე 8 წლის წინათ ითხოვდა, თუმცა ოჯახს მაინც აქვს გარკვეული უკმაყოფილების შეგრძნება. ეს პოზიცია ამ ცოტა ხნის წინ საჯაროდ გააჟღერა სანდრო გირგვლიანის მამამ.

რითია ოჯახი უკმაყოფილო? კიდევ ვის დასჯას მოითხოვს ის, როცა საბრალდებო სკამზე უკვე ზის ვანო მერაბიშვილი? რა ახალ ვერსიებს ებრძვის გირგვლიანის მხარე? – ამ საკითხებზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მანამდე კი, რაკი ამოსავალი წერტილი მაინც ბუხაიძის დაკითხვაა, მოდით, ისევ ამას დავუბრუნდეთ:

ბუხაიძემ სასამართლოს უამბო, რომ 27 იანვარს, ღამით, „შარდენბარში“ სანდროსთან ერთად ყავის დასალევად შევიდა.

„როდესაც შევედი და დავინახე, რომ სანდრო ერთ გოგოს ესაუბრებოდა, ჩაკუზული იყო, მე თავისუფალ მაგიდასთან დავჯექი. ცოტა ხანში სანდროც მოვიდა. კიდევ ცოტა ხანში კი ჩვენს მაგიდასთან მოპირდაპირე მაგიდიდან ერთ-ერთი გოგონა გადმოჯდა. ეს იყო თათია, სანდროს მეგობარი. ბარში ტამტამებს უკრავდნენ და, შესაბამისად, ხმაურში ვერ გავიგე, რაზე საუბრობდნენ, თუმცა, ისინი ერთმანეთს აგრესიულად უხსნიდნენ რაღაცას. მახსოვს, რომ სანდრომ შეიგინა, თუმცა არა თათიას მიმართ. შემდეგ მოპირდაპირე მაგიდიდან კიდევ ერთი გოგონა ადგა, თათიასთან მოვიდა და ჰკითხა, ხომ მშვიდობააო, თათიამ უთხრა, მშვიდობააო. მოპირდაპირე მაგიდასთან 6-7 პირი იჯდა, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია, დათა ახალაია, მერაბ სანოძე, ოლეგ მელნიკოვი და გურამ დონაძე. „შარდენბარიდან“ გამოსვლის შემდეგ ლესელიძის ქუჩიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით, სანდროსთან ერთად წავედი ტაქსის გასაჩერებლად, როდესაც ლესელიძის კუთხეში ვერცხლისფერი „ემელის“ „ჯიპი“ გაჩერდა. ორი ადამიანი გადმოვიდა და მანქანაში შეგვაგდო. მაშინ ჩემთვის უცნობი იყო, ვინ იყვნენ ეს ადამიანები. გვითხრეს, თანამშრომლები ვართო. წაგვიყვანეს, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. წინ იჯდა გია ალანია. გვითხრეს, ჯიბეში გაქვთ თუ არა რამეო. ამოგვალებინეს მობილური ტელეფონები და საბუთები, რომელიც ალანიამ „ბარდაჩოკში“ ჩაყარა. შემდეგ მივყავდით გაურკვეველი მიმართულებით, ოქროყანის მიმართულებით. სანდრომ დასვა კითხვა, რომ განყოფილება ამ მიმართულებით არ არსებობდა და სად მივყავდით, რა დროსაც მას მუცელში ხელი ჩაარტყეს. შემდეგ მე ვიკითხე. თუმცა გვეუბნებოდნენ, რომ როდესაც მივალთ, ყველაფერს გაიგებთო“. „ემელით“ ისინი აიყვანეს ოქროყანის სასაფლაოსთან, სადაც ცალ-ცალკე დაუწყეს ცემა. შემდეგ კი გაიგო გასროლის ხმა და ადგილზე მყოფების საუბარი. „5-10 წუთის განმავლობაში გვცემდნენ, შემდეგ ვიღაცამ თქვა, რომ სანდრო გაიქცა. ალანიამ კი უპასუხა, იმიტომ გაიქცა, რომ ს...ბი ხართო. გაქცეული სანდრო არ დამინახავს, გავიგე ხრიალის ხმა. ცოტა ხანი იყო პაუზა, შემდეგ კი იქ მყოფებმა ტანსაცმელი გამხადეს, საცვლებისამარა დამტოვეს და მითხრეს, მიხვდებით, ეს რატომაც დაგემართათო“, – განაცხადა ბუხაიძემ.

ბუხაიძემ დაინახა, რომ იმ პირებმა, ვინც ის და გირგვლიანი გაიტაცეს, ორი ავტომობილით დატოვეს ოქროყანის ტერიტორია. შემდეგ კი განმარტავს, რომ ამის შემდეგ შეძლო გადაადგილება და ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე შევიდა, სადაც დილამდე იმყოფებოდა. პოლიციაში დარეკვა მხოლოდ დილით მოახერხა. ამის შემდეგ, ბუხაიძის თქმით, როდესაც საქმის გამოძიება დაიწყო, მასზე არაერთხელ განხორციელდა მუქარა. კერძოდ, გამოძიება ამბობდა, რომ 4 პირი დააკავეს მათი გატაცების საქმეზე. „დამიკავშირდა გამომძიებელი, მთხოვა მისვლა. მივედი და მითხრეს, 4 პირია დაკავებული და უნდა ამოიცნოო. ამოცნობის პროცედურა პროკურატურაში ხდებოდა. ამოვიცანი ალანია, ღაჭავა და აფციაური. ხოლო ბიბილურიძის ამოცნობა ვერ მოვახერხე. ორი დღის შემდეგ ისევ დამიკავშირდნენ, როცა ყველაფერი უკვე გარკვეული იყო და მითხრეს, რომ კიდევ ერთი ამოცნობა იყო საჭირო. საუბარია მელნიკოვზე, მივედი და გამაფრთხილეს, რომ მელნიკოვი ამ საქმეში არ ფიგურირებდა და თუკი მაინც ამოვიცნობდი, ჩემ მიმართ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე. ეს იყო მუქარა“, – განაცხადა ლევან ბუხაიძემ. მოწმე აცხადებს, რომ ამ პროცესებში დააკავეს კიდეც დანაშაულის დამალვის ბრალდებით. თუმცა მტკიცებულებების არარსებობის გამო მალევე გაათავისუფლეს“.

„პრაიმტაიმისთვის“ თავის დროზე ცნობილი გახდა მოდულის წინასწარი დაკავების იზოლატორის კონტროლიორის, ნარსიას ჩვენება, რომელიც მან პროკურატურას ხელახალი გამოძიების პროცესში მისცა. ჩვენებით დასტურდება, რომ ბუხაიძემ პროკურატურაში ოლეგ მელნიკოვი ვერ ამოიცნო, თუმცა ნარსია ვარაუდობს, რომ ბუხაიძე დააშინეს.

„ამოცნობის დაწყებამდე მე გამომძიებლის მითითებით დავიკავე მარცხნიდან რიგით პირველი ადგილი, შემდგომი ორიოდ ადგილი დაიკავეს „კრიტის“ თანამშრომლებმა, ხოლო მარცხნიდან მეოთხე ადგილი, ასევე გამომძიებლის მითითებით, დაიკავა ოლეგ მელნიკოვმა. შემდეგ ვიღაც პირმა, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, გარედან შემოიყვანა ბუხაიძე, რომელიც დაგვაკვირდა ჩვენ, ოთხ პიროვნებას, და მიაშტერდა ოლეგ მელნიკოვს. როგორც შევატყვე, მან ის იცნო, რადგან, ფაქტობრივად, მხოლოდ მას უყურებდა დაჟინებული მზერით. ბუხაიძის გამოხედვიდან და მელნიკოვის მიმართ გამწარებული, ბოროტი მზერიდან გამომდინარე, მეგონა, რომ ის ამოიცნო, მაგრამ, ჩემი აზრით, ალბათ, შიშის ან სხვა ფაქტორის გამო, მან შეგნებულად არ დაადო ხელი ოლეგ მელნიკოვს“, – ყვება ნარსია ჩვენებაში.

საბოლოოდ ბუხაიძემ მელნიკოვი სასამართლოში დაასახელა, რასაც ირინა ენუქიძის ოვაციებიც მოჰყვა.

„თოვლში წამაქციეს და ერთ-ერთმა თქვა: „ერთი აქეთ ამოიხედეო“, რაზეც მეორემ იარაღის ლულით სახე ამომიტრიალა და თვალებთან უეცარი გაშუქებით მივხვდი, რომ სურათი გადამიღეს... ამჟამად შემიძლია დარწმუნებით და შეუცდომლად განვაცხადო, რომ სასაფლაოზე შემდგომში მოსული პირი, რომელმაც იარაღიდან ისროლა და შესაძლოა, ფოტოც გადამიღო, ნამდვილად იყო ოლეგ მელნიკოვი, რომელიც გამოძიების დროს მე, მართალია, ვერ ამოვიცანი, მაგრამ სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში პირდაპირ სხდომაზე განვაცხადე ამის შესახებ. დარწმუნებით შემიძლია დავასახელო, რომ ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ გია ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ოლეგ მელნიკოვი და ავთანდილ აფციაური“, – ყვება საგამოძიებო ორგანოსთვის მიცემულ ჩვენებაში ლევან ბუხაიძე.

ბუხაიძის სასამართლოსთვის მიცემულმა ჩვენებამ, როგორც ჩანს, ძალიან ასიამოვნა დათა ახალაიას ადვოკატს, ირაკლი ზაქარეიშვილს, რომელმაც მაშინვე მისცა რეაგირება და გირგვლიანების მისამართით ახალი „შხამი“ გაუშვა: „აღნიშნულ ეპიზოდში, როდესაც ბუხაიძემ თქვა, რომ მე მცემდნენ, შემდეგ კი ალანიამ დაიძახა, რომ გირგვლიანი გაიქცაო, იქ საქმის სხვა მასალებიც არის, რომელსაც პროკურატურა არ ასაჯაროებს, ეს საქმე არის გახსნილი, თუმცა პროკურორებს ბუხაიძისთვის არ დაუსვამთ კითხვები გირგვლიანთან მიმართებაში“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისი თქმით, ლევან ბუხაიძე უახლოეს პერიოდში ბრალდებულის სახით გასცემს პასუხებს სასამართლოს. „თურმე გირგვლიანი გაიქცა, მას ყელში დანა ჰქონდა დარტყმული, ბუხაიძე კი მიდის ისე, რომ არც ძმაკაცს ეძებს და არც ხმაური ესმის. კარტებს აღარ გავშლი. მიმაჩნია, რომ ბუხაიძეს ბევრ შეკითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი და დარწმუნებული ვარ, რომ ის ბრალდებულის სა-



ირაკლი ზაქარეიშვილი

## რას მალავს პროკურატურა?



ლევან ბუხაიძე

**„ცოტა ხანი იყო პაუზა, შემდეგ კი იქ მყოფებმა ტანსაცმელი გამხადეს, საცვლებისამარა დამტოვეს და მითხრეს, მიხვდებით, ეს რატომაც დაგემართათო“**

**„რატომ არ არის მიცემული ბუხაიძე აქამდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში... “**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვიუს გამოქვეყნებას!“

ხით უპასუხებს ამ შეკითხვებს“, – განაცხადა ირაკლი ზაქარეიშვილმა, რომელიც სასამართლოს შენობიდან მანდატურებმა და პოლიციის თანამშრომლებმა განსაკუთრებული დაცვით გააცილეს.

ყველასთვის თვალშისაცემი ხდება, რომ ადვოკატი უკვე დიდი ხანია, არაორაზროვან განცხადებებს აკეთებს ბუხაიძის მისამართით და არა მარტო საზოგადოებას, არამედ ყველაზე სკანდალური საქმის მთავარ მოწმესაც რჩება შთაბეჭდილება, რომ ზაქარეიშვილს ბუხაიძისთვის სურს მკვლელობის დაბრალება: „ერთ-ერთი ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ თითქოს მე მაქვს კავშირი სანდროს მკვლელობასთან. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინდელ გამოძიებას არ გაუჭირდებოდა ჩემთვის მკვლელობის დაბრალება და ამის მცდელობა მაშინ იყო. ვისაც არ ეზარება, ცდილობს, სანდროსა და ჩემი სახელით საკუთარ თავს გაუკეთოს პიარი“. – აცხადებდა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ლევან ბუხაიძე.

სხვათა შორის, 2006 წელს, როდესაც გირგვლიანის მკვლელობა მოხდა, მისი მეგობარი მართლაც დაკავებული იყო. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოძიება მასზე აპირებდა ხელების შეხოცვას. ერთადერთი, რამაც მაშინ ლევან ბუხაიძე გადაარჩინა, იყო სახელისუფლებო წრეებში კარგად ცნობილი ქალბატონის, მოგვიანებით კი ქალაქის პირველი ლედის, ლელა კილაძის ნათესაობა. ისინი ღვიძლი დეიდაშვილები არიან.

ერთი სიტყვით, ზაქარეიშვილისა და გირგვლიანის მხარის სიტყვიერი დაპირისპირება მხოლოდ ზემოთ შემოთავაზებული კომენტარებით არ ამოიწურება. ცოტა ხნის წინ გურამ გირგვლიანმა მის ფსიქიკურ მდგომარეობაში ეჭვი შეიტანა, საპასუხოდ კი ადვოკატის „რისხვა“ დაიმსახურა: „ნუ მაიძულებს, შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის ვუჩივლო სასამართლოში და კასრზე დავაწყობინო ის ფულები, რაც მისი შვილის მკვლელობის საქმეში საკომპენსაციოდ აქვს აღებული!

გარდა აღნიშნულისა, ბატონი გურამ გირგვლიანი პრესით ავრცელებს ცრუ ინფორმაციებს, თითქოს წინა წლებში ვიყავი გასამართლებული და ვიხდიდი სასჯელს.

ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიც ის, რომ კუდ-ის თანამშრომლებმა აწამეს და მოკლეს მისი შვილი!“...

**ცხადია, არა იმიტომ, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა შეგვემოწმებინა, არამედ იმიტომ, რომ გაგვეგო, ბოლოს და ბოლოს, რის თქმას ცდილობს ამ ნახევრად გაშიფრული განცხადებებით ირაკლი ზაქარეიშვილი, „პრაიმტაიმი“ მას დაუკავშირდა და გვიანი ზარისთვის წინასწარ ბოდიში მოუხადა კიდეც:**

**– რა მოგეწონათ ლევან ბუხაიძის ჩვენებაში ასე, რომ თვლით, თითქოს ის თქვენს პოზიციას ამყარებს?**

– რა მომეწონა?! რას ჰქვია, რა მომეწონა? მე გამოვაქვეყნე კომენტარი ამაზე და მას დაეყრდენით...

**– მაგრამ ნახევრად ამბობთ ყველაფერს და იქნებ დაგვიზუსტოთ...**

– ეს ძალიან ვრცელი თემაა და თუ დავიწყებ საუბარს, უნდა განვმარტო ყველაფერი...

**– მერე გისმენთ, დროში არ ხართ შეზღუდული...**

– თქვენ დააყენეთ საკითხი, მოსთხოვეთ, რომ გაასაჯაროონ ის მასალები, რასაც არ ახმაურებენ. მე ხელწერილი მაქვს დადებული პასუხისმგებლობაზე, არ გავასაჯარორო ეს მასალები... მოითხოვეთ თქვენ და დამთავრდება ყველაფერი. გაურკვეველი რა არის ჩემს ნათქვამში?

**– გაურკვეველია ის, რომ თქვენ ამბობთ, თითქოს კუდ-ის თანამშრომლებს არ მოუკლავთ სანდრო გირგვლიანი. ამ განცხადებით სხვა ვინმეზე აკეთებთ მინიშნებას, თუ აცხადებთ, რომ მკვლელობა საერთოდ არ ყოფილა?**



# გირგვლიანის საქმის რაკურსები...

# EXCLUSIVE

– მე დავასახელე კონკრეტული პირი და გამოვხატე ჩემი გაკვირვება იმასთან დაკავშირებით, რომ აქამდე ეს საქმე არ არის გახსნილი, ანუ რატომ არ არის მიცემული ბუხაიძე აქამდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში... ისე, მირეკავთ ღამის თერთმეტ საათზე და რა მოგეწონაო ბუხაიძის ნათქვამშიო, მეკითხებით. ეს ის თემაა, რომ ორ წუთში გითხრათ?

**– მგონი, თქვენთვის დრო არავის შეუზღუდავს...**

– დაეყრდენით იმ კომენტარებს, რაც აქამდე გავაკეთე...

**– ანუ ჩვენი გაზეთისთვის კომენტარის მიცემაზე აცხადებთ უარს?**

– ახლა მე ჩავიწერ თქვენს საუბარს, მაცადე!.. კომენტარი არ არის, რაც გითხარით?

## „მე ირაკლი ზაქარეიშვილის სერიოზულობაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან, რასაც ამბობს, ყველაფერი ლოგიკას არის აცდენილი...“

**– ალბათ, არ გჭირდებათ იმის ახსნა, რომ დიქტოფონი ჟურნალისტის სამუშაო იარაღია...**

– ჩემთვისაც სამუშაო იარაღია...

**– კი ბატონო, განვაგრძოთ საუბარი...**

– მე არ გაძლევთ უფლებას, რომ თქვენ სატელეფონო ჩანაწერით გაკეთებული ჩვენი პირადი საუბარი გაასაჯაროოთ. თქვენ არ გითქვამთ, რომ ამ საუბარს იწერთ...

**– ვერ ვიხსენებ, რომ ჩვენ პირადი ურთიერთობა გვაქვს. შესაბამისად, ვერ გვექნება პირადი საუბარი...**

– ... (საუბრობს ნერვიულად და გაურკვევლად. – მ.ნ.)

**– ბატონო ირაკლი, თქვენ ჟურნალისტს ესაუბრებით. პროცესზე ხომ არ გგონიათ თავი, ან მე ხომ არ გგონივართ ოპონენტის ადვოკატი?..**

– როცა გითხარით, ჩვენს საუბარს ჩავიწერ-თქო, მითხარით, რატომ იწეროო, თქვენ კი თურმე დასაწყისიდან იწერთ ჩვენს საუბარს (მსგავსი კამათი კიდევ დიდხანს გრძელდება და მკითხველს თავს არ მოვაბეზრებთ. – მ.ნ.)... თუ გინდათ სიმართლე, ეს საუბარი მე ჩაწერილი მაქვს დასაწყისიდან... თქვენ არ გითქვამთ, რომ საუბარი გჭირდებათ პრესისთვის... ასე რომ, ასეთი რამ ჩემთან არ გადის.

**– რაღაც განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები გაქვთ მიღებული თავდასხმითი ტაქტიკით. რა ხდება თქვენს თავს? რამე თავდასხმას ელოდებით?**

– რა თქმა უნდა... მე ყველას ვაძლევ განმარტებას, მაგრამ დასაწყისში მეუბნებით, რა მოგეწონათ ბუხაიძის საუბარშიო... მე სად ვთქვი, რომ მომეწონა მისი საუბარი?

**– რატომღაც თქვენგან დაწუნებულ დროის მონაკვეთში, ეტყობა, ლაპარაკის ხასიათზე მოხვედით. მაგრამ ჩვენ თქვენთან საუბარი მხოლოდ საქმის გარშემო გვინდა...**

– მაშინ საქმეზე გადავიდეთ.

**– მართალია, თქვენ არ მოგწონთ კითხვის ასეთი ფორმულირება, მაგრამ, მაინც ასე გკითხავთ: დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენ ძალიან მოგეწონათ თქვენი პოზიციის გასამყარებლად ბუხაიძის ჩვენება...**

– ეს მე არასდროს მითქვამს. მე ვთქვი, რომ ბუხაიძემ მისცა თავისი თავის მამხილებელი ჩვენება...

**– რაც თქვენთვის იყო სასარგებლო?..**

– ერთი წუთით... ერთი წუთით... არ მოგცემთ ახლა მე თქვენ ინტერვიუს და გიკრძალავთ ამის გამოქვეყნებას, ვინაიდან მიმაჩნია, რომ პროვოკაციულ შეკითხვებს სვამთ და უნდა დაგემშვიდობოთ...

მართალია, საუბარი ვერ შედგა საქმის გარშემო, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველს ამის შემდეგ გაუჩნდება წარმოდგენა ირაკლი ზაქარეიშვილის მიერ აქამდე გაკეთებულ და ამის შემდეგ გასაკეთებელ განცხადებებთან დაკავშირებით.

ასე რომ, მცირე ემოციური გადახვევის შემდეგ კვლავაც განვაგრძობთ თემას:

ბოლო დროს გამოიკვეთა, რომ, ოჯახის ინფორმაციით, საქმეში სრულიად ახალი ადამიანები გამოჩნდნენ.

ჯერ კიდევ გასულ წელს, მაშინ როდესაც პროკურატურამ საქმე გახსნილად გამოაცხადა, ქალაქის იმჟამინდელმა პროკურორმა, მაია მწარიაშვილმა განაცხადა, რომ ბრალი წაეყენა ოქროყანის ეპიზოდის მანამდე უცნობ მეხუთე ფიგურანტს, კუდ-ის მაშინდელ თანამშრომელს, დავით ქოქიაშვილს და იქვე არ გამორიცხა, რომ ამ ეპიზოდში კიდევ სხვებიც მონაწილეობდნენ. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, შესაძლოა, სწორედ დანარჩენებზე შეიძლება იყოს საუბარი. სავარაუდოდ, უკვე მსჯავრდადებული ოთხი პირის გარდა, შემთხვევის ადგილზე კიდევ ოთხი უნდა ყოფილიყო. ხოლო ფაქტს, თუ რატომ შეირჩა მხოლოდ გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილურიძე, ამას თბილისის ყოფილი პროკურორი მათდამი გამოცხადებულ ნდობას უკავშირებდა: „თავიდან საუბარი იყო იმაზე, რომ ალანია არ გაეშვათ ციხეში, თუმცა მერე გადაწყდა, რომ სწორედ მისი საშუალებით გააკონტროლებდნენ დანარჩენ სამს“...

**გურამ გირგვლიანის ბოლოდროინდელმა პოზიციამ ეჭვი წარმოშვა საზოგადოებაში, თითქოს საქმის გამოძიებაში ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც საჭიროა. ამიტომ, „პრაიმტაიმი“ ოჯახის პოზიციის დასაზუსტებლად სანდრო გირგვლიანის ბიძას, გოგი ენუქიძესაც დაუკავშირდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ზაქარეიშვილის თემას გვერდი მაინც ვერ ავუარეთ:**

**– ბატონო გოგი, თქვენ მაინც გაერკვიეთ, რის თქმა, ან დამტკიცება უნდა დათა ახალაიას ადვოკატს თავისი განცხადებებით?**

– მე ირაკლი ზაქარეიშვილის სერიოზულობაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან, რასაც ამბობს, ყველაფერი ლოგიკას არის აცდენილი... იმათ ტყუილების დიდი გუდა აქვთ და ტყუილები თითოთითოდ ამოაქვთ. ასე გვკვებავენ უკვე რამდენი წელია. ამიტომ, როდის რას მოიფიქრებენ, მე ვერ ვიანგარიშებ.

**– თავად თქვენ რამე, საკუთარი თავის მამხილებელი შეამჩნიეთ ბუხაიძის ჩვენებაში?**

– არაფერი...

**– თუმცა, აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ ლევანი გაიქცა სანამ სანდროს სცემდნენ. ახლა კი მისი ჩვენებით პირიქით ირკვევა...**

– ამ ეპიზოდში ყოველთვის ერთი და იგივე ვერსია იყო, რომ სანდრო გაიქცა.

**– გურამ გირგვლიანი უკმაყოფილოა ამჟამად მიმდინარე გამოძიების. თქვენ ეთანხმებით მის ამ პოზიციას?**

– მისი ასეთი პოზიცია არ მომისმენია და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი.

**– თქვენთვის ცნობილია გამოძიების მიმდინარეობისას გამოკვეთილი ახალი დეტალების შესახებ?**

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახალი დეტალები უნდა იყოს.

**– სანდროს მამის მტკიცებით, საქმეში სულ ახალი გვარები გამოჩნდა...**

– მე არ ვარ ინფორმირებული...

**– კმაყოფილი ხართ გამოძიების მიმდინარეობით?**

– გამოძიება მიდის თანმიმდევრული ნაბიჯებით. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვართ ტემპებით კმაყოფილი, მაგრამ საბოლოო წერტილამდე მივა და ალბათ, დასრულდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენ კი გვინდა, რომ ყველა ის სუფრის წევრი უკლებლივ დააპატიმრონ და მათ პასუხი აგონ იმაზე, რაც ჩაიდინეს. პასუხი უნდა აგოს მაშინდელმა პროკურორმა, ღვინიაშვილმაც და მოსამართლემ, გიორგი ჩემიამაც, რომელმაც, სავარაუდოდ, შეასრულა ხელისუფლების დავალება.



გოგი ენუქიძე

## „სასამართლო, ალბათ, დასრულდება ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენ კი გვინდა, რომ ყველა ის სუფრის წევრი უკლებლივ დააპატიმრონ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანტიდისკრიმინაციული კანონი - პოლიტიკური მარკეტინგის



**my View**
თამარ გორთამაშვილი

**სანამ რაიმე საკითხს კრიტიკის ობიექტად აქცევ, მინიმუმ ის მაინც უნდა იცოდე რა არის მისი არსი, იმისთვის, რომ შენი შეფასება საზოგადოებამდე ყალბად არ მიიტანო - ეს ჩემი, როგორც ერთი რიგითი მოქალაქის აზრია, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის ირგვლივ ატეხილ ხმაურთან დაკავშირებით მაქვს.**



## „პირიქით, მისი მთელი არსი იმაშია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი უფლებებს კი არ ანიჭებს, არამედ ადამიანებს ათანაბრებს ერთმანეთთან“

კანონი, რომელიც წესით ჯანსაღ საზოგადოებაში კითხვასაც არ გააჩენდა, აქ, ჩვენთან, დიდი განხილვებისა და უფრო მეტიც, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცა. რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, კანონის მომხრეებიც კი ცდილობენ ამ თემით ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამაზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი თქვენი ყურადღება რამდენიმე ძირითად საკითხზე მინდა გავამახვილო, რამაც ეს კანონი თავშივე დაპირისპირების თემად აქცია.

უამრავი შეფასება მოვისმინეთ - სხვადასხვა ინტერპრეტაციით, მაგრამ ყველაზე წინააღმდეგობრივი პოზიცია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, კანონის პირველმა მუხლმა გამოიწვია, სადაც დისკრიმინაციისგან დასაცავ სხვა ნიშნებთან ერთად მითითებულია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. ექსპერტი და საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია თვლის, რომ სწორედ ეს კანონია დაცვის ის მექანიზმი, რომელმაც სხვადასხვა საზოგადოებრივი სტატუსის თუ სოციუმის ურთიერთდამოკიდებულება უნდა დაარეგულიროს, საუბარია, როგორც სექსუალურ უმცირესობებზე, ისე სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე.

**არჩილ გამზარდია:** „ეს კანონი თავისი აზრით გულისხმობს იგივე რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობას, როგორც უმრავლესობასთან, ისე უმცირესობასთან, ასევე პოლიტიკურ ორიენტირებს, ასევე სქესობრივ იდენტობას და ა.შ. მთელ რიგ საკითხებს, რომლის შემთხვევაშიც სახელმწიფო თითოეულ ადამიანს აღიარებს, როგორც საკუთარ მოქალაქეს და მისი ელემენტარული უფლების აღსრულებაში ეხმარება. პირადად ჩემთვის, ამ მოტივის გამო, ანტიდისკრიმინაციული კანონი გახდა საშუალება, რომელიც საზოგადოებრივ პროცესებში კონფლიქტების შემცირებაზე იქნება ორიენტირებული და ამდენად ჩემთვის ეს კანონი სრულიად მისაღებია“.

**- რატომ მოხდა ამ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია, არის მასში რაიმე ბუნდოვანი და გაუგებარი... რატომ წამოვიდა მოსაზრება, რომ მოხდება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და ა.შ. ხომ არ იყო ხელოვნურად „შემოგდებული“ თემა, რომ საზოგადოებაში ხმაური გამოეწვია?**

- ბუნებრივია, ნებისმიერი საკითხი რაც ჩვენთვის შედარებით უცხოა, როგორც წესი, უფრო მძიმედ მოჩანს ჩვენივე გადასახედიდან. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და არავის არანაირ უფლებას არ ანიჭებს, პირიქით, მისი მთელი არსი იმაშია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი უფლებებს კი არ ანიჭებს, არამედ ადამიანებს ათანაბრებს ერთმანეთთან და თვლის, რომ მიუხედავად მათი შეხედულებებისა, ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და შეფასებისა, თითოეული ადამიანი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია. ამიტომ ცხადია, რომ ცრუ შეხედულებაა, რომელიც გულისხმობს ერთსქესიანთა ან დაქორწინებას ან ოჯახის სტატუსის მიცემას... ასევე იყო ვარაუდები, რომ ეს იყო ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული და გულისხმობდა ეკლესია მონასტრებში წირვა-ლოცვის აკრძალვას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. აქ ყველა მიმართულება ერთნაირად დაცულია, ამიტომ ეს არის ელემენტარული დაცულობის საზომი... აქ არ არის არანაირ რეგულირებებზე ლაპარაკი, არანაირ უკუკავშირზე... თუკი რაიმე დისკრიმინაციას ექნება ადგილი, ნებისმიერი დისკრიმინაციული ფაქტი შეფასდება არა როგორც ჩვეულებრივი რამ, არამედ როგორც დისკრიმინაციული აქტი... ჩვენ ხშირად თავადაც ვერ ვხვდებით, როდის ვახდენთ სხვათა დისკრიმინაციას და კანონი როგორც ორიენტირი დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი დამოკიდებულება უფრო გააზრებული გახდეს, რათა ჩვენი შეუგნებელი დისკრიმინაცია გახდეს უფრო მართვადი ჩვენივე მხრიდან. ამით ჩვენ ვიღაცას დავიცავთ ჩვენგან და ასევე ვიღაცისგან დავიცავთ ჩვენს თავს“.



„მე ვთვლი, რომ ეს ძალიან პრიმიტიული სპეკულაციაა, როდესაც ცდილობენ ისეთი მესიჯები ატრიალონ, საიდანაც მიიღებენ მეტ ხმებს“

მიუხედავად არაერთგზის მოსმენილი ასეთი განმარტებებისა, მაინც არის მცდელობები, რომ საზოგადოება დაარწმუნონ საწინააღმდეგოში. ისიც კი ითქვა, რომ ევროსტრუქტურების მოთხოვნით, ასეთი კანონით სახელმწიფო აიძულებს ახალგაზრდებს უარი თქვან ტრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე და ეზიარონ დასავლეთის ქვეყნებში გამეფებულ გარყვნილებას. ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება სახელმწიფომ აიძულოს ახალგაზრდობა მსგავსი სახეცვლილებისკენ, მით უმეტეს, რომ არც ხელისუფლებაში და არც საზოგადოებაში ასეთი პერსპექტივის მომხრეები დღესდღეობით არ მოიძებნებიან... არჩილ გამზარდიას მიაჩნია, რომ მსგავს განცხადებებს ერთი მიზანი აქვს, მოხდეს ხელისუფლების დისკრედიტაცია.

„ჩვენთან სახელმწიფო სექტორი ყოველთვის ასოცირდება კონკრეტულ პარტიასთან, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას გარკვეული პოლიტიკური პარტიები უპირისპირდებიან ხშირად, როგორც უფრო წარმატებულ პარტიას, ამიტომ ეს ნებისმიერ იმ პარტიას აწყობს, რომელსაც უნდა ხელისუფლებაში მოსვლა. ოღონდ ისინი ხელისუფლების დისკრედიტაციის გზით უფრო ცდილობენ საზოგადოებისთვის საკუთარი თავის შეთავაზებას, ვიდრე საკუთარი უპირატესობების ჩვენების გზით. მე პირადად ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ გარკვეული პროცესები რომლებიც მიმდინარეობს ეკლესიაში, შეიძლება არ მოსწონდეს სახელმწიფო სექტორს და მას აქვს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება და ასევე ვერ ვხედავ ტრაგედიას იმაში, რომ სახელმწიფო სექტორის ქმედებების რაღაც გარკვეული ნაწილი არ მოსწონდეს ეკლესიას და აკეთებდეს საკუთარ შეფასებებს“, - ამბობს გამზარდია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი მთელი ამ დაპირისპირების და ბრალდებების კასკადში არის ის, რომ ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ეწინააღდეგება და აქცენტი აუცილებლად ეკლესიაზე კეთდება, აპრიორი პრორუსული ორიენტაციისაა. ხელისუფლების ოპონენტები, ისინი, ვისაც საერთაშორისო ფორუმებზე მიუწვდებათ ხმა, ძალას არ იშურებენ საკუთარი „სიმართლე“ ამტკიცონ და ამით ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია მოახდინონ. ექსპერტი გამზარდია თვლის, რომ ეს ჩვენი მენტალური პრობლემაც არის.

- ჯერ ერთი, ეს ერთი მხრივ არაეფექტურია, იმიტომ რომ გარკვეულ საკითხთან მიმართებაში კრიტიკული პოზიცია არ ნიშნავს თავისთავად რომელიღაც ანტიპოზიციის იდენტობას და ერთიანობას. ეს ჩვენი მენტალური პრობლემაა, საბჭოთა კავშირის შემდგომ შემორჩენილი. როგორც ადრე იყო, თუ ვიღაც აკრიტიკებდა ზვიად გამსახურდიას, ედუარდისტი იყო, თუ შევარდნაძეს აკრიტიკებდა - ზვიადისტი, ანუ ჩვენთან არ იმიჯნება პროცესი, რომ ადამიანები შეიძლება არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არიან რომელიღაცა მეორე მხარის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა რა შთაბეჭდილებები შეიძლება რჩებოდეთ მავანთ, „ჩვენ დღემდე, ცალკეული სუბიექტების გარდა, არც ერთ ოფიციალურ პოზიციაში სასულიერო პირების მხრიდან არ გაგვიგია პრორუსული პროპაგანდა. საქართველოში ეკლესიამაც ყველაზე მძიმედ გადაიტანა რუსული ხელი რეპრესიებისა და დახვრეტების გამო. ამიტომ ეს საკითხი ასე მარტივად არ დგას“. შესაძლოა გარკვეული სასულიერო პირები მსგავს პოზიციას ატარებდნენ, მაგრამ ისინი არიან ძალიან მცირე, ამიტომ მე მთლიანად ვეწინააღმდეგები დამოკიდებულებას, რომ რაკიღა ვიღაც გააკრიტიკებს ევროპაში აღიარებულ ნორმებს, ის თავისთავად პრორუსია. ამ გაიგივებას იმიტომ ცდილობენ, რომ დისკრედიტირება მოახდინონ მხარისა - სასულიერო პირებისა და მათი განზოგადებით კი ეკლესიისა, რაზედაც მე ხშირად ვსაუბრ-

## „ჩვენ დღემდე, ცალკეული სუბიექტების გარდა, არც ერთ ოფიციალურ პოზიციაში სასულიერო პირების მხრიდან არ გაგვიგია პრორუსული პროპაგანდა. საქართველოში ეკლესიამაც ყველაზე მძიმედ გადაიტანა რუსული ხელი რეპრესიებისა და დახვრეტების გამო. ამიტომ ეს საკითხი ასე მარტივად არ დგას“

## „ხელისუფლებას გარკვეული პოლიტიკური პარტიები უპირისპირდებიან, როგორც უფრო წარმატებულ პარტიას. ამიტომ ეს ნებისმიერ იმ პარტიას აწყობს, რომელსაც უნდა დღეს ხელისუფლებაში მოსვლა. თუმცა ისინი ხელისუფლების დისკრედიტაციის გზით უფრო ცდილობენ საზოგადოებისთვის საკუთარი თავის შეთავაზებას, ვიდრე საკუთარი უპირატესობების ჩვენების გზით“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პრიმიტიული ხედვა და სუსტი იარაღი ოპონენტების ხელში



## „აქ ყველა მიმართულება ერთნაირად დაცულია, ამიტომ ეს არის ელემენტარული დაცულობის საზომი...“

## „ანტიდისკრიმინაციული კანონი გახდა საშუალება, რომელიც საზოგადოებრივ პროცესებში კონფლიქტების შემცირებაზე იქნება ორიენტირებული“

EXCLUSIVE

**„ცდილობენ, რომ დისკრედიტირება მოახდინონ მხარისა - სასულიერო პირებისა და მათი განზოგადებით კი ეკლესიისა, რაზედაც მე ხშირად ვსაუბრობ და მიმაჩნია, რომ არასწორია. ეს მთლიანად დისკრედიტაციული კამპანიაა ეკლესიის მიმართ“**

ობ და მიმაჩნია, რომ არასწორია. ეს მთლიანად დისკრედიტაციული კამპანიაა ეკლესიის მიმართ. მაშინ უნდა დაასახელონ კონკრეტული პირები, რომლებიც რუსეთის მიმართ ლოიალურები არიან, მაგრამ რამდენი ცალი შეიძლება იყოს ასეთი, დავითვალოთ, შედეგი დავდოთ და ვთქვათ, არის თუ არა ეს რაოდენობა საკმარისი, რომ ჩვენ ის განვაზოგადოთ მთლიანად სასულიერო სივრცეზე, მით უმეტეს ეკლესიაზე. ამიტომ ამაში ჩვენ უნდა ვეძებოთ მხოლოდ დისკრედიტაციის მცდელობა მეორე მხარისა და განსხვავებული აზრისა.

**- რას იტყვით იმ ძალებზე, რომლებიც ცდილობენ ანტიდისკრიმინაციული კანონი პოლიტიკური დივიდენდებისთვის გამოიყენონ და ამ მეთოდს აქტიურად მიმართავენ კიდეც, თუნდაც საარჩევნო კამპანიის დროს?**

- უპირველეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ ამგვარი დამოკიდებულება, როდესაც ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ცდილობს იყნოსოს მრავალი ხმა საით შეიძლება მიდიოდეს, ეს არის დაახლოებით ისეთივე ხედვა, როგორც ვინმემ რომ დაიწყოს ელემენტარული ბიზნესის კეთება და იკითხოს რა პროდუქტს ჰყავს ბევრი მომხმარებელი და შესთავაზოთ მას ეს პროდუქტი. ეს არის პოლიტიკური მარკეტინგის პრიმიტიული გაგება. მაგრამ სწორედ იმიტომ რომ ეს პროდუქტი არ არის სამოსი ან ტექნიკა და იქ პასუხისმგებლობის დონე არის ბევრად მაღალი, მე ვთვლი, რომ ეს ძალიან პრიმიტიული სპეკულაციაა, როდესაც ცდილობენ ისეთი მესიჯები ატრიალონ, საიდანაც მიიღებენ მეტ ხმებს. სხვათა შორის საქართველოს საზოგადოებამ ძალიან გონივრულად აჩვენა ამის უკუკავშირი, წინა წლებში ვინც კი ყალბად გამოხატავდა ასეთ ფასეულობებს არც ერთი მათგანი არ შესულა არც პარლამენტში და არც წარმატებები ჰქონია. ამიტომ საზოგადოება ხშირად გრძნობს ამ სიყალბეს. ჩვენთან პოლიტიკურ სუბიექტებს, სამწუხაროდ, საზოგადოებასთან სალაპარაკო არ აქვთ, ამიტომაც მიმართავენ ასეთ მეთოდს, მასზე წარმატებული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ“.

ძნელი სათქმელია რამდენად სწორად გაიგებს საზოგადოება, როგორც კანონს, ისე მის მოწინააღმდეგეთა რეალურ ზრახვებს და შექმნილ ვითარებაში როგორ გაავლებს რეალობასა და მოარულ ხმებს შორის გამყოფ ხაზებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც სახელისუფლო სტრუქტურების ძალისხმევა აღმოჩნდა საკმარისი საზოგადოების სრული ინფორმირებულობისთვის, რამაც საბოლოოდ ასეთი ვითარება შექმნა.

მაშინ, როდესაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აკეთებს განცხადებას, რომ კანონი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად არასაკმარის მექანიზმებს შეიცავს, სხვა ძალები ცდილობენ ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს კანონი ზედმეტ უფლებას აძლევს საზოგადოების ერთ, კონკრეტულ ჯგუფს, მაშინ, როდესაც თუ კარგად წავიკითხავთ მას, მივხვდებით, რომ ეს კანონი საზოგადოების ყველა სეგმენტს ეხება.

ყველაზე უარესი კი ისაა, რომ შექმნილ ვითარებაში, სხვადასხვა გარეშე ძალებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებში ნეგატიური ჩარევის, ხელოვნური წინააღმდეგობების შექმნის საშუალება ეძლევათ.

ამიტომაც, ალბათ, საჭიროა დამატებითი განმარტებების გაკეთება და კანონის ზოგიერთი მუხლის მოყვანა, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ გულწრფელად თუ პოლიტიკური ანგარებით გამოთქმულ მოსაზრებებსა და ეჭვებს:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული კანონი არ ეხება პირთა ერთ რომელიმე ჯგუფს ან „ნიშანს“. იგი არ ქმნის რაიმე ნიშნით პრივილეგირებულ ჯგუფებს, მით უმეტეს არ განსაზღვრავს მათთვის დამატებით უფლებებს. საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა გარანტირებულია კონსტიტუციით და ეს არც ერთი რელიგიური კონფესიის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

და ბოლოს, ეს კანონი არ ნერგავს რაიმე სახის ახალ ტერმინოლოგიას, რომელიც უცნობი იქნება საკანონმდებლო სივრცისთვის. ჩაგვრა და შეუწყნარებლობა დასჯადია არსებული კანონებით, მათ შორის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირთა მიმართ, რაც ასევე მითითებულია ამ კანონის მიღებამდე გაცილებით ადრე არსებულ კანონმდებლობაში. ეს კანონი მხოლოდ არეგულირებს ამ უფლებების დაცვის მექანიზმებს.

**„საზოგადოება ხშირად გრძნობს ამ სიყალბეს. ჩვენთან პოლიტიკურ სუბიექტებს, სამწუხაროდ, საზოგადოებასთან სალაპარაკო არ აქვთ, ამიტომაც მიმართავენ ასეთ მეთოდს, მასზე წარმატებული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პოროშენკო და პუტინი ერთმანეთს შეხვდნენ



3 წუთი, რომელმაც შეიძლება მსოფლიო შეცვალოს – ასე მოინათლა მედიაში უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. შეხვედრა საფრანგეთის ქალაქ ნორმანდიაში შედგა, სადაც ნორმანდიის ბრძოლის 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად მსოფლიოს ლიდერები შეიკრიბნენ.

შეხვედრა, როგორც ჩანს, გერმანიის კანცლერის მიერ იყო ორგანიზებული და სწორედ ანგელა მერკელის თანდასწრებით შედგა. სხვა დეტალები მედიაში ჯერ არ გამოჩენილა. თუმცა „რიოტერის“ ინფორმაციით, ყირიმის საკითხს პრეზიდენტები არ შეხებიან.

კომენტარი მოგვიანებით Интерфакс-სთან პუტინმა გააკეთა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ისინი მაგიდას მიუსხდნენ და დაილაპარაკეს: ვერ ვიტყვი, რომ საფუძვლიანად ვისაუბრეთ, თუმცა, ძირითად თემებს ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით შევეხეთ ეკონომიკური განვითარების კონტექსტში, – აღნიშნა პუტინმა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პუტინი პოროშენკოს პოზიციით კმაყოფილია. მისი განმარტებით, უკრაინის პრეზიდენტი ნათლად ხედავს ძალადობის შეჩერების აუცილებლობას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

პუტინისა და პოროშენკოს შეხვედრის სხვა დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაცია მედიას ისევ პუტინმა მისცა. მისი განმარტებით, პოროშენკოს სპეციალური გეგმა აქვს შემუშავებული, თუმცა რუსეთის პრეზიდენტს დეტალები არ დაუკონკრეტებია.

ერთია, ამ გეგმაზე ილაპარაკო აქ, საფრანგეთში, და მეორეა, განახორციელო ის უკრაინაში... ამ გეგმაზე მან მხოლოდ ორი სიტყვით მითხრა, – აღნიშნა პუტინმა.

# ალასანია მერკელს შენიშვნას აძლევს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ალბათ, გერმანიის კანცლერს „აფრთხილებს“, თავი შეიკავოს MAP-ის მინიჭების საკითხზე დადებითი ან უარყოფითი განცხადების გაკეთებისგან. როგორც ჩანს, სწორედ ანგელა მერკელია მისი განცხადების ადრესატი. ასეც შეიძლება ითქვას.**

**სწორედ ანგელა მერკელმა თქვა პირველად, რომ საქართველოსთვის MAP-ის მინიჭება დღის წესრიგში არ დგას:**

– ვფიქრობ, საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი ნატო-ს მომდევნო სამიტის თემა არ იქნება... ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ საქართველო არის კარგი პარტნიორი და მე ვფიქრობ, რომ MAP-ის გარდა, სხვა შესაძლებლობებიც არსებობს ამის გამოსახატად.

**როგორც ჩანს, ირაკლი ალასანიას სხვა ინფორმაცია აქვს. მისი განმარტებით, MAP-ის მინიჭების საკითხზე ყველა განცხადება, დადებითი თუ უარყოფითი, ნაადრევია:**

– ვიყავი ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე, სადაც ძალიან ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი პარტნიორების უმეტესობამ ღიად დააფიქსირა, რომ საქართველო მზად არის MAP-ისთვის... აბსოლუტურად ნაადრევია ყველა განცხადება, დადებითი თუ უარყოფითი, ამ საკითხზე. ჩემი გამოცდილებიდან მინდა გითხრათ, რომ სექტემბრამდე, ალბათ, ეს რთული მოლაპარაკებები გაგრძელდება...

თუმცა, ანგელა მერკელმა უფრო იცის, ალბათ, რა როგორ გაგრძელდება და რით დასრულდება.



# საბჭოთა ევრ

# რა მისი აქვს პოროშენკოს, ტუსკს და ღარიბაშვილს

ქეთი ხატიაშვილი

**მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ირაკლი ალასანია ოპოზიციაში იყო, თეთრი სახლის წინ გამოჩნდა ქართულ ტელესივრცეში და ამაყად თქვა: ახლახან მე და ობამამ ერთად ვისადილეთ და მსოფლიოში მიმდინარე თემებზე ვისაუბრეთო. მაგრამ მთავარი ინტრიგა ის კი არ იყო, რომ ალასანიამ სთხოვა ობამას რჩევები, ერთი მითხარი, მსოფლიო პრობლემებს როგორ გავართვა თავიო. მთავარი ის იყო, რომ ალასანიამ თქვა: ობამამ მითხრა, შენ საქართველოს პრეზიდენტი უნდა გახდეო...**

სინამდვილეში ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივით ჩატარდა ტრადიციული სადილი, რომელსაც 3 ათასზე მეტი სტუმარი ესწრებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან. როგორც წესი, ამ სადილზე ადგილები ფასიანია. მოკლედ, ვინც იხდის, ის ესწრება...

„პრაიმტაიმმა“ ალასანიას ეს ტყუილი 2010 წლის საუკეთესო ტყუილად აღიარა.

როგორც ჩანს, 2014 წლის საუკეთესო ტყუილის ნომინაციაში ისევ ირაკლი ალასანია გაიმარჯვებს. უკვე თავდაცვის მინისტრის რანგში ალასანიამ განაცხადა, რომ ამერიკაში მან ნატოს საჰაერო თავდაცვითი მოწყობილობების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსების საკითხი განიხილა.



სინამდვილეში ნატო ასეთი ტიპის შეიარაღებას მხოლოდ და უშუალოდ ნატოს წევრ ქვეყნებში განალაგებს, თუკი რაიმე მისია არ არის, რომელიც, მაგალითად, გაეროს ეგიდით მიმდინარეობს. და საქართველოსთან, მით უფრო თავდაცვის მინისტრთან, ასეთი თემები არ განიხილება და თუ მაინც განიხილება, მხოლოდ კულუარულად.

თუმცა, როგორც ჩანს, ალასანიამ იცოდა, რომ ამერიკა აპირებდა ასეთი შეთავაზების გაკეთებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. ამიტომაც, 2010 წლის მსგავსად, გლობალიზაციაში ჩაეწერა – თითქოს გლობალური პოლიტიკური მიმდინარეობები მის გარეშე არც წყდება.

სინამდვილეში ობამამ და ნატომ აღმოსავლეთ ევროპას, ანუ ახალ ევროპას სამხედრო დახმარება შესთავაზა. მათ შორის ნატოს არაწევრ ქვეყნებსაც, მაგალითად, უკრაინას რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიისა და მიტაცებული ტერიტორიების გამო.

ამერიკის ამ ინიციატივას ახალი ევროპის ქვეყნები სიფრთხილით მიუდგნენ. მათ ან არ სურთ ამერიკული ბაზების განთავსება საკუთარ ტერიტორიაზე, ან შეტევაზე გადმოსული რუსეთის აგრესიას უფრთხიან.

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ბოგუსლავ სობოტკამ ღიად განაცხადა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომლებიც ნატოს სამხედრო შენაერთების გაძლიერებას უჭერს მხარს ევროპაში. სობოტკამ იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალშიც არ დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში.

ობამას ინიციატივას მხარს უჭერს პოლონეთი, ის თავადაც გამოვიდა ამ მოწოდებით და მეტი უსაფრთხოებისთვის ამერიკას დახმარება სთხოვა. პოლონეთის პრემიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ, როცა საქმე უსაფრთხოებას ეხება, პოლონეთი ამერიკის გარდა სხვაგან უკეთეს გარანტიებს ვერც კი მოძებნის.

ამჯერად ნატოს შეიარაღებული ჯარები დგანან ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთსა და რუმინეთში. მისიას ვადა წლის ბოლოს ეწურება და უელსის სამიტმა ეს საკითხიც უნდა განიხილოს. შესაძლოა, ევროპას ნატოზე უარიც ეთქვა, თუმცა უკრაინასთან გაჩაღებული ომის გამო რუსეთი ახალი ევროპისთვის საფრთხე გახდა.



**ირაკლი ღარიბაშვილი: „მიგვაჩნია, რომ კონსტრუქციული დიალოგი არის საუკეთესო გამოსავალი იმისთვის, რომ ნებისმიერი კრიზისი იქნას გადაწყვეტილი“**

## როგორია ამ ფონზე თბილისის საგარეო პოლიტიკა?

საქართველო ბოლო გაჩერებაა. საბჭოთა ევროპის ახალ ევროპად გარდაქმნა პოლონეთიდან დაიწყო. პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ევროპაში რუსეთისადმი მკაცრი ტონი იცვლება. აღმოსავლეთ ევროპაში მაშინ ჯერ კიდევ ის ლიდერები ქმნიდნენ პოლიტიკურ ამინდს, ვისი მოსკოვისადმი დამოკიდებულებაც უკიდურესად კრიტიკული იყო.

და ეს ლოგიკური და კანონზომიერი გახლდათ. ეს თაობა პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოვიდა. ამიტომაც აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის ერთნაირი დამოკიდებულება გაჩნდა წითელი დიქტატურისადმი. თითქმის ყველა მათგანი განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოვიდა დიდ პოლიტიკაში.

საქართველოშიც ასე იყო. მიხეილ სააკაშვილი ახალგაზრდა ლიდერად ითვლებოდა, თუმცა ისიც, ლეხ კაჩინსკის მსგავსად, შეიძლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მონაწილედ ჩავთვალოთ.

კაჩინსკის ინიციატივით შეიქმნა სწორედ აღმოსავლეთ ევროპაში ანტირუსული ბლოკი, ლიტვით დაწყებული და საქართველოთი დასრულებული.

აღმოსავლეთ ევროპაში ლიდერების თანდათანობით შეცვლამ რუსეთისადმი დამოკიდულებაც შეცვალა. პოლონეთი ამის კლასიკური მაგალითია. კაჩინსკის შემდეგ პოლონეთის ახალ ლიდერზე, პრემიერ ტუსკზე ლამის წერდნენ, რომ ის პრორუსული ორიენტაციისაა.

პოლონეთმა რიტორიკა მართლაც შეცვალა და ეს ევროსტრუქტურებშიც გამოჩნდა. ვარშავამ პოზიცია არა მხოლოდ რუსეთის, მაშინ საქართველოს მიმართაც შეცვალა. კაჩინსკის მემკვიდრე, პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ რამდენჯერმე კონფრონტაციული განცხადებაც კი გააკეთა სააკაშვილის წინააღმდეგ.

ვარშავის შემდეგ პოზიცია უკვე კიევმა შეიცვალა, როცა იუშჩენკო იანუკოვიჩმა ჩაანაცვლა, საბოლოოდ კი თავად სააკაშვილის ჯერიც



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოპიდან ახალ ევროპამდე





## რატომ და როგორ იცვლება რუსეთისადმი დამოკიდებულება და რატომ უჭერს დასავლეთი მხარს რუსეთთან დიალოგს

დადგა. ახლა თბილისი თავად არის რუსეთისადმი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგი.

როგორც პოლონეთში ტუსკი, ისე საქართველოში ღარიბაშვილი ცენტრისტულ პოლიტიკურ ფიგურებად ითვლებიან. წინამორბედებისგან განსხვავებით, მათი მთავარი მიზანია რუსეთთან დიალოგი და დასავლეთთან ინტეგრირება. ახლა ასეთივე პოლიტიკა დააფიქსირა უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

პოლონეთმა საგარეო პოლიტიკაში ფოკუსირება ვაშინგტონიდან ბრიუსელსა და ბერლინზე გადაიტანა, კიევი რუსეთთან დიალოგში შესვლას ცდილობს და არა კონფრონტაციაში.

და თუმცა, დიდი ხმაური და კრიტიკა გამოიწვია ირაკლი ღარიბაშვილის რჩევამ, საქართველოს პრემიერმა მაინც თქვა ის, რაც რეალურია. უკრაინის ახალ პრეზიდენტს საქართველოს პრემიერმა ურჩია ის, რასაც მას დღეს ყველა ურჩევს დასავლეთში – აღადგინოს დიალოგი რუსეთთან. ასე რომ, ზოგიერთი ქართველი ექსპერტისა თუ პოლიტიკოსის კრიტიკა ამ მიმართულებით სრულიად გაუგებარია.

– მე მინდა, მოკლედ ვთქვა ის, რაც უკვე ითქვა. მიგვაჩნია, რომ კონსტრუქციული დიალოგი არის საუკეთესო გამოსავალი იმისთვის, რომ ნებისმიერი კრიზისი იქნას გადაწყვეტილი. ჩვენ ეს მოვახერხეთ, დავამტკიცეთ, რომ გვსურს ნორმალური, კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება რუსეთთან, გვსურს, ამ გზით გადავჭრათ ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებობდა და არსებობს დღემდე. ჩვენ ვქმნით მაგალითს, რომ საქართველო შეიძლება, იყოს ქვეყანა, რომელსაც სურს ევროკავშირის წევრობა და ამავე დროს ინარჩუნებს და აგრძელებს კონსტრუქციულ პოლიტიკას რუსეთთან. საქართველო დანარჩენი ქვეყნებისთვის კარგ მაგალითს ქმნის, – განაცხადა საქართველოს პრემიერმა გერმანიაში ვიზიტისას.

რუსეთთან მისასვლელ გზებს თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც ეძებდა. ის კარგად ხედავდა, რომ გერმანია თბილისსა და მოსკოვს შორის საუკეთესო შუამავალი იქნებოდა.

თავის დროზე, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილსა და ანგელა მერკელს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გერმანული გაზეთის „თაგეშპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა ღიად დააფიქსირა მოსკოვთან დიალოგის სურვილი:

„მე მოვედი, რომ გავიმეორო მარტივი მესიჯი – მშვიდობა ერთადერთი გამოსავალია, ხოლო ამის მისაღწევი ერთადერთი გზა ყოვლისმომცველი პოლიტიკური დიალოგია. მაგრამ როგორ პასუხობს მეორე მხარე ჩვენს მოწოდებებს?“

მოელოდნენ, რომ გერმანია შუამავლის როლს შეასრულებდა და რუსეთს დაარწმუნებდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგის აუცილებლობაში.

ამ კონტექსტში საინტერესოა ღარიბაშვილისა და მერკელის შეხვედრა. პუტინის თემამ აქაც გაიჟღერა. საქართველოს პრემიერმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა და პუტინთან დაკავშირებით თქვა, რომ მასთან შეხვედრას კარგად მომზადება სჭირდება.



## პეტრო პოროშენკო: „სტაბილურობაზე საუბარი რუსეთთან დიალოგის გარეშე შეუძლებელია“

**ეს თაობა პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოვიდა. ამიტომაც აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის ერთნაირი დამოკიდებულება გაჩნდა წითელი დიქტატურისადმი**

სავარაუდოდ, ასეთი შეხვედრა თბილისსა და მოსკოვს შორის უკრაინაში ვითარების განმუხტვის შემდეგ იქნება შესაძლებელიც და მომგებიანიც. ახლა პუტინს მხოლოდ ბელორუსის პრეზიდენტი ართმევს ხელს.

პოროშენკო უკვე გამოთქვამს რუსეთთან დიალოგის მზადყოფნას და კრემლში მის მზადყოფნას უკვე მიესალმნენ. პეტრო პოროშენკომ არჩევისთანავე თქვა: „სტაბილურობაზე საუბარი რუსეთთან დიალოგის გარეშე შეუძლებელია.“

თუმცა, რუსული საგარეო პოლიტიკა მარტის ამინდივითაა, ხან მშვიდობას უჭერენ მხარს და ხან – ომს.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა საქართველოში ბევრს 90-იანი წლები გაახსენა. მაშინ სწორედ ტერიტორიების მიტაცებით შეძლო კრემლმა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება.

სქემა იგივეა, თუმცა შედეგი განსხვავებული იქნება. საეჭვოა, პუტინმა კიევს ევრაზიულ კავშირში შესვლა აიძულოს, ისევე როგორც ვერ აიძულებს ახლა საქართველოს. ასოცირების ხელშეკრულებას თბილისი უკვე მალე მოაწერს ხელს და ამით ჩვენთვის ევრაზიული კარი დაიხურება. უკრაინამ ტაიმ-აუტი აიღო. პოროშენკომ ევროკავშირისგან ვადა ითხოვა.

ადრე პუტინი ამბობდა, ვის ველაპარაკო – სააკაშვილს? იუშჩენკოს? კაჩინსკის? მათ მშვიდობა არ სურთ, ისინი აგრესიულ და საომარ პოლიტიკას ატარებენო. ახლა პოლიტიკური თაობა შეიცვალა და შეიცვალა მიდგომა მოსკოვისადმი. ასე რომ, პუტინს დიალოგზე უარის თქმის საბაბიც არ აქვს.

ირაკლი ღარიბაშვილი ახალი ტიპის პოლიტიკოსია. ის ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად არ იყო ჩართული. ახლა მთავარია, რამდენად მოახერხებს ის იგივე ახალი ევროპის ახალ ლიდერებთან დაახლოებას და თავადაც ლიდერის როლში ყოფნას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისთვის პოლიტიკაში.



## როგორც პოლონეთში ტუსკი, ისე საქართველოში ღარიბაშვილი ცენტრისტულ პოლიტიკურ ფიგურებად ითვლებიან. წინამორბედებისგან განსხვავებით, მათი მთავარი მიზანია რუსეთთან დიალოგი და დასავლეთთან ინტეგრირება...

## კაჩინსკის შემდეგ პოლონეთის ახალ ლიდერზე, პრემიერ ტუსკზე ლამის წერდნენ, რომ ის პრორუსული ორიენტაციისაა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა უჯდება აჭარის ბიუჯეტს რელიგიური ორგანიზაციების გამასპინძლება?



**my View**

მირიან ბოქოლიშვილი

**აჭარა სოციალური საჭიროებების კუთხით ერთ-ერთი პრობლემური რეგიონია. საკმარისია, აღვნიშნოთ თუნდაც ე.წ. მუყაოს დასახლება, სადაც ასობით ადამიანი დღემდე უშედეგოდ ელოდება სოციალურ გარანტიებს. სერიოზულ პრობლემაა მეწყერსაშიშ ზონებთან დაკავშირებით, ჰესების მშენებლობის პარალელურად იზრდება კომპენსაციის მომლოდინეთა რიცხვი, ასევე მწვავედ დგას იპოთეკარების პრობლემა.**

ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა იმ თანხებით, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვადასხვა რელიგიური თუ სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსებაზე მიემართება, გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

ჩვენ თვალი გადავავლეთ აჭარის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების ნუსხას. როგორც ჩანს, საკმაოდ სოლიდური თანხებია გამოყოფილი საპატრიარქოს წარმომადგენელთა ვიზიტებზე. ასე მაგალითად, გასული წლის 13-17 მაისს პატრიარქის თურქეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით ბათუმში იმყოფებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები, მეუფე ანდრიას ხელმძღვანელობით. სასულიერო პირების ოთხდღიანი ვიზიტი ადგილობრივ ბიუჯეტს 3277 ლარი დაუჯდა. 16 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო მიღება კი – 10 000 ლარი. აჭარის მთავრობამ, ამავე ღონისძიებისთვის ბათუმში ჩასული სტუმრების დაბინავებაზეც იზრუნა. ამ მიზნით სასტუმრო „ინტურისტ პალასის“ 18 ნომერში 11 240 ლარი გადაიხადა.





**„სასულიერო პირების ოთხდღიანი ვიზიტი ადგილობრივ ბიუჯეტს 3277 ლარი დაუჯდა... საზეიმო მიღება კი – 10 000 ლარი. აჭარის მთავრობამ, სტუმრების დასაბინავებლად სასტუმრო „ინტურისტ პალასის“ 18 ნომერში 11 240 ლარი გადაიხადა“**

აჭარის მთავრობას, ფული არ დაუზოგავს სხვა რელიგიური ორგანიზაციების საზეიმო მიღებაზეც. ბიუჯეტს 9 500 ლარი დაუჯდა საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს წარმომადგენელთათვის რესტორან „კახაბერში“ გამართული სადილი.

რაც შეეხება სახელმწიფო ღონისძიებებს, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმში გამართული თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია. ამ ღონისძიების ყვავილებით გაფორმებასა და დიზაინერულ მომსახურებაში გადახდილია 1300 ლარი, კონფერენციის მონაწილეებისთვის სასტუმრო „ინტურისტ პალასში“ გამართული ვახშმის დეკორაცია – 2550 ლარი, თავად ვახშამი კი 18 318 ლარი დაჯდა.

მაშინ, როცა აჭარის მთავრობა სასულიერო პირებისა და მაღალჩინოსნების გამასპინძლებაზე ფულს არ იშურებს, საკმაოდ ხელმომჭირნეობას იჩენს სოციალურად დაუცველი ბავშვების მიმართ. მაგალითად, ბავშვთა დაცვის დღეს, რეგიონის მასშტაბით მზრუნველობამოკლებული და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვების გამასპინძლებისთვის აჭარის მთავრობამ, სულ რაღაც, 433 ლარი გაიღო, დაახლოებით იგივე, რაც რესტორან „მარსელში“ თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას გამასპინძლება დაჯდა.

**„აჭარის მთავრობას ფული არ დაუზოგავს სხვა რელიგიური ორგანიზაციების საზეიმო მიღებაზეც. ბიუჯეტს 9 500 ლარი დაუჯდა საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს წარმომადგენელთათვის რესტორან „კახაბერში“ გამართული სადილი“**

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე საუბრობს. როგორც „პრაიმტაიმს“ ორგანიზაციაში განუმარტეს, რელიგიური ორგანიზაციები, მით უმეტეს მართლმადიდებლური ეკლესია ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად საკმაოდ სოლიდური თანხით ფინანსდება და ეკლესიის წარმომადგენელთა ვიზიტებზე დამატებითი თანხების გაღება არამიზანშეწონილია.

**მალხაზ ჭკადუა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“:**

– ჩვენს ორგანიზაციას ყველაზე მეტი კითხვა აქვს სწორედ რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა დაფინანსების კუთხით. ვფიქრობთ, თავად ამ რელიგიებისთვის გამოყოფილი სახსრები ისედაც საკმარისი უნდა იყოს, რომ დამატებითი თანხები არ იხარჯებოდეს ბიუჯეტიდან. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს საპატრიარქოს დელეგაციისთვის გამართულ მიღებაზე, რომელიც საკმაოდ სოლიდური თანხა დაჯდა, ისევე როგორც რამდენიმე სასულიერო პირის სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავების ხარჯები, რომელიც აჭარის მთავრობამ გაიღო. დაახლოებით 10 000 ლარია დახარჯული მუსლიმანთა სამმართველოს წარმომადგენელთა საზეიმო მიღებისთვის. ისეთი ტრადიციული და ძლიერი რელიგიები, როგორიცაა მართლმადიდებელი ეკლესია და მუსლიმანთა თემი, არ საჭიროებენ დამატებით დაფინანსებას, ისინი ისედაც არ არიან მცირე თანხით დაფინანსებულები, როგორც საკუთარი მრევლისგან, ისე სახელმწიფოსგან.



**„ბათუმს სტუმრობდნენ რუსული ესტრადისა და კინოს ცნობილი სახეები, ასევე, ქართველი პოპ-შემსრულებლები. სასტუმრო „ინტურისტში“ მათი დაბინავება ბიუჯეტს 28 340 ლარი დაუჯდა“**

**– ამის პარალელურად, აჭარის ბიუჯეტიდან საკმაოდ მიზერული თანხაა გახარჯული მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებზე...**



მალხაზ ჭკადუა

– დიახ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ იხარჯება ბიუჯეტიდან ათი ათასობით ლარი სასულიერო პირების კომფორტზე და მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებზე მხოლოდ 300-400 ლარი. რა უშლის ხელს იგივე აჭარის მთავრობას, რომ ბავშვებზე გაცილებით მეტი თანხა დახარჯოს? ამჟამად, საპატრიარქოს აქვს საკმაოდ დიდი დაფინანსება ბიუჯეტიდან, ეს არის 25 მილიონი ლარი. ამასთანავე, ჩვენ გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია, რა ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, როგორ გადაეცემოდათ სხვადასხვა ძვირადღირებული ქონება ერთ ლარად, ან პირდაპირ ხდებოდა პრეზიდენტის მიერ მიწის ნაკვეთის გადაცემა. საუბარია ძალიან დიდ ქონებაზე, 2004-12 წლებში 200 მილიონის ღირებულების ქონება გადაეცათ. ცალკე კვლევის საგანია, კონკრეტული მუნიციპალიტეტები რა სახსრებს სწირავდნენ ამა თუ იმ ეპარქიას. მე, როგორც ერთი მოქალაქე, ვთვლი, რომ სახელმწიფო საერთოდ არ უნდა აფინანსებდეს რელიგიურ ორგანიზაციებს, მოქალაქეებს თავად ჰქონდეთ არჩევანი, მისი საშემოსავლო გადასახადით რა ფინანსდებოდეს – საქველმოქმედო პროექტი, რელიგიური ორგანიზაცია თუ სხვა სახის პროექტი. თუ ვისაუბრებთ იმაზე, რომ ეს არის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის კომპენსაცია, მაშინ ისმის კითხვა – ვინ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, საქართველო თუ რუსეთი? ბოლოს და ბოლოს, რატომ ვერ მოხერხდა ამ ზარალის დათვლა, რომ ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფომ გადაიხადოს ეს კომპენსაცია. მე გაგახსენებთ „რესპუბლიკელების“ ინიციატივას, როცა დავით ბერძენიშვილმა თქვა, რომ იყო იდეა საპატრიარქოს ძველი პრაქტიკით დაფინანსების თაობაზე. ამ იდეით სახელმწიფო კომისიას უნდა დაეთვალა, რა ზიანი მიადგა მართლმადიდებლურ ეკლესიას საბჭოთა პერიოდში, ეს თანხა ანაზღაურებულიყო, ისევე როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა, მაგრამ ეს იდეაც უგულებელყოფილი იქნა და ახალმა ხელისუფლებამ 22 მილიონიდან 25 მილიონამდე გაუზარდა დაფინანსება ეკლესიას.

რელიგიური და სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსების გარდა, „პრაიმტაიმმა“ თვალი გადაავლო, რა დაუჯდა ადგილობრივ ბიუჯეტს სხვადასხვა დელეგაციებისა თუ კერძო პირების სტუმრობა. ძვირადღირებულ რესტორნებში ქეიფი და ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში დაბინავება აქაც აქტუალურია, თუმცა ამ შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორი აჭარულ „სტუმართმასპინძლობას“ რეგიონში ინვესტიციების მოზიდვითა და ტურიზმის ხელშეწყობით ხსნის.

უცნობია, რა დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს კომპანია „სოკარი“ აჭარის რეგიონში, თუმცა სტუმარ-მასპინძლობით, წესით, უკმაყოფილო არ დარჩებოდა კომპანიის გენერალური დირექტორი, მაირ მამედოვი. აჭარის მთავრობამ ბიზნესმენი რესტორან „აჭარულ ღვინის სახლში“ აქეიფა, რაშიც 3 000 ლარი გადაიხადა. ამავე რესტორანში უმასპინძლეს ლორეს ოლქის გუბერნატორს არტურ ნალბანდიანს. ქეიფი ამჯერად 1434 ლარით შემოიფარგლა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბათუმის პიაცაზე უმასპინძლა სასტუმრო „გოლდენ პალასის“ მფლობელს, ოლეგ ვიშნიაკოვს, რაშიც 1765 ლარი გახარჯა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ არჩილ ხაბაძესთან

აჭარის ხელისუფლებამ იზრუნა თამარ გვერდწითელის სახელობის მუსიკალური ფესტივალის მონაწილეების დაბინავებაზეც. შეგახსენებთ, რომ 8-15 აგვისტოს ფესტივალის ფარგლებში ბათუმს სტუმრობდნენ რუსული ესტრადისა და კინოს ცნობილი სახეები, ასევე, ქართველი პოპ-შემსრულებლები. სასტუმრო „ინტურისტში“ მათი დაბინავება ბიუჯეტს 28 340 ლარი დაუჯდა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა არაერთი პრესტური რეგიონში, ასე მაგალითად: უკრაინული მედიის წარმომადგენელთა ვახშამი „აჭარულ ღვინის სახლში“ (500 ლარი), პრესტურის წარმომადგენელთა ტრანსპორტირება ქალაქის ტერიტორიაზე (550 ლარი), გამასპინძლება რესტორან „მარსელში“ (300 ლარი), ამავე პრესტურისთვის ბიუჯეტიდან გაიხარჯა, ასევე, 992 ლარი. აჭარის მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო ბელორუსი ჟურნალისტის სერგეი ხამენტოვსკის გამასპინძლება, ისევე როგორც ბელორუსული ტელეპროექტის მონაწილე ბავშვთა მიღება (1255 ლარი).

„უცხოური დელეგაციების მიღება აბსოლუტურად ნორმალურია. მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ინვესტორები დააინტერესოს. აჭარა არის პროგრესირებადი რეგიონი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ტურიზმი. აქ საუბარი არაა კატასტროფულ თანხებზე. იდეაში, დღეს გამართული კარგი სადილი, ხვალ კარგი ინვესტიციის საწინდარიც კი იყოს. ასე რომ, ამ მიმართულებით საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბარში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი, მალხაზ ჭკადუა.

ორგანიზაციას გაცილებით მეტი კითხვა აქვს პრემიებთან და სახელფასო დანამატებთან დაკავშირებით, რომელიც აჭარის მთავრობის აპარატში 2014 წლის პირველ კვარტალში დარიგდა. ჭკადუას ინფორმაციით, მიმდინარე წლის 4 თვეში აჭარის მთავრობის აპარატის თანამშრომლებზე პრემიის სახით 1 100 000 ლარი გაიცა.

„როგორ შეიძლება ყველა ერთნაირი წარმატებით მუშაობდეს და ყველა იმსახურებდეს წახალისებას. აჭარის მთავრობის აპარატში იანვრიდან აპრილის ჩათვლით 1 400 000 ათასია ხელფასებზე გაცემული და დამატებით 1 100 000 გაცემულია პრემიების სახით. ასეთი მიდგომა იწვევს, ერთი მხრივ, საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვან ხარჯვას, მეორე მხრივ, მოსახლეობის გაღიზიანებას, რაც, წესით, ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს. პრემიებთან და დანამატებთან დაკავშირებით არის ისეთივე სიტუაცია, როგორც დანარჩენ საქართველოში. თუ რომელიმე საჯარო უწყება დამისაბუთებს, რომ 124 ადამიანით დაკომპლექტებულ სამსახურში ყველა ერთნაირი გულმოდგინებით მუშაობს და საჭიროდ ჩაითვალა ყველასთვის პრემიის ჩამორიგება, მაშინ ბოდიშს მოვიხდი“, – ამბობს ჭკადუა.

ჩვენ მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, 2014 წლის პირველი იანვრიდან, 2014 წლის პირველ აპრილამდე აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ 16 550 ლარი აიღო – 9930 ლარი ხელფასი და 6 620 ლარი პრემია/დანამატი. საკმაოდ მოცულობითია არჩილ ხაბაძის მივლინებების ნუსხაც. ირკვევა, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გასულ წელს თითქმის ყოველთვე სტუმრობდა სხვადასხვა ქვეყნებს, რიგ შემთხვევაში ის ქვეყნიდან თვეში ორჯერაც გადიოდა. ხაბაძე 2013 წლის 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით პოლონეთს სტუმრობდა. ოფიციალურად, ვიზიტი 2743 ლარი დაუჯდა. 11-დან 16 მარტის ჩათვლით ის თურქეთს ეწვია (2000 ლარი), აპრილში, უკრაინის ქალაქ ოდესაში განხორციელებული ვიზიტის ხარჯმა 2312 ლარი შეადგინა, მაისში ოთხდღიანი ვიზიტით სტუმრობდა გერმანიას, რაც 3500 ლარი დაუჯდა, გერმანიიდან დაბრუნებული არჩილ ხაბაძე რამდენიმე დღეში საფრანგეთში გაემგზავრა (4153 ლარი). აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს აზერბაიჯანში ექვსდღიანი ვიზიტი 1890 ლარი დაუჯდა. 12-15 აგვისტოს ხაბაძე უკვე ისრაელშია, ვიზიტის ხარჯმა ამ შემთხვევაში 3129 ლარი შეადგინა. საშემოდგომო მივლინებების სეზონი არჩილ ხაბაძემ სექტემბერში თურქეთში ვიზიტით გახსნა, ამ ქვეყანას ის ნოემბერშიც ეწვია, ორივე ვიზიტი 2000 ლარი დაუჯდა. გასული წლის მივლინებები ხაბაძემ გერმანიაში ორდღიანი ვიზიტით დაასრულა, რაშიც ბიუჯეტიდან 2618 ლარი გადაიხადა.



## my View
### მირიან ბოქოლიშვილი

**რას პასუხობს არჩილ ხაბაძე აჭარის მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების ირგვლივ გაჩენილ კითხვებს? ჩვენ ამის გასარკვევად პირადად აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მივმართეთ. ხაბაძე ამბობს, რომ წინა წლებთან შედარებით თანხები მიზნობრივად და აუცილებლობიდან გამომდინარე იხარჯება. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს აჭარის მთავრობის მეთაურთან.**

**– ბატონო არჩილ, გვაინტერესებს, რამდენად მიზნობრივად იხარჯება აჭარის ბიუჯეტი? ჩვენთვის ცნობილია 2014 წლის პირველ კვარტალში აჭარის მთავრობის თავმჯდომარესა და აპარატის სხვა თანამშრომლებზე გაცემული საკმაოდ სოლიდური სარგო, დანამატი და პრემიები. რამდენად ადეკვატურია ეს გაწეული სამუშაოებისა?**

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის გამართული და ეფექტური საქმიანობის განხორციელების პროცესში. ხოლო უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლების მოტივირებულ და წარმატებულ საქმიანობასთან. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლებზე გაცემული პრემია ადეკვატურად ასახავს თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის მნიშვნელობასა და ხარისხს.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, პირველ კვარტალში სულ რა თანხა დახარჯეთ ხელფასებსა და პრემიებზე?**

– მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სულ გაიხარჯა 658 643 ლარი. რაც შეეხება ადეკვატურობას, ეს თანხა ნამდვილად არ შეესაბამება იმ შრომის ანაზღაურებას, რომელსაც ჩემი თანამშრომლები იმსახურებენ. მათი უმრავლესობა 14- და ხან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს, შაბათ-კვირის ჩათვლით. გეცოდინებათ, ალბათ, რომ არასამუშაო საათები ორმაგად ანაზღაურებადია. სამწუხაროდ, ამ ხარჯის გაწევის საშუალებას ბიუჯეტი არ იძლევა და ამიტომ იმით ვკმაყოფილდებით, რისი საშუალებაცაა, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლებზე პრემია გაიცემა მთავრობის აპარატში შექმნილი საჯარო მოსამსახურეთა საპრემიო კომისიის გადაწყვეტილებით, თანამშრომლების მიერ კონკრეტული თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ადეკვატურად.

**– რაც შეეხება ვიზიტებს... თითქმის ყოველთვე გქონდათ მივლინებები საზღვარგარეთ... რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტები და რამდენად მოცულობითია ის თანხები, რომელიც ამ ვიზიტების დროს დაიხარჯა?**

– მოდით, დავიწყოთ იქიდან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტები. გასულ წელს მე, როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, და მთავრობის წევრები სხვადასხვა დროს ვიმყოფებოდით უკრაინაში, საფრანგეთში, პოლონეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, ისრაელსა და გერმანიაში. ამ ვიზიტების დროს ჩამოთვლილი ქვეყნების სხვადასხვა სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან ერთად შევიმუშავეთ გრძელვადიანი პროექტები განათლების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, კულტურისა და ტურიზმის სფეროს განვითარების კუთხით. სწორედ ამ ვიზიტების შედეგია ის, რომ დღეისთვის აჭარის სამედიცინო დაწესებულებების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სტაჟირებას გადიან პოლონეთისა და თურქეთის საუკეთესო კლინიკებში, გაცვლითი პროგრამები მოქმედებს სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის. თურქეთის ორგანიზაცია „TIKA“-ს დახმარებით ხორციელდება არაერთი პროექტი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების კუთხით. ასევე, ჯანდაცვის მიმართულებითაც. ამ ვიზიტების შემდეგ რეგიონს ტურიზმის განვითარებისა და ჩვენი პოტენციალის გაცნობის მიზნით ეწვია ჟურნალისტთა და ტუროპერატორთა არაერთი ჯგუფი ინფო- და პრესტურების ფარგლებში, რომლებიც გამოხმაურებებს აკეთებენ თავიანთი ქვეყნის ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში.

**– საერთო ჯამში, რა თანხა გაიხარჯა თქვენს ვიზიტებში?**

– შესადარებლად მინდა გითხრათ, რომ გასულ წელს ჩემი ვიზიტებისთვის 25 634 ლარი გაიხარჯა. უცხო ქვეყანაში მგზავრობისას კანონმდებლობით შემიძლია ვისარგებლო ბიზნესკლასით, თუმცა ყოველთვის ეკონომკლასით გადავადგილდები, ხარჯების მაქსიმალურად ეკონომიის მიზნით. ეს მაშინ, როდესაც 2012 წელს ჩემი წინამორბედი აჭარის მთავრობა მარტო თურქეთში 104-ჯერ იმყოფებოდა, გერმანიაში 16 ვიზიტი აქვს განხორციელებული, საფრანგეთში – 10, აშშ-ში – 7, ჩინეთში – 6, პოლონეთსა და უკრაინაში – 6-6, ჩეხეთში – 3, პორტუგალიასა და მოლდოვაში – 4-4, ნიდერლანდებსა და ბრიტანეთში – 2-2 და ასე შემდეგ. და ამ ვიზიტებისას სხვადასხვა დროს მხოლოდ თავმჯდომარეზე გახარჯული თანხა შეადგენს 53 824 ლარს 10 თვეში. ამ ქვეყნებში ვიზიტებისა და ურთიერთობების შედეგების შეჯამება თქვენთვის მომინდვია. თითოეული ჩვენი გასვლა ქვეყნიდან ემსახურება კონკრეტულ მიზანს, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული და დამერწმუნეთ, ყველა ვიზიტს მართლაც მოჰყვა შესაბამისი შედეგი. ამაზე მიმდინარე პროცესები მეტყველებს. ამ ტიპის სამუშაო ვიზიტები რეგიონისთვის აუცილებელია და მნიშვნელოვანია სამომავლო ურთიერთობებისთვის. განხორციელებული ვიზიტების რანგი და მნიშვნელობა განსაზღვრავს გაწეული ხარჯის ოდენობას. ნებისმიერი თანხა, რომელსაც აპარატი გასცემს, სარგოდან დაწყებული, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯებით დასრულებული, ყველა მიზნობრივია და შესაბამისი აქტებით რეგულირდება.




**„ეს თანხა ნამდვილად არ შეესაბამება იმ შრომის ანაზღაურებას, რომელსაც ჩემი თანამშრომლები იმსახურებენ. მათი უმრავლესობა 14- და ხან 24-საათიან რეჟიმში მუშაობს“**

**– აჭარის ბიუჯეტმა დააფინანსა არაერთი რელიგიური თუ სახელმწიფო ღონისძიება, ასევე, უცხოელი სტუმრების (მედიის, კულტურის, ბიზნესის, პოლიტიკის სფეროს წარმომადგენლები) რესტორნებში გამასპინძლება, სასტუმროებში დაბინავება და ა.შ. იყო თუ არა მიზნობრივი ის ხარჯები, რომელიც გასული წლის განმავლობაში გაიხარჯა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ ღონისძიებებში?**

– აჭარის მთავრობა ამ შემთხვევაშიც შესაბამისი კანონით ხელმძღვანელობს, სადაც მკაცრადაა განსაზღვრული ე.წ. ადმინისტრაციულ-წარმომადგენლობითი ხარჯები. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არანაირი მედიაორგანიზაციების ვიზიტები ჩვენ არ დაგვიფინანსებია. თუ თვლით, რომ უკრაინიდან თავისი ხარჯებით ჩამოსული 35-მდე მედიაორგანიზაციის წარმომადგენლის, ან სხვა მცირე ჯგუფის ბათუმში გადაადგილება და ვახშამი დაფინანსდა, ამისთვის თანხა გამოიყო აპარატის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან. ისე კი, 2013 წელს სხვადასხვა რანგისა და მნიშვნელობის სტუმრის მიღება-გამასპინძლების, მათთვის სასტუმრო და მომსახურების ხარჯების ჩათვლით გახარჯულმა თანხამ 188 683 ლარი შეადგინა. მაშინ, როდესაც 2012 წელს ეს ყველაფერი ბიუჯეტს დაუჯდა 771 347,40 ლარი. სხვაობა, ვფიქრობ, ნათელია.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლულუ ლაბაძე: „საპატიმროში უსწავლებია ერთ-ერთ პა კბილის ჭუჭყი, დაემართა განგრენა. არ მიაქციეს ყურად

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

სოზარ სუბარზე ბევრჯერ ითქვა, რომ მას მალე დაატოვებინებდნენ პოსტს. კიდევ უფრო ბევრჯერ გავრცელდა ინფორმაცია მისი ჩამნაცვლებლის შესახებ, თუმცა ფაქტია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დღემდე ახერხებს თანამდებობის შენარჩუნებას. პრობლემების არსებობას თავად ხელმძღვანელობაც ადასტურებს, სწორედ ამიტომ სუბარმა თავადვე დაადასტურა, რომ არაერთხელ დაწერა განცხადება წასვლის შესახებ... ექსპერტების განცხადებით, საპყრობილეებში არსებული პრობლემების გამო ხელმძღვანელობა ნამდვილად იმსახურებს შეცვლას. როგორც ამბობენ, უკმაყოფილო პატიმრები და მათი ოჯახის წევრები საჩივრებს საჩივრებზე წერენ და მდგომარეობის გაუმჯობესებას ითხოვენ. სანაცვლოდ კი პრობლემები და კანონდარღვევის ფაქტების რიცხვი მატულობს...

ლაშა ლაბაძე და ნიაზ თაგვიაშვილი სასჯელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეექვსე დაწესებულებაში იხდიან. ლაბაძეს ოცდაერთწლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, თაგვიაშვილს კიდევ რვა წელი დარჩა მოსახდელი. ორივეს ერთი პრობლემა აერთიანებს – მათ საპატიმროს შეცვლა უნდათ. მათი ოჯახის წევრები საკუთარი მოთხოვნის შესასრულებლად უკვე დიდი ხანია იბრძვიან, თუმცა მიზანს ჯერ ვერ მიაღწიეს.

ნიაზ თაგვიაშვილის მეუღლე, რიმა ბურჯანაძე აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში საპატიმროსთან შიმშილს დაიწყებს, თუ მის მეუღლეს „ღია დაწესებულებაში“ არ გადაიყვანენ, სადაც ის გარეთ გასვლას მოახერხებს. გადაყვანის მოთხოვნის მიზეზად პირად უთანხმოებას ასახელებს. ბურჯანაძის განცხადებით, მის მეუღლეს ციხის ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად უპირისპირდება. პრობლემები თაგვიაშვილს აგვისტოში დაეწყო, როდესაც პატიმარს „მაყურებლებმა“ ეგრეთწოდებული „ობშიაკის“ გადახდა მოსთხოვეს.

# რიმა ბურჯანაძე: „როცა გადაჰყავდათ, ჩემმა მეუღლემ იკითხა, სად მიგყავართო და უპასუხეს, მოსაკლავადო“




## რიმა ბურჯანაძე: „რვა თვე სვამდა წამალს და მსგავსი სიმპტომები არ ჰქონია, ერთ დღესაც, სწორედ მუქარის შემდეგ მოიწამლა, გონება დაკარგა, გონზე ვერ მოჰყავდათ“

**რიმა ბურჯანაძე, პატიმრის მეუღლე:**

– აგვისტოში ჩემს მეუღლეს ათასი ლარის გადახდა მოსთხოვეს, სწორედ ამ მიზეზით მოუვიდა „მაყურებლებთან“ დაპირისპირება. უთხრეს, თუ მე კონკრეტულ ანგარიშზე ჩავრიცხავდი ათას ლარს, ის ციხეში თავს უკეთ იგრძნობდა და მისი პირობები გაუმჯობესდებოდა. პირდაპირ ასე უთხრეს, აქ, ძმაო, ჰაერი ფული ღირსო...

**– ვისთვის უნდა ჩაგერიცხათ?**

– კონკრეტული სახელი და გვარი მითხრეს და კონკრეტული საბანკო ანგარიში, რომელზეც მე მართლაც ჩავრიცხე თანხა. მოგვიანებით უსაფრთხოების უფროსთან, მაშინ ზურაბ ვარდიძე იყო და მასთან მივედი, მივუტანე ფაქტები, ქვითრების სახით, სადაც დაფიქსირებული იყო გადარიცხვა. კონკრეტულ გვარებს ვერ გეტყვით, ამ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

**– რა ეტაპზეა გამოძიება?**

– მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ჯერ არაფერი გარკვეულა. მეც დამკითხეს და ჩემი მეუღლეც, როდესაც ვკითხულობ, მპასუხობენ, გამოძიება მიმდინარეობსო...

**– ახლა როგორ არის?**

– ახლა ერთთვიანი აკრძალვა დაუწესეს დარეკვაზე, რომ ჩემამდე ვერ მოაღწიოს მისგან ინფორმაციამ, რა დღეში ჰყავთ იქ. როგორც კი უსაფრთხოების უფროს მიშა კიკვაძესთან მივედი და იმ ოფიცრების გვარები მოვახსენე, რომლებიც ჩემს მეუღლეს მოწამვლით ემუქრებოდნენ, სწორედ მას შემდეგ გაძლიერდა ზეწოლა მასზე. დღესაც ყველა ის დამნაშავე მუშაობს საპატიმროში, რეაგირება არ ყოფილა. როგორც კი მე ვაქტიურდები, მივდივარ და ვითხოვ დამნაშავე პირების დასჯას, მაშინვე იწყება ჩემს მეუღლეზე ზეწოლა, მუქარა. ბოლოს ასე უთხრეს, უარესს ელოდეო. იქ ჰყავთ ანზორ ნარეკლიშვილი, პატიმარია, მისი მეტსახელია „ბოროტა“ და ბრიგადირად ჰყავთ არჩეული. პირადად დავინახე, როდესაც ამ ადამიანმა ამანათების გადასაცემ ოთახში პატიმარი შეახვედრა ოჯახის წევრს. ეს არ არის დარღვევა? ეს რომ ვიკითხე, ამის შემდეგ კიდევ განხორციელდა ჩემს მეუღლეზე ზეწოლა, მას აგინეს, მაგრამ პირიქით მოხდა, ჩემს მეუღლეს აბრალებენ გინებას, თითქოს მან აგინა სხვას. ამაზე ვიკითხე, ხომ არსებობს ვიდეოთვალი და ჩანაწერები-მეთქი და მიპასუხეს, როგორ დაამტკიცებ, რომ გინების ხმა სხვა საკნიდან გამოდის და არა შენი მეუღლის საკნიდანო... გამანადგურეს, ერთი თვეა, სახლში არ წავსულვარ, დილიდან საღამომდე დეპარტამენტში ვარ... ბოლოს გააფრთხილეს, ერთ დღეს ნახავ, რომ მოიწამლებიო... ისიც უთხრეს, არ გეშინია, შენს ცოლს მანქანამ რომ დაარტყასო...

**– მოწამვლა როგორ მოხდა?**

– ჩემი მეუღლე დამამშვიდებლებს იღებს 8 თვეა უკვე, რადგან მარტო ჰყავთ გამოკეტილი საკანში და ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. ბუნებრივია, ექიმის დანიშნულებით იღებს წამლებს. რვა თვე სვამდა წამალს და მსგავსი სიმპტომები არ ჰქონია, ერთ დღესაც, სწორედ მუქარის შემდეგ მოიწამლა, გონება დაკარგა, მხოლოდ ჩემს სახელს ახსენებდა. გონზე ვერ მოიყვანეს.

**– თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ წამლის საშუალებით მოწამლეს?**

– ფაქტია, რომ წამლის დალევის შემდეგ მოიწამლა, თავდაპირველად თავბრუსხვევა იგრძნო, მალევე გადმოვარდა ლოგინიდან და ეს ექიმმა დააფიქსირა. არსებობს მისი განცხადება, რომელსაც ვერ უარყოფენ.

**– როგორც თქვენ აღნიშნეთ, ითხოვთ სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, რატომ გინდათ შეცვლა ან რა მიზეზით გეუბნებიან უარს?**

– ერთხელ, როდესაც ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაჰყავდათ, ჩემმა მეუღლემ იკითხა, სად მიგყავართო და უპასუხეს, მოსაკლავადო... ახლა კი იმიტომ ვითხოვთ გადაყვანას, რომ ამ დაწესებულებაში მუდმივად ხორციელდება მასზე ზეწოლა. ეს უკვე პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. 5 წლის განმავლობაში სიტყვიერი შენიშვნა არ აქვს



## რიმა ბურჯანაძე: „როგორც კი უსაფრთხოების უფროს მიშა კიკვაძესთან მივედი და იმ ოფიცრების გვარები მოვახსენე, რომლებიც ჩემს მეუღლეს მოწამვლით ემუქრებოდნენ, სწორედ მას შემდეგ გაძლიერდა მასზე ზეწოლა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტიმარს და შპრიცით ფეხში შეუშვა საკუთარი ნერწყვი და ღება, გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა და ბოლოს მოაჭრეს“

მიღებული ჩემს მეუღლეს, ადმინისტრაციული დარღვევა უნდათ, ჩაუდონ პირად საქმეში და რა ხერხს აღარ მიმართავენ ამის გამო. 8 წელი აქვს დარჩენილი, იმდენად სასჯელზე აღარ ვნერვიულობ, რამდენადაც მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. რვა თვის განმავლობაში მარტო ჰყავთ გამოკეტილი საკანში. სხვა პატიმრების საკნებიდან შორს ზის, გამოტოვებულია ცარიელი თოთხმეტი საკანი და ითხოვს ცოტა ახლოს გადმომიყვანეთ, რამე რომ გამიჭირდეს, ხმას მაინც მივაწვდენ სხვებსო. არ გადაჰყავთ. რამდენჯერმე სპეციალურად საპირფარეშოში დარჩა რამდენიმე საათის განმავლობაში, აინტერესებდა, მოვიდოდნენ თუ არა და შეამოწმებდნენ თუ არა, სად გაქრა პატიმარი, მაგრამ არავის შეუმოწმებია. არანაირად დაცული არ არის ჩემი მეუღლე. სხვა დაწესებულებაში გადაყვანაზე უარს დიდი ხნის განმავლობაში ვერაფრით ხსნიდნენ, ბოლოს კი გვითხრეს, რვა თვის წინ თვითდაზიანება რომ მიიყენა და ხელი გადაისერა, ამის გამო ვერ გადავიყვანთო.

**– თვითდაზიანება რატომ მიიყენა?**

– მაშინ საპატიმროს დირექტორი ცომაია იყო, სწორედ მისი დავალებით გვერდითა საკნებიდან ჩემს მეუღლეს პატიმრებმა აგინეს. უნდოდათ, პროვოკაცია მოეწყოთ, რომ ვერ მოეთმინა. ჩემმა მეუღლემ კი, სხვა რომ ვერაფერი გააკეთა, სიმწრისგან ხელები გადაისერა. ასეთ არაადამიანურ პირობებში ჰყავდათ ადამიანი, რომელსაც ნაციონალების რეჟიმის დროს ათი თვის განმავლობაში ელექტროშოკით აწამებდნენ, ხან ერთი ფეხით დაჰკიდებდნენ და ხან მეორე ფეხით. თავად მოყვა, სამჯერ მომკლეს და გამაცოცხლეს, ისეთ დღეში ვიყავიო...

თაგვიაშვილთან დაკავშირებით სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ საბოლოო პასუხი ადვოკატსა და ოჯახს, წესით, რამდენიმე დღის წინ უნდა მიეღო, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არსებობს. პატიმრის მეუღლის განცხადებებით, საპატიმროს თანამშრომლები ცდილობენ, თაგვიაშვილი პროვოკაციაზე წამოაგონ, რომ გადაყვანაზე უარის თქმის მიზეზი მიეცეთ. თაგვიაშვილის ადვოკატის, თამილა მილდიანის განცხადებით, ასეთი მიზეზი ამ ეტაპზე „ნაპოვნი“ აქვთ. ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ თაგვიაშვილმა ერთ-ერთ მსჯავრდადებულს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა თავად პატიმარი აღნიშნულ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

**თამილა მილდიანი, ნიაზ თაგვიაშვილის ადვოკატი:**

– მდგომარეობა მძიმეა, პრეტენზიები აქვს ადმინისტრაციის მიმართ, მოთხოვნაც იგივეა, სურს, რომ სხვა დაწესებულებაში გადაიყვანონ. სამწუხაროდ, ერთთვიანი აკრძალვაც დარეკვასთან დაკავშირებით ძალაში რჩება. ორშაბათს შევიტანთ საჩივარს აუცილებლად. ნიაზ თაგვიაშვილს ბრალდებას უყენებენ, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ მსჯავრდადებულს, ამ ფაქტს თავად კატეგორიულად უარყოფს და რაც მთავარია, დაზარალებულიც არ აწერს ხელს, არც ახსნა-განმარტება აქვს მიცემული.

კიდევ უფრო მძიმეა 33 წლის ლაშა ლაბაძის ისტორია. ის თავდაპირველად კაზინოს დაყაჩაღებისთვის დააკავეს, თუმცა საქმის ძიების პროცესში ბრალდება შეეცვალა და საბოლოოდ ის გისოსებსმიღმა ჯართის პუნქტის დაყაჩაღებისთვის აღმოჩნდა. თანაც ოცდაერთი წლით... სამწლიანი პატიმრობის შემდეგ ლაშამ საპატიმროში თვითდაზიანების შედეგად ერთი ფეხი დაკარგა და ახლა მეორის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. პატიმრის დედა, ლულუ ლაბაძე შვილის ქალაქის კლინიკაში გადაყვანასა და გამოკვლევების ჩატარებას ითხოვს, რადგან ის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე დამოუკიდებლად ველარ გადაადგილდება. თვითდაზიანება პატიმარმა დამამშვიდებელი აბების შემცირების გამო მიიყენა. როგორც ლაშას დედა ყვება, მისი შვილი ბავშვობიდან ნერვიული იყო და თვითდაზიანებებსაც ხშირად იყენებდა, თუმცა, როგორც ლულუ ლაბაძე აცხადებს, ლაშა ლაბაძე ახლა სუიციდით იმუქრება, „ასე მითხრა, როცა მოვკვდები, მამასთან დამკრძალეო“...

ლაშა ლაბაძის მოთხოვნაც, ნიაზ თაგვიაშვილის მსგავსად, დაწესებულების შეცვლაა. მიზეზი ამ შემთხვევაშიც იგივეა – არაადამიანური პირობები და დამოკიდებულება...

**ლულუ ლაბაძე, პატიმრის დედა:**

– გოგი გახარიას სახელზეც დავწერე განცხადება და სწორედ მას ვთხოვე ლაშას გადაყვანა სხვა, „ღია ტიპის დაწესებულებაში“, გახარიას კი ასე უთქვამს, პატიმარმა ლაბაძემ თავად გვთხოვა მეექვსე დაწესებულებაში გადაყვანა და მისი სურვილი შევასრულეთო. ეს ტყუილია, ამაზე მეტი ცინიზმი არ არსებობს, სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადაყვანას როგორ მოითხოვდა?

**– თავდაპირველად რის გამო დააკავეს თქვენი შვილი?**

– დააკავეს კაზინო „აჭარის“ დაყაჩაღების ბრალდებით. არადა ერთ კვირაში უცხოეთში მიდიოდა საცხოვრებლად. დაჭერისას მისგან თანამშრომლობას ითხოვდნენ, მაგრამ ჩემი შვილი წინააღმდეგი იყო, რადგან არც კაზინოს დაყაჩაღებაში მიუღია მონაწილეობა და ვისთვის უნდა დაედო ხელი? მაშინ პოლიციის უფროსმა, ემზარ ძევიშვილმა და ვოვა ძნელაძემ მითხრეს, დაზარალებულებმა და მოწმეებმა თქვენი შვილი ამოიცნესო. მაშინ მოვითხოვე ამ დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენება, მაგრამ პოლიციელმა პასუხის მაგივრად შეურაცხყოფა მომაყენა... ვუთხარი, ჩემი შვილი თვალებში ვერ იყურება წესიერად, მხედველობა თითქმის არ ჰქონდა და როგორ უნდა დაეყაჩაღებინა რამე? 18 წლის ასაკში ჩემს შვილს სიმსივნე აღმოაჩნდა და მას შემდეგ სულ ვმკურნალობდით. ამის გამო სახლიც გავყიდე და ყველაფერი, რაც გამაჩნდა.

**– ყაჩაღობისთვის მიუსაჯეს?**

– იმ საღამოს, როდესაც პოლიცია ამბობდა, კაზინო დააყაჩაღესო, ჩემი შვილი „მაკდონალდსში“ იყო, როგორც ჩანს, ახლოს სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა და რადგან ჩემი შვილი ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი, სწორედ ამიტომ აიყვანეს და დააბრალეს დანაშაული. როდესაც შეფარდება მიდიოდა, გავიგე, რომ კაზინოს დაყაჩაღება ჯართის პუნქტის დაყაჩაღებით შეიცვალა. დეტალებში მახსოვს, პროკურორი, ნუგზარ კერესელიძე ადგა და გამოაცხადა, ლაშა გივის ძე ლაბაძემ ცოტნე დადიანის 37 ნომერში დააყაჩაღა ჯართის პუნქტი ორ დაუდგენელ პირთან ერთად... სხვათა შორის, ეს ის პროკურორი იყო, რომელიც საქმის განხილვისას ადგა და ხმამაღლა იკითხა, რატომ აბრალებთ ამ ახალგაზრდას დანაშაულს, რას ერჩითო. განაჩენის გამოცხადებისთანავე ყვირილი დავიწყე, ჯართის პუნქტი რა შუაშია, კაზინოს დაყაჩაღებას არ აბრალებდით-მეთქი... მაშინვე გამომაგდეს გარეთ და მოგვიანებით გავიგე, რომ ლაშას 21 წელი მიუსაჯეს. „ნახალოვკაში“, გადასასვლელთან ხიდთან დღესაც მუშაობს სილამაზის სალონი „მარი“, სწორედ ამ სალონის ქვევით არის სარდაფი და როგორც მითხრეს, სწორედ ამ სარდაფის, სადაც თითქოს ჯართის პუნქტი მუშაობდა, დაყაჩაღებას აბრალებდნენ ლაშას. მივედი ამ სალონში და ვკითხე თანამშრომლებს, როდის მოხდა ყაჩაღობა-მეთქი და იცით, რა მიპასუხეს? ამ სარდაფში საერთოდ რამე თუ იყო, მაშინ გავიგეთ, როდესაც ყვითელი ლენტები გააბეს პოლიციელებმა, დაყაჩაღების ამბავი არც გაგვიგიაო... ეს სარდაფი მას შემდეგ დაკეტილია და არაფერი არ ფუნქციონირებს.

**– დღევანდელი მდგომარეობა როგორია?**

– წინა ხელისუფლების მადლიერი ნამდვილად არ ვარ, დალუპეს ჩემი შვილი, ახლა კი ციხეში გამუდმებით ხდება ჩემს შვილზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. შეუმცირეს დამამშვიდებლების რაოდენობა, დაავადდა ტუბერკულოზით, „ც“ ჰეპატიტით, მხედველობა საერთოდ დააკლდა, თითქმის ველარ ხედავს და ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ ის ხშირად მიმართავს სუიციდის მცდელობას, ხან რას იჭრის და ხან რა თვითდაზიანებას მიმართავს.

**– დამამშვიდებელი ექიმმა რომ დაუნიშნოს, ამ შემთხვევაშიც არ მისცემენ?**

– ექიმმა რომ დაუნიშნოს, ამისთვის საჭიროა ხელმძღვანელობის თანხმობა, შევხვდი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, არჩილ თალაკვაძეს და ვთხოვე, იქნებ მისცეთ საშუალება, დამამშვიდებლები მიიღოს, ისე ვერ გაძლებს-მეთქი და მიპასუხა, მაშინ გადავიყვან ქუთაიშიო... ქუთაიშში რა უნდა, თბილისში ძლივს ვახერხებ ნახვას, გიჟი კი არ არის ჩემი შვილი? ის უბრალოდ ნერვიულია ბავშვობიდან და დამამშვიდებლები სჭირდება. დამამშვიდებლები რომ შეუმცირეს, პროტესტის ნიშნად შეისუნთქა ქლორი, შეიყვანა სიბინძურე ფეხში სპეციალურად, რომ თვითდაზიანება მიეყენებინა.

**– რა შეიყვანა ან როგორ?**

– იქ უსწავლებია ერთ-ერთ პატიმარს და შპრიცით ფეხში შეუშვა საკუთარი ნერწყვი და კბილის ჭუჭყი, ძალიან მალე ასტკივდა და გაუსაძლისი ტკივილები აწუხებდა. ყურადღება არავინ მიაქცია. თურმე დახმარებას რომ ითხოვდა, ზედამხედველები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, დამამშვიდებელი უნდა, რომ მივცეთ ზედმეტი დოზა და იმიტომ ხმაურობს, ყურადღებას ნუ მიაქცევთო... საბოლოოდ კი განგრენა დაემართა და ბოლოს მოაჭრეს კიდეც ფეხი. როცა ექიმმა ნახა, უთხრა, ორი დღით ადრე რომ გადმოეყვანეთ, ფეხს შეგინარჩუნებდიო... იგივე გააკეთა მეორე ფეხზეც, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ფეხი დაკარგა. იძახის, სიცოცხლე არ მინდა, თავს მოვიკლავო, ძალიან მეშინია, შეხვედრამდე მითხრა, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იქნება, თუ არ გადამიყვანენო... ძალიან მძიმედ არის, ექიმმა უთხრა, დეპრესიაში ხარო. საკვებს ვერ იღებს, რასაც ჭამს რამდენიმე წუთში გულისრევა ეწყება და არ ერგება. უკვე 14 დღეა, საკვები არ მიუღია. რომ ვნახე, შემეშინდა, ისეთი სხვანაირი იყო, ვერც ვიცანი. სავარძლით ამოიყვანეს და დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. ძალიან შეშინებულია, თავისი სისულელით დაიღუპა თავი და სიკვდილი არ უნდა, რა გახდა ასეთი ავადმყოფი ადამიანის გადაყვანა იმ დაწესებულებაში, სადაც ადამიანურად ექცევიან და სადაც ჰაერზე სიარული შეუძლია?



**„ამაზე მეტი ცინიზმი არ არსებობს, სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადაყვანას როგორ მოითხოვდა?“**

**„აგვისტოში ჩემს მეუღლეს ათასი ლარის გადახდა მოსთხოვეს, სწორედ ამ მიზეზით მოუვიდა „მაყურებლებთან“ დაპირისპირება“**

**პირდაპირ ასე უთხრეს, აქ, ძმაო, ჰაერი ფული ღირსო...**

**„ერთთვიანი აკრძალვა დაუწესეს დარეკვაზე, რომ ჩემამდე ვერ მოაღწიოს მისგან ინფორმაციამ, რა დღეში ჰყავთ იქ“**



**„5 წლის განმავლობაში სიტყვიერი შენიშვნა არ აქვს მიღებული ჩემს მეუღლეს, ადმინისტრაციული დარღვევა უნდათ, ჩაუდონ პირად საქმეში და რა ხერხს აღარ მიმართავენ ამის გამო“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რუსუდან ფხაკაძე: „თუ ბავშვი საკუთარი შეხედულებების გამოვლენაში შეზღუდულია, ეს უკვე საფუძველია იმისთვის, რომ ის ნევროზული რეაქციების მსხვერპლი გახდეს“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**ორი კვირის წინ 15 წლის გოგონას თვითმკვლელობის ამბავმა მთელი თბილისი დათრგუნა. დედისერთა ლიზის და მისი დედის ისტორია, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება განხილვის თემა. ყველას აინტერესებს, რის გამო გამოუტანა მოზარდმა ასეთი მკაცრი განაჩენი საკუთარ თავსაც და დედასაც... ისევე, როგორც თავის დროზე ნინო გვასალიას გადაწყვეტილების ახსნას ცდილობდნენ დაუსრულებლად... სახლიდან გაუჩინარებული 22 წლის გოგონას მაშინ ნაცნობიც და უცნობიც რამდენიმე კვირის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ეძებდა...**



სამწუხაროდ, მსგავსი ისტორიები ბოლო პერიოდში ხშირად მეორდება. სუიციდის მიზეზად ყველაზე ხშირად მშობლებთან დაპირისპირება სახელდება. ჩვენ მიერ დასახელებული ორი მაგალითიც იგივე ვერსიით გავრცელდა. პირველ შემთხვევაში ლიზის დედამ შვილს მეგობართან დარჩენა აუკრძალა. პროტესტის ნიშნად გოგონამ გამზრდელი დედისა და ბებიის თვალწინ სიცოცხლე მეცხრე სართულიდან გადახტომით დაასრულა... ნინოს შემთხვევაში მისი გადაწყვეტილების მიზეზი დღემდე უცნობი რჩება, ყოველ შემთხვევაში საზოგადოებისთვის... მან სიცოცხლე სახლიდან შორს, ტყეში დაასრულა...

ფსიქოლოგების განცხადებით, ახალგაზრდებში სუიციდის სტატისტიკის აღრიცხვა თითქმის შეუძლებელია, რადგან მსგავსი ფაქტების დამალვა ადრეც ხდებოდა და დღესაც ხდება. შესაბამისად, ვერავინ იტყვის, სუიციდის ფაქტები მომრავლდა თუ, უბრალოდ, ამ ფაქტების გახმაურების შემთხვევები...

**რუსუდან ფხაკაძე, ფსიქოლოგი:**

– გამომდინარე იქიდან, რომ სტატისტიკური მონაცემები ყოველთვის სავალალო აღსარიცხი იყო, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნების სუიციდის ფაქტები იმალებოდა. თუ კონკრეტული ფაქტი ძალიან არ გახმაურდებოდა, ისე მათი აღრიცხვა არ ხდებოდა, შესაბამისად, შეიძლება, უბრალოდ, სუიციდის ფაქტების გახმაურების დონემ მოიმატა... თუმცა, ბუნებრივია, ნევროზულმა და დაძაბულმა გარემომ მოზარდების გონებაზეც იქონია ზეგავლენა.

**– შვილთან ურთიერთობაში რამ შეიძლება შექმნას საბედისწერო პრობლემა?**

– პირველ რიგში, თითოეულმა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შვილს საკუთარი შეხედულებები და აზრები არავითარ შემთხვევაში თავს არ მოახვიოს. როდესაც მშობელი ფიქრობს, რომ მისმა შვილმა ყველაფერი ის უნდა გააკეთოს, რაც თავად ვერ გააკეთა, ან თავის დროზე ვერ მიაღწია, ეს ძალიან არასწორია. ასეთ დროს მშობელს საკუთარ შვილთან არანაირი კონტაქტი არ აქვს, რადგან საკუთარი შვილის ცხოვრებას თავისი სამყაროდან უყურებს. ადამიანი რომ განვითარდეს, სწორ პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს და საკუთარი აზრის გატარება შეძლოს, ამისთვის მას საკუთარი შეხედულებების მიხედვით თავისუფლად მოქმედების საშუალება უნდა მიეცეს. საერთოდ, ეგრეთწოდებული სამოსანი ბავშვები უფრო ძლიერები არიან ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში, ვიდრე ფრიადოსნები, რადგან მათ მიღებული მოდელი აქვთ, რომ არიან აღიარებულები და პირველივე წინააღმდეგობა სერიოზულ პრობლემას უქმნით. გარდა ამისა, თუ ბავშვი საკუთარი შეხედულებების გამოვლენაში შეზღუდულია, ეს უკვე საფუძველია იმისთვის, რომ ის ნევროზული რეაქციების მსხვერპლი გახდეს. ჩვენ ბავშვებთან გულწრფელი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვიზიარებთ თუ არ ვიზიარებთ მათ შეხედულებებს, ქცევებს, ყველა შემთხვევაში პატივი უნდა ვცეთ მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ველარ შეძლებენ, გაუმკლავდნენ შედარებით მძიმე სიტუაციებს, როდესაც მათ გვერდით მშობელი აღარ იქნება.

**– თუმცა აქ საუბარია ზღვარზე, სად უნდა გავიდეს ზღვარი დათმობაში?**

– ბუნებრივია, ზღვარი უნდა არსებობდეს, მაგრამ ერთი და იგივე აკრძალვები, ანუ სისტემური აკრძალვები ძალიან სავალალო შედეგამდე მიგვიყვანს. თუ, მაგალითად, საუბარია შედარებით გვიან საათებში სახლიდან გასვლაზე, აქაც უნდა დავფიქრდეთ, განა რამდენჯერ შეიძლება მოზარდს გაუჩნდეს გვიან ღამით სახლიდან გასვლის სურვილი? ეს ხომ ყოველდღე არ მოხდება? ყველა დეტალში უნდა გავერკვეთ და გადაწყვეტილებაც სწორედ ამის შემდეგ მივიღოთ, ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებთან მეგობრობა. თუმცა ახლა წამოვიდა მშობლების მხრიდან მეგობრობის განსხვავებული ტენდენცია. დღევანდელობაში მშობელი ფუნქციას კარგავს, როდესაც შვილზე ზეგავლენის შენარჩუნებას ზედმეტი მეგობრული დამოკიდებულებით ცდილობს. ზედმეტი მეგობრობაც არ არის საჭირო, შუალედური ზღვარი უნდა იქნას აუცილებლად დაცული. ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულ საკითხებზე ერთი და იგივე დამოკიდებულების შენარჩუნება, ანუ ბავშვმა უნდა იცოდეს, რომელ საკითხებზეა მშობელი დამთმობი და რომელ საკითხებს მოჰყვება პატარა დაპირისპირება. ბავშვის ერთსა და იმავე მოთხოვნაზე ხან დათანხმება და ხან აკრძალვა, არასწორი პოლიტიკაა.

**– შესაძლებელია, სრულიად ჯანსაღმა მოზარდმა მიიღოს სუიციდის გადაწყვეტილება თუ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სერიოზული წინაპირობა?**

– ზოგი ბავშვი ძალიან გახსნილია, ყველაფერზე ლაპარაკობს, ზოგი უფრო ჩაკეტილია, ასეთ ბავშვებს უფრო მეტი ყურადღების მიქცევა უნდათ. განსხვავებები დიდია და ბავშვს, რომელიც თავის განცდებს არ გამოხატავს, უფრო მეტი ყურადღება ესაჭიროება. ალბათ, არის ასეთ ბავშვებში უცაბედი, აფექტური ფეთქებადობა დამახასიათებელი, თუმცა არა იმ პროცენტულობით, რომ სუიციდამდე ხშირად მივიდეს.

**„ეგრეთწოდებული სამოსანი ბავშვები უფრო ძლიერები არიან ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში, ვიდრე ფრიადოსნები“**

# „120-კილოიანი კაცი ერთი თვი

EXCL



## ქეთევან ქამუშაძე: „მაშინ გვკითხეს, რამდენად ყიდდით მანქანასო, როგორც კი გაიგეს, რომ 7 ათასი დოლარი უნდა აგვეღო, სანამ მკურნალობის თანხამ ზუსტად 7 ათას დოლარამდე არ მიაღწია, მანამდე არ გამოგვატანეს საავადმყოფოდან“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**საყოველთაო დაზღვევა ბევრი ადამიანისთვის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზაა. ექიმებიც, კერძო თუ სახელმწიფო კლინიკებიც, ადასტურებენ, რომ პაციენტები ბევრად თამამად მიდიან საავადმყოფოებშიც და ექიმებთანაც. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები კონკრეტულ ადამიანებს არ ჰყოფნით და ლიმიტის ამოწურვის შემდეგ საკუთარი სახსრებით აგრძელებენ მკურნალობას. ბუნებრივია, ასეთი ადამიანების რიცხვი არც ისე ცოტაა. ხშირ შემთხვევაში მკურნალობისთვის ადამიანები მანქანებს, სახლებსა და როგორც ექიმები აცხადებენ, ერთადერთ მარჩენალ საქონელსაც კი ყიდიან...**

ქეთევან ქამუშაძის ისტორია სწორედ ასეთია. მისი დეიდაშვილი გადაუდებელი ოპერაციის გასაკეთებლად თავდაპირველად „მედიქლაბში“ მოხვდა. პირველადი დახმარება პაციენტს სწორედ იქ აღმოუჩინეს. მოგვიანებით ღუდუშაურში გადაყვანა ოჯახს იქვე შესთავაზეს, ერთადერთი მიზეზის გამო – ღუდუშაურში საყოველთაო დაზღვევა ამოქმედდებოდა. ოჯახმა გადაწყვეტილება მიიღო და მკურნალობა სწორედ ღუდუშაურში გააგრძელეს. 15-ათასლარიანი ლიმიტი ქეთევან ქამუშაძის დეიდაშვილის მკურნალობისთვის ზუსტად თოთხმეტ დღეში ამოიწურა. ოჯახის პრობლემებიც ამის შემდეგ დაიწყო, რადგან თითოეული დღე მათთვის სერიოზულ ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა. სწორედ ამდენივე დღის განმავლობაში ჰყავდათ ის მიერთებული სასუნთქ აპარატზე. ოჯახის წევრების განცხადებით, ექიმები პაციენტს შეგნებულად აძინებდნენ, რომ მკურნალობის პერიოდი გაეხანგრძლივებინათ და გადასახადიც ბევრი ყოფილიყო.

პაციენტის დეიდაშვილის განცხადებით, ღუდუშაურში ადამიანებს მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის მიხედვით აფასებენ, თანხის არქონის შემთხვევაში პაციენტებისთვის წამლის გაცემაზეც კი უარს აცხადებენ... ქამუშაძის შემთხვევაში საავადმყოფოს მთავარ ექიმთან შეთანხმება შედგა, რომლის თანახმადაც ოჯახს მკურნალობის სრული თანხა მანქანის გაყიდვისთანავე უნდა დაეფარა. საბოლოოდ კი ისე აღმოჩნდა, რომ მკურნალობის საფასური ზუსტად დაემთხვა გაყიდული მანქანის თანხის ღირებულებას. ოჯახის წევრებმა თანხის ნაწილი გადაიხადეს და პროტესტის ნიშნად, დაუყოვნებლივ სხვა საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს. თუმცა ეს არ არის ყველაზე დიდი დანაშაული. ღუდუშაურში მკურნალობის პერიოდს თავად პაციენტი ძალიან მძიმედ იხსენებს. ოჯახის წევრების განცხადებით, მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ავადმყოფი იხსენებს, რომ ღუდუშაურის ერთ-ერთი ექთანი მას ფიზიკურად უსწორდებოდა და თავში ურტყამდა. ქეთევან ქამუშაძის თქმით, მისი დეიდაშვილი არ აპირებს, აღნიშნული ფაქტი რეაგირების გარეშე დატოვოს და ამბობს, რომ, როგორც კი ფეხზე დადგომას შეძლებს, აუცილებლად მოსთხოვს პასუხს კონკრეტულად იმ ექთანს, რომლის სახელიც არ იცის, თუმცა მისი სახე კარგად ახსოვს.



**„ახლა და ახლა ახსენდება ყველაფერი და გვიყვება, როგორ ურტყამდა ერთ-ერთი ექთანი მას თავში. როგორც ჩანს, ეგონა, რომ პაციენტი ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა ვერაფერს. თუმცა ასე არ იყო“**

**ქეთევან ქამუშაძე, ავადმყოფის დეიდაშვილი:**

– ჩემი დეიდაშვილი მთელი მკურნალობის პერიოდი დაბმული ჰყავდათ. ზოგადად, ავადმყოფებისადმი დამოკიდებულება იყო ძალიან ცუდი, არაადამიანური. ახლა და ახლა ახსენდება ყველაფერი და გვიყვება, როგორ ურტყამდა ერთ-ერთი ექთანი მას თავში. როგორც ჩანს, ეგონა, რომ პაციენტი ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა ვერაფერს. თუმცა ასე არ იყო, ისეთი გამწარებულია, ამბობს, როგორც კი ავდგები, პირადად მოვთხოვ პასუხს, არ ვაპატიებ არავითარ შემთხვევაშიო... როდესაც რეანიმაციიდან პალატაში უნდა გადაეყვანათ, ძალიან დამძიმებული და გაბრუებული იყო. იმის გამო, რომ ჩვენ 750 ლარი გვქონდა გადასახდელი. ყოველ დილით ჩვენთან საუბარი იმით იწყებოდა, რომ გვთხოვდნენ თანხის დაუყოვნებლივ გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში წამლებისა და მკურნალობის შეჩერებით იმუქრებოდნენ. ჩვენ მივხვდით, რომ დროს წელავდნენ, რადგან ყოველდღიურად პაციენტის რეანიმაციაში გაჩერება ძალიან ძვირი ჯდებოდა. როგორც კი ყველანაირი გადასახადი დავფარეთ და საბუთები მოვითხოვეთ, რათა სხვა საავადმყოფოში გადაგვეყვანა, მხოლოდ ამის შემდეგ გვითხრეს, ჩვენც მოგემსახურებით იგივე პირობებში და 475 ლარს გადაგახდევინებთო...

**– ანუ მაღალი გადასახადების გამო გინდოდათ ღუდუშაურის დატოვება?**

– დიახ და თან ისიც დააყოლეს, მკურნალობა აღარ სჭირდება, ნუღარ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ს განმავლობაში „პროსტინებით“ ჰყავდათ დაბმული“




## „როდესაც პაციენტის ნახვის საათები მოდიოდა, დამატებით რაღაც დამამშვიდებელს უკეთებდნენ, აბრუებდნენ, რომ ჩვენი ნახვისას მშვიდი სახე ჰქონოდა“

წაიყვანთ სხვა საავადმყოფოშიო. თუ მკურნალობა არ სჭირდებოდა, ზედმეტად რატომ აჩერებდნენ რეანიმაციაში? იმიტომ რომ ყოველდღიურად 750 ლარი იყო გადასახადი, ჩვენ ვთხოვეთ, მკურნალობა გააგრძელეთ, სასწრაფოდ ვყიდით მანქანას და როგორც კი გაიყიდება, მთლიან თანხას მაშინვე დავფარავთო. ამაზეც ძლივს დავითანხმეთ, თავდაპირველად ბრძანება გასცეს, შეუწყვიტეთ მკურნალობაო, მაგრამ შემდეგ განცხადება დავუწერეთ, რომ, როგორც კი მანქანა გაიყიდებოდა, მაშინვე დავფარავდით სრულ თანხას. ისიც კი ვუთხარით, თუ გინდათ, მანქანა გადაიფორმეთ, სანამ გაიყიდება-თქო. მაშინ გვკითხეს, რამდენად ყიდით მანქანასო. როგორც კი გაიგეს, რომ 7 ათასი დოლარი უნდა აგვეღო, აღარ გვიშვებდნენ. ადამიანს, რომელსაც ღვიძლის ციროზი ჰქონდა მეოთხე სტადიაში, ნარკოტიკს უკეთებდნენ და ამით ცდილობდნენ მის გათიშვას, რადგან დაბმას აპროტესტებდა. 120-კილოიანი კაცი ერთი თვის განმავლობაში „პროსტინებით“ ჰყავდათ დაბმული. ამ ნარკოტიკსაც იმიტომ უკეთებდნენ, რომ გათიშული ჰყოლოდათ და დრო გაეწელათ. როდესაც პაციენტის ნახვის საათები მოდიოდა, დამატებით რაღაცას უკეთებდნენ, აბრუებდნენ, რომ ჩვენი ნახვისას მშვიდი სახე ჰქონოდა და ყოველ საღამოს გვეუბნებოდნენ, მოვხსენით აპარატიდანო, დილით კი ყოველთვის ერთი პასუხი გვხვდებოდა, – ისევ აპარატი დასჭირდა.

**– ეს გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში?**

– დიახ, ზუსტად ერთი თვის განმავლობაში. ერთი თვის შემდეგ, როდესაც სხვაგან გადაყვანა გადავწყვიტეთ, მაშინ აღმოჩნდა, რომ ფილტვების ანთებაც ჰქონდა, რომლის შესახებაც ჩვენთვის საერთოდ არ უთქვამთ. ყოველდღიურად ვკითხულობდით პაციენტის მდგომარეობას და გაყინული ხმით გვპასუხობდნენ, – მდგომარეობა მძიმეა. არც უკეთესობისკენ მიდიოდა არაფერი და არც ცდილობდნენ, რამე გამოესწორებინათ. არადა ადამიანი აშკარად გამოსული იყო მდგომარეობიდან, გონებაზეც იყო, კონტაქტურიც და ამ სუნთქვის აპარატს ხან ჩასთხრიდნენ ყელში და ხან ამოუღებდნენ. მკურნალ ექიმს ყოველდღიურად ვეკითხებოდით, მაგრამ გვეუბნებოდა, ჯერ ძალიან ადრეა პალატაში გადაყვანა, სუნთქვის უკმარისობა აქვსო. ეს პასუხი მეორდებოდა ძალიან დიდხანს და სწორედ ამიტომ შეგვეპარა ეჭვი. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სწორადაც შეგვეპარა ეჭვი. სხვა საავადმყოფოში რომ გადავიყვანეთ, თითქმის არაფრის გაკეთება აღარ დასჭირდა იქ. გვითხრეს კიდეც, პაციენტი დამძიმებული ისტორიით შემოვიდა, რეალურად კი ასეთი მდგომარეობა არ ჰქონდაო. სხვა დროსაც რომ მოვხვდეთ საავადმყოფოში, არ ვიცით და არ ვართ დარწმუნებულები, რომ იგივეს და უარესს არ გაგვიკეთებენ, ბოლომდე გამოგვიყენეს, გვეკითხებოდნენ, თქვენი სახლი რამდენად გაიყიდებაო.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ სუნთქვის აპარატი არ სჭირდებოდა და დროის გაწელვის მიზნით მაინც უდგამდნენ?**

– დიახ, ასე იყო ნამდვილად. საყოველთაო დაზღვევის 15 ათასი ლარი 14 დღეში ამოგვეწურა. მეთხუთმეტე დღეს გვითხრეს, რომ სუნთქვის აპარატის პირდაპირ დაყენება აღარ შეიძლებოდა, გაგვაკეთებინეს ოპერაცია, გაუჭრეს ყელი და ისე დაუყენეს სუნთქვის აპარატი. ამაშიც ცალკე თანხა გადაგვახდევინეს – 350 ლარი. მეორე საავადმყოფოში გვითხრეს, ამ ჭრილობის გაკეთება საერთოდ არ იყო საჭიროო. ბოლოს ღუდუშაურში თავადვე აღიარეს, რომ სუნთქვის აპარატი ამდენხანს არც სჭირდებოდა, სხვაგან რომ გადაიყვანთ, მაინც ორ დღეში გაგწერენ და აზრი არ აქვს გადაყვანასო. გადავიყვანეთ თუ არა სხვა საავადმყოფოში, მაშინვე შეიცვალა მდგომარეობა, იქ აღარც დაბმული ჰყავდათ, აღარც ნარკოტიკებს უკეთებდნენ და მაშინვე დაიწყო გამოკეთება. დამშვიდდა, რაც მთავარია. გადაყვანიდან ზუსტად ერთ კვირაში სახლში გამოწერეს, თანაც ისე, რომ ერთხელაც არ დასჭირვებია სუნთქვის აპარატი.

ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ არსებულ კითხვებზე პასუხების მიღებას ღუდუშაურში შეეცადა. თუმცა ჩვენთან საუბრის სურვილი არც მთავარ ექიმს, არც პაციენტის მკურნალ ექიმს და არც რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელს არ გასჩენია. თითოეული განყოფილება ერთმანეთთან გვამისამართებდა და ხელახალი ზარის განხორციელების შემდეგ კითხვას გვიბრუნებდა, ანუ მეორე განყოფილებამ საკუთარ თავზე არ აიღო პასუხისმგებლობაო... საბოლოო რჩევა კი საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელთან, თამარ ყიფიანთან დაკავშირება იყო. თუმცა იქვე გაგვაფრთხილეს, თამარი საქართველოში არ იმყოფება და მისი შემცვლელი არ არსებობს. შესაბამისად, მასაც ტყუილად დაურეკავთ, მობილი გამორთული ექნებაო...

**ღუდუშაურის კლინიკის წარმომადგენელი:** „გადარეკეთ ადმინისტრაციაში და იქ გაარკვიეთ, როგორ ხდება ექიმთან შეხვედრა და მასთან გასაუბრება. ექიმი არ იძლევა საშუალებას, რომ გაგესაუბროთ, საერთოდ არ იძლევა ხოლმე ინტერვიუებს, მაგრამ მაინც გაარკვიეთ, თუ გნებავთ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან“.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მათ „იწინასწარმეტყველეს“. არც ექიმი შეგვხვდა და არც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი აღმოჩნდა ქვეყანაში... სამაგიეროდ დეტალურად აღწერეს პაციენტის მდგომარეობა იმ საავადმყოფოში, სადაც მან ღუდუშაურიდან გაწერის შემდეგ გააგრძელა მკურნალობა.

**მალხაზ კაციაშვილი, რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელი:**

– პაციენტს ჰქონდა ღვიძლის ციროზი, რომელმაც საყლაპავი მილის ლარიკოზი გამოიწვია, ეს არის ძალიან რთული პათოლოგია. სისხლის მოწამვლის გამო, სისხლთან ერთად მავნე ნივთიერებები ცირკულირებდა მთელ ორგანიზმში, მათ შორის ტვინშიც. ასეთ დროს ავადმყოფები არაადეკვატურები არიან, ასევე, ახასიათებთ აღგზნებადობა, მაგრამ აქ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ამ ადამიანს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და სისხლის მოწამვლას დაემატა სისხლის ნაკლებობა. ანუ ერთობლივად ბევრი პრობლემა იყო და შესაბამისად, ღუდუშაურში იმყოფებოდა პაციენტი მართვით სუნთქვაზე. ეს ერთ-ერთი სამკურნალო ტაქტიკაა. ასეთ დროს ხდება დროის მოგება, რომ ყველაფერი ჩადგეს ნორმაში.

**– პაციენტის ახლობლები ამბობენ, რომ ისტორია შეგნებულად იყო დამძიმებული...**

– ამას მე ვერ ვიტყვი. საერთოდ, ჩვენ, პირველ რიგში, ვცდილობთ, პაციენტი არ გადავიყვანოთ სუნთქვით აპარატზე და მაქსიმალურად ვაკეთებთ ყველაფერს, რომ თავიდან ავაცილოთ, თუმცა თუ შეუძლებელი ხდება, მაშინ სჯობს, ერთიორი დღე ზედმეტად გავაჩეროთ, ვიდრე ყელში ჩადგმული სპეციალური დანადგარი ამოვიღოთ და შემდეგ ისევ დაგვჭირდეს მისი უკან ჩადგმა. სანამ ჩვენთან გადმოიყვანდნენ, პაციენტი მუდმივად სუნთქვის აპარატზე იმყოფებოდა. უკვე ჩვენთან პაციენტი კონტაქტური გახდა, თუმცა მაინც აღენიშნებოდა ფსიქოლოგიური მოუსვენრობა. შესაძლებელია იმის გამო, რომ მას დაყენებული ჰქონდა კათეტერი, ზონდი, მილი... ჩვენთან შემოყვანის დროს მხოლოდ ნახევარი საათით დავუყენეთ სუნთქვის აპარატი, მეტი არ დასჭირვებია. ბუნებრივია, ყოველთვის შევდივართ ოჯახის მდგომარეობაში, რადგან ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენთან შედარებით ნაკლები გადასახადი იყო. ვერ ვიტყვი, ღუდუშაურში როგორ მდგომარეობაში იყო, ვერც იმას ვიტყვი, ძალით დააძინეს, თუ ზედმეტად ჰყავდათ სუნთქვის აპარატზე. არსებობს ფორმა ასი, სადაც საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი პაციენტის მკურნალობის პროცესი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთან რომ გადმოვიდა, შეიძლება დაემთხვა, მაგრამ უკეთ იყო. შეიძლება ღუდუშაურშიც რომ დარჩენილიყო, იქაც მოეხსნათ უკვე აპარატიდან. ამდენ ხანს რომ არ გაეჩერებინათ აპარატზე, დღეს ეს ადამიანი შეიძლება ცოცხალი არც ყოფილიყო. უბრალოდ, როგორც ვიცი, ოჯახის მოთხოვნა ყოფილა ჩვენთან გადმოყვანა. ღუდუშაურიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ოჯახის მოთხოვნით გადმოდიოდნენ ჩვენთან, რადგან ჩვენთან შედარებით იქ მაღალი გადასახადი იყო.



კანისა და ვენსნეულებათა სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ირაკლი ალასანია: „პრემია კი არა, სარგო ავიღე“



NDI-ს კვლევებს ეთანხმება, ალბათ. ყოველ შემთხვევაში არ გაუპროტესტებია და არ უთქვამს, გაყალბებულია, არ ვარ მე ყველაზე რეიტინგული ფიგურა მთავრობაშიო, თუმცა, პრემიებში ლიდერობა აღარ მოეწონა და ყველას სიყალბეში დასდო ბრალი.

ირაკლი ალასანიას არ მოეწონა, რომ 2013 წელს მან ყველა მინისტრის რეკორდი მოხსნა და ყველაზე მეტი პრემია აიღო. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მონაცემებით, მინისტრმა გასულ წელს სახელფასო დანამატის სახით 83 ათასზე მეტი ოდენობის ლარი აიღო.

მეორე ადგილზე გავიდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. 2013 წელს მან სახელფასო დანამატის სახით 50 885 ლარი აიღო.

ორივე მათგანი კოალიციის იმ ფრთას ეკუთვნის, რომლებიც თავისი დემოკრატიულობითა და ღირებულებებისადმი ერთგულებით იწონებენ თავს. ასეა თუ ისე, ზაქარეიშვილს თავის მართლება მაინც არ დაუწყია, აიღო და აიღო.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მან ჟურნალისტებს განუცხადა, მე პრემია კი არა, სარგო ავიღეო.

ალბათ, ბევრს გაახსენდა ჯარისკაცების მოწამვლის სკანდალი. მაშინ თავდაცვის უწყებამ ოფიციალურად განაცხადა, ჯარისკაცებს დიარეა აქვთ და არა ფაღარათიო.

თითქოს დიდი განსხვავება იყოს, რას დაარქმევ. აქ საუბარი ციფრებზე იყო და არა ტიტულებზე. სარგო აიღო თუ პრემია, ყველაზე შთამბეჭდავად სწორედ ირაკლი ალასანიას სარგო-პრემია გამოიყურება.

**მინისტრმა იქვე ისიც მიანიშნა, რომ ეს ძალიან ცოტაა და რომ გაცილებით მეტი ჯამაგირი ეკუთვნის:**

– საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მინისტრსა და მის მოადგილეებს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ არასდროს აუღიათ პრემია. თანამდებობრივი სარგო კანონით განსაზღვრულია. მე ვინატრებდი, რომ თავდაცვის მინისტრის ხელფასი მართლაც მოვიდეს შესაბამისობაში ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების ხელფასებთან, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. ჩვენ უკვე ვიზრუნეთ იმაზე, რომ ჩვენი ჯარისა და სამხედრო მოსამსახურეების 91%-ს 25%-ით გავუზარდეთ ხელფასი. ჩვენ 300 აშშ დოლარით გავუზარდეთ მინიმალური ხელფასი ჩვენს ჯარს და საერთაშორისო ოპერაციებში მომსახურე სამხედროებს. დღეს უკვე ჯანდაცვის მომსახურება როგორც მინისტრს, ისე ჯარისკაცს ერთნაირი აქვთ, რაც ადრე განსხვავებული იყო.

## სად შეხვდნენ ერთმანეთს ნარმანია და მელია

„ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების მერობის კანდიდატები ერთმანეთს უკვე ორჯერ შეხვდნენ. ერთხელ მოულოდნელად და მეორედ შემთხვევით. ერთხელ, თუ არ ვცდები, „რადისონში“, როცა ისინი ერთმანეთს ფოიეში შეხვდნენ, მეორედ კი შემთხვევით, როცა ორივე მათგანი შეხვედრიდან შეხვედრაზე საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდა. მერობის კანდიდატები საცობში მოყვნენ, მათი მანქანები ერთმანეთს გვერდით დიდხანს იდგნენ. როგორც ამბობენ, მელიამ მანქანის გვერდითა საქარე მინა ჩამოსწია და კონკურენტს მიესალმა.

უკვე მომავალი ორშაბათისთვის გაირკვევა, ვინ გახდება მერი. ვარაუდობენ, რომ ნარმანია ხმების 60%-ის მოგროვებას შეძლებს. პრემიერის განმარტებით, ნაციონალების რეიტინგი ერთ ნიშნულზე დაეცა და მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ. ტელედებატებში ნაციონალებმა განაცხადეს, რომ თბილისში მეორე ტური გაიმართება და მელია გაიმარჯვებს.





# სამი ძირით



## „ეს არის აბსოლუტური ტყუილი, ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი მერიდება“

ქეთი ხატიაშვილი

**ოპონენტები, ძირითადად ოპოზიცია, ხშირად ამბობენ, რომ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნება“ ვერც ერთიანი იქნებოდა და ვერც არჩევნებს ჩაატარებდა. მაგალითისთვის იგივე რესპუბლიკელების მართლაც ერთნიშნა რეიტინგი მოჰყავთ ხოლმე და კიდევ გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო მარათონი. ბიძინა ივანიშვილმა ის მართლაც ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ შემოატარა იმისთვის, რომ პრეზიდენტად აერჩიათ. ამიტომაც ხშირად არის საუბარი იმაზე, რომ ბიძინას გარეშე არაფერიც არ იქნებოდა.**

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს აბსურდია, ჩვენ ერთიანი გუნდი ვართ“

ამ მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილისთვის ეს საარჩევნო მარათონი ერთგვარი გამოცდაცაა. მას მოუწევს, დაამტკიცოს, რომ ის დამოუკიდებელი ფიგურაა და საკუთარი ძალებითაც შეუძლია, პოლიტიკური გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანოს. სწორედ ამ მიმართულებით არის ეს არჩევნები საინტერესო. გიორგი მარგველაშვილის როლს კი მერის არჩევნებში დავით ნარმანია ასრულებს იმ გაგებით, რომ მას ადრე არავინ იცნობდა და „ქართულ ოცნებას“ უწევს ყველასთვის უცნობი კანდიდატურის მერად გაყვანა.

ამჯერად ჩვენ ნარმანიას პლუსებსა თუ მინუსებზე ამ საარჩევნო კამპანიას არ განვიხილავთ. გვსურს, იმ ტრადიციაზე შევჩერდეთ, რომელიც ქართულ არჩევნებს ახასიათებს. ეს მითებია.

ამ ატრიბუტის გარეშე ჯერ არც ერთ საარჩევნო მარათონს არ ჩაუვლია. როგორც წესი, მითებს ოპოზიცია თხზავს ხოლმე ხელისუფლებაზე იმის დასამტკიცებლად, რომ ვერტიკალი ინგრევა, იშლება და ილუპება.

ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციული მეთოდია, განსაკუთრებით საარჩევნო მარათონზე, როცა კონკურენტი პარტიები ერთმანეთის წინააღმდეგ ზღაპრებს თხზავენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

გასული საარჩევნო კამპანიების ყველაზე დიდი ტყუილი იყო: მიშამ ჩემოდნები ჩაალაგა და უკვე საქართველოსაც ტოვებსო. ასე მაშინ ბადრი პატარკაციშვილის მომხრეები ხალხის დამუხტვას ცდილობდნენ, მათ ერთ მარტივ მესიჯს უგზავნიდნენ, – ჩვენ გამარჯვებული ძალა ვართ, ნაცები გარბიან და ჩაერთეთ ჩვენს ბრძოლაშიო.

დაახლოებით ასეთივე ტაქტიკა აირჩია ახლა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ყოველ შემთხვევაში ვერტიკალში თითს სწორედ მათკენ იშვერენ.

სამი ძირითადი მითი:

### პირველი – კოალიცია „ქართული ოცნება“ იშლება

„ქართული ოცნების“ დაშლის შესახებ ხმები ისმოდა როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნების წინ. გამონაკლისი არც ეს არჩევნები გახდა. კოალიცია დაშალეს თითქმის ყველა ბრუნვაში. კოალიცია ხან მარტივ მამრავლებად დაშალეს, ხან „ფორუმი“ და ალასანია დააჯგუფეს ცალკე, ხანაც – „ფორუმი“ და მრეწველები.

**მაგალითად, კახა კუკავა ირწმუნებოდა, რომ:**

– „დანამდვილებით გეტყვით, რომ ალასანიას პარტია და „ეროვნული ფორუმი“ არ არიან განწყობილი პოზიტიურად პრემიერის მიმართ. ეს არის 100%-ით დადასტურებული ინფორმაცია. ამიტომაც ისინი ელოდებიან შესაფერის მომენტს, თუ ადგილობრივ არჩევნებზე „ქართ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ადი საარჩევნო მითი

## „ბატონი ბიძინა არის მოტივირებული, რომ საინტერესო პროექტები განახორციელოს“



# ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის დაშლას გამორიცხავს

ულმა ოცნებამ“ წაიფორხილა, რა თქმა უნდა, ამას „ქართული ოცნების“ დაშლა მოჰყვება. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება განიცდის დელეგიტიმაციას. ლეგიტიმაციის პროცესი გარდაუვალია. ის, რაც ქვეყანაში ხდება, პოლიტიკური კრახით დამთავრდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ „ეროვნული ფორუმი“ და ირაკლი ალასანიას პარტია პრემიერის მიმართ მტრულად არიან განწყობილი, ესეც დელეგიტიმაციის ერთ-ერთი ნიშანია“.

რამდენიმე დღის წინ თავად უსუფაშვილმაც კი თქვა: კოალიცია „ქართული ოცნება“, სულ ცოტა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით შეიქმნა და მის შიგნით გაერთიანებულ ექვს პარტიას შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა, კიდევ უფრო გამძაფრდეს...

თუმცა, ის, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, პრემიერმა თავის პრესკონფერენციაზე ჩაასწორა. ღარიბაშვილმა კოალიციის დაშლის შესაძლებლობას აბსურდული უწოდა. მისი განმარტებით, მას პოლიტიკურად ერთიანი და ძლიერი გუნდი ჰყავს.

უფრო ადრე ღარიბაშვილს იმის მტკიცება მოუხდა, რომ შეთქმულებას ვერტიკალზე არავინ აპირებდა. არჩევნების წინ ვრცელდებოდა ვერსიები 5 მინისტრის გადადგომის შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, მთავრობის დაშლას, ავტომატურად კი ღარიბაშვილის გადაყენებას გამოიწვევდა.

### მეორე – შეთქმულება ღარიბაშვილის წინააღმდეგ

წინა მითისგან განსხვავებით, რომელიც უფრო მათემატიკური იყო და კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას ერთმანეთს აკლებდა ან უმატებდა, მათი ახალი კონფიგურაციის მიღების მიზნით, მეორე მითი შედარებით უფრო მძაფრსიუჟეტიანი და დრამატულია. აქ ყველამ თავისი ფანტაზია და შესაძლებლობები ჩადო.

ახალი შეთქმულების დეტალები ასეთი იყო: 5 მინისტრი გადადგება და მთავრობას გადააყენებს. ასეთი თეორია საკონსტიტუციო „გადატრიალების“ მოყვარულებმა გააჟღერეს. საქმე ის გახლავთ, რომ, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობაში 5 მინისტრის შეცვლა ავტომატურად იწვევს მთელი მთავრობის გადადგომას. ანუ სანამ პრემიერი 3 ან 4 მინისტრს შეცვლის, 5-ს შეუძლია, დაასწროს და თავად გადააყენოს მთავრობის მთელი შემადგენლობა. თუმცა, როცა ჩამონათვალს აკეთებენ, ხუთი მინისტრის პოვნა არ უჭირთ: ირაკლი ალასანია, თეა წულუკიანი, მაია ფანჯიკიძე, გურამ ოდიშარია და თამთა სანიკიძე. ანუ ძირითადად, მარგველაშვილისა და ალასანიას „კამანდა...



მაშინ იურისტი ლევან ალაფიშვილი ამის შესაძლებლობას სამართლებრივად არ გამორიცხავდა. მისი განმარტებით, ხუთი მინისტრის განცხადება, თანამდებობის დატოვების შესახებ, საკმარისია როგორც პრემიერის გასათავისუფლებლად, ისე პრეზიდენტისთვის, სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად. „ხუთმა მინისტრმა (ამდენი უკვე სახელდება მედიაში) რომ გადადგომაზე განცხადება დაწეროს, არათუ თვითონ წავლენ სახლში, პრემიერსაც გაიყოლებენ. ამ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობა ამ ფორმით უკვე ვეღარ იარსებებს და ეგრეთწოდებული დირიჟორის ჯოხი უკვე პრეზიდენტ მარგველაშვილის ხელში გადადის. ის ერთადერთი იქნება, ვინც გადაწყვეტს, ვინ დაასახელოს პრემიერად“.

**ამ თემას წინასაარჩევნოდ პრემიერი მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა:**

– მინდა, მცირე კომენტარი გავაკეთო იმ გაუთავებელ სპეკულაციაზე, რომელიც მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებთან, მინისტრების გადაადგილებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. ასევე, 6-პროცენტიანი „ნაციონალური მოძრაობა“ აგორებს ჭორებს, თითქოს რომელიმე მინისტრი აპირებს გადადგომას. აბა, მიმართეთ, რომელი მინისტრი აპირებს გადადგომას, რაღაც გადატრიალების მცდელობას და ა.შ.? არა მგონია და ძალიან მეეჭვება, რომ ჩვენს გუნდში იყოს ოთხი თუ ხუთი მოღალატე. მოღალატეებს საკადრისი პასუხი გაეცემათ, მაგრამ ზოგადად ძალიან მარტივი გასაგებია, სპეკულაციები რატომ მიმდინარეობს.

### მესამე – ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დატოვებს

პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ივანიშვილი საქართველოსაც დატოვებს. ეს ინფორმაცია ჯერ კულისებში გავრცელდა და შემდეგ კი უკვე მედიაშიც გაჩნდა. ესეც წინასაარჩევნოდ. ივანიშვილის წასვლის დროდ დეკემბერი სახელდება.

**„ქართულ ოცნებაში“ არც ამ ინფორმაციას ადასტურებენ. პრემიერი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილს ბევრი საინტერესო პროექტი აქვს, რომლის განხორციელებასაც აპირებს:**

– ბატონი ბიძინა არსად არ აპირებს წასვლას. რომელ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ეს შეკითხვა? როგორ შეიძლება ეს ვიღაცამ დაიჯეროს? ადამიანმა მართლა საოცრება მოახდინა. როდესაც ყველაზე დიდი საფრთხე იყო, თუნდაც ფიზიკური ლიკვიდაციის, მაშინ არ დატოვა ქვეყანა. ყველამ კარგად ვიცით, რაზე იყო წამსვლელი წინა ხელისუფლება. არ დატოვა საქართველო მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად იყო სახიფათო მისი დარჩენა და დღეს რატომ უნდა წავიდეს? მოსახლეობას რაც დაჰპირდა, ყველაფერი გააკეთა. იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე დაჰპირდა. ის, რომ ქვეყნიდან წასვლას აპირებს, არის აბსოლუტური ტყუილი, ამაზე კომენტარის გაკეთებაც კი მერიდება. ბატონი ბიძინა არის მოტივირებული, რომ საინტერესო პროექტები განახორციელოს. აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და მალე ვიხილავთ მის ბევრ წარმატებულ პროექტს“, – აღნიშნა პრემიერმა.

არ არის გამორიცხული, ბიძინა ივანიშვილის პასიურობა არჩევნებში სხვა ფაქტორითაც იყოს განპირობებული. არჩევნები საერთოდ ძალიან კარგი საშუალებაა, მიიღო პოლიტიკური გამოცდილება და ჩამოყალიბდე დამოუკიდებელ გუნდად. შესაძლოა, ივანიშვილი სწორედ ამ შანსს აძლევს თავის გუნდს. გარდა ამისა, სხვებიც უნდა დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკას მართავს ვერტიკალი და არა ვიღაც კულისებიდან. შესაძლოა, სწორედ ეს არის მისი მთავარი მიზანი ახლა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით უსუფაშვილი სკანდალში გაეხვია



> **„მე, ხათუნა გოგორიშვილს, 12 მაისს მქონდა შეხვედრა დავით უსუფაშვილთან, რომელმაც მთავრობის დანაბარები გადმომცა... ხომ არ ვიფიქრებდით, მოგვეხსნა მარნეულში კანდიდატურა..."**

## რატომ განიხილავდა პარლამენტის თავმჯდომარე უსაფრთხოების მოდელებს გოგორიშვილთან

ქეთი ხატიაშვილი

**პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც ფანები, შეიძლება ითქვას, ნაციონალებშიც ჰყავდა და ბევრი მას კოალიციაში თითქმის ერთადერთ ნათელ წერტილადაც მოიხსენიებდა, სერიოზულ სკანდალში გაეხვია.**

როგორც აღმოჩნდა, სწორედ დავით უსუფაშვილმა „ურჩია" ხათუნა გოგორიშვილს მარნეულში კანდიდატურის მოხსნა.

ნაციონალებმა არ მოხსნეს, სამაგიეროდ საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე მოხსნა. აკმამედ იმამყულიევი მარნეულის გამგებლობის კანდიდატობიდან მოიხსნა.

**უსუფაშვილის შეთავაზება ხომ სკანდალი იყო და შემდეგ იგივე უსუფაშვილის წერილობითი მოთხოვნა უკვე კურიოზად იქცა. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მან შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს მოუწოდა, ხალხს არჩევანის საშუალება მისცეს და ვითარებაში გაერკვეს:**

– მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მივმართავ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს, მაქსიმალურად მოკლე ვადებში გაარკვიონ და გადაწყვიტონ ყველა სადავო საკითხი, რათა კანდიდატებსაც და ამომრჩევლებსაც მიეცეთ კონსტიტუციით დაცული პოლიტიკური უფლებებით შეუზღუდავად სარგებლობის საშუალება. დარწმუნებული ვარ, სამართალდამცავებიც და საარჩევნო ადმინისტრაციაც იმოქმედებენ კანონის სრული დაცვით და ერთი და იგივე მაღალი სტანდარტით განსჯიან საკითხებს, მიუხედავად ამა თუ იმ პირის პოლიტიკური კუთვნილებისა თუ თანამდებობისა.

**თუმცა, მანამდე 12 მაისს უსუფაშვილი ხათუნა გოგორიშვილს მისივე ინიციატივით შეხვდა და უთხრა:**

– იძულებული ვარ, საჯაროდ განვაცხადო – მე, ხათუნა გოგორიშვილს, პარლამენტის წევრს, მიმდინარე წლის 12 მაისს მქონდა შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან, თბილისში, იუსტიციის სახლში, რომელმაც მთავრობის დანაბარები გადმომცა... ხომ არ ვიფიქრებდით, მოგვეხსნა მარნეულში კანდიდატურა და ჩვენს კანდიდატს კენჭი არ ეყარა. მან ეს ახსნა იმით, რომ ზუსტად იცოდნენ, რა მხარდაჭერა აქვს და რამდენად ძლიერია ჩვენი კანდიდატი. მას შემდეგ, რაც ჩემგან უარი მიიღო, ჩვენი შეხვედრა დასრულდა, – ასეთია ხათუნა გოგორიშვილის განცხადება.

**პარლამენტის თავმჯდომარემ თავის განცხადებაში, რომელმაც ერთი დღით დაიგვიანა, გოგორიშვილთან შეხვედრა დაადასტურა, თუმცა, რაც შეეხება ბრალდებას, პასუხად საკმაოდ გაუგებარი ფრაზები მოაყოლა. კერძოდ, დავით უსუფაშვილმა თქვა:**

– 2014 წლის 12 მაისს მე ნამდვილად შევხვდი ქალბატონ ხათუნა გოგორიშვილს. საუბარი შეეხებოდა საკითხებს, მათ შორის, საარჩევნო თემატიკას, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ გაზრდილი გეოპოლიტიკური საფრთხეების გამო. ამგვარ და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებზე მე რეგულარული კომუნიკაცია მაქვს საპარლამენტო უმცირესობასთან, მიუხედავად ჩვენი პოზიციების თანხვედრის ხარისხისა. ესაა ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის სამსახურებრივი მოვალეობა. აღნიშნულ შეხვედრაზე ქალბატონი გოგორიშვილი წარმოადგენდა იმჟამად უცხოეთში მყოფ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, ბატონ დავით ბაქრაძეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ შეხვედრაზე არ ყოფილა ნახსენები არც ერთი გვარი და სახელი, არ განხილულა არც ერთი კანდიდატის საარჩევნო რეიტინგი თუ წარმატების ალბათობა და არ ყოფილა არც „დამითმე-დაგითმობ" და არც „თუ არა და მაშინ" საუბარი. საუბარი შეეხებოდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანო შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილების მოდელებს და არა ვინმეს პერსონალურად.





ამ გაუგებარი ფრაზების შემდეგ დავით უსუფაშვილმა იქვე დაამატა, ამ თემაზე დებატებს აღარ ვაპირებო. ასე რომ, საბოლოოდ, გაუგებარი დარჩა, რა იგულისხმა მან ეროვნული ინტერესების საზიანო საფრთხეების თავიდან აცილების მოდელებზე. რა მოდელები უნდა განეხილა წინასაარჩევნოდ უსუფაშვილს გოგორიშვილთან?

რაც შეეხება საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კობა ასანიძე განმარტავს, რომ გადაწყვეტილება იმ საჩივრის საფუძველზე იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც, აკმამედ იმამყულიევი ვერ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ საცხოვრებელ ცენზს, რომ კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში.

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლისადმი მიდგომა არაერთგვაროვანია:**

– როცა ოპოზიციის წარმომადგენელს ეხება საკითხი, კანონს განმარტავენ კანდიდატის საწინააღმდეგოდ, ხოლო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელს ეხება, მაშინ – კანდიდატის სასარგებლოდ.

მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში გიგი უგულავა და „ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერები აკმამედ იმამყულიევის რეგისტრაციის გაუქმებას აპროტესტებდნენ. გიგი უგულავამ მეორე დღეს ბოდიში მოიხადა: „საღამოს ვნახე ჩემი თავი, თვითონ არ მომეწონა, ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, ყვირილი და ხმამაღალი საუბარი ლამაზი არ არის, მაგრამ რას ვიზამთ, ხანდახან ასეც ხდება ხოლმე".

თუმცა, „ქართული ოცნება" დარწმუნებულია, რომ ყოფილ მერს ბოდიშის მოხდა არ უშველის და არჩევნების შემდეგ ყველა პასუხს აგებს. არჩევნების შემდეგ იმიტომ რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას მორატორიუმი აქვს გამოცხადებული.

**შს მინისტრმა განცხადება უკვე გააკეთა:**

– ...შემთხვევასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო. საგამოძიებო მოქმედებებს ვატარებთ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მორატორიუმია გამოცხადებული, წინასწარ არაფერს ვიტყვით. არჩევნების შემდეგ, ყველა, ვინც კრიმინალურ ქმედებაში მიიღო მონაწილეობა, პასუხისგებაში მიეცემა.

და მაინც, ნეტა რას გულისხმობდა უსუფაშვილი უსაფრთხოების მოდელებში ან რატომ განიხილავდა მას გოგორიშვილთან?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი სასამართლოს წინაშე წარდგება



# პატარკაციშვილის პარტია ოჯახისგან EXCLUSIVE 10 მილიონ დოლარს ითხოვს

ქეთი ხატიაშვილი

**პატარკაციშვილის ოჯახი იძულებულია, მისთვის უსიამოვნო პროცესში ჩაერთოს. ბადრის ქვრივს მოუწევს, ადვოკატი დაიქირაოს და მეუღლის პარტიის შეკითხვებსა და პრეტენზიებს უპასუხოს. ეს ხმაური ოჯახს შესაძლოა, 10 მილიონი დაუჯდეს. ამ თანხას ითხოვს პარტია მისგან. და აქ არ არის საუბარი მხოლოდ ერთ ან ორ კაცზე. „ჩვენი საქართველოს“ წევრებმა ამ საკითხზე გაერთიანება შეძლეს და სასამართლო პროცესზეც ერთად გამოდიან.**

სავარაუდოდ, უკვე დღეს ბადრი პატარკაციშვილის პარტიის შტაბი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს. პარტია „ჩვენი საქართველოს“ შტაბი ინა გუდავაძისგან 10 მილიონ 880 ათას დოლარს ითხოვს. ვალერი გელბახიანის განმარტებით, 6 ტომი უკვე მომზადებულია. მისივე თქმით, ყველა მტკიცებულება არსებობს საიმისოდ, რომ პარტიამ საქმე მოიგოს.

– ამ ექვსი ტომიდან 5 ტომი მხოლოდ დაზარალებულების ხელშეკრულებებია. დოკუმენტები შეგროვებულია. საქმეში დევს 1 700 ხელშეკრულება და 41 ათასი ბრძანებულება. დოკუმენტებს მე ვაწერდი ხელს, როგორც შტაბის უფროსი.



ბადრის პარტია უკვე დიდი ხანია დავალიანების დაფარვას ითხოვს. მათ რამდენჯერმე აქციაც კი გამართეს. მაშინ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა შტაბის მიერ წამოწყებული აქტივობა ამორალურად და ზნეობასთან

## ვალერი გელბახიანი: „ეს ვალი ოჯახმა აღიარა“

შეუთავსებლად შეაფასა. „რა მორალის ადამიანები არიან და საერთოდ, ვის ელაპარაკებიან?“ – განაცხადა ხუხაშვილმა.

ვალერი გელბახიანის განმარტებით კი, საუბარია 8 მილიონზე, რომელსაც 2 მილიონ 880 ათასი ემატება – ეს იმ თანხით სარგებლობის 3% პროცენტია, რომელიც განკუთვნილი იყო პარტიის სახელფასო ფონდისთვის. თავის დროზე მაშინდელმა ხელისუფლებამ პატარკაციშვილისა და მისი პარტიის დევნისა და შევიწროების გამო ამ თანხას ყადაღა დაადო“, – განმარტავს გელბახიანი.

მისივე განმარტებით, ოჯახმა პარტიის წინაშე 8-მილიონიანი ვალი აღიარა, თუმცა, „როცა უკვე პატარკაციშვილის ოჯახსა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის გარიგება შედგა, ეს თანხა ყადაღიდან მოიხსნა და ის ოჯახმა ისე გაიტანა, რომ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით“, – აცხადებს ვალერი გელბახიანი.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილი სახელმწიფო შეთქმულების მომზადებაში ჯერ ეჭვმიტანილად, მოგვიანებით კი ბრალდებულად ცნო. 2008 წელს პატარკაციშვილზე ძებნა გამოცხადდა.

ვალერი გელბახიანი აღიარებს, რომ პატარკაციშვილის ოჯახის ინტერესებს გია ხუხაშვილი იცავდა.

პატარკაციშვილის პარტია დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესს მოიგებს და პარტიას აღადგენს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში ვალერი გელბახიანმა აღნიშნა, რომ პარტია აქტიურად ჩაებმება პოლიტიკაში უკვე სექტემბრიდან.

**ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ზნეობრივად ეს საკითხი არ არის გამართლებული:**

– ისინი ბადრი პატარკაციშვილთან ერთად იბრძოდნენ და იბრძოდნენ არა ფულისთვის, არამედ გამარჯვებისთვის. ეს კაცი მოულოდნელად გარდაიცვალა და ახლა მის ოჯახს ფული მოსთხოვო, მორალურად არ არის გამართლებული. ეს იცით, რას ჰგავს? თქვენ რომ თქვენს მეგობართან ერთად სადღაც მიფრინავდეთ, თვითმფრინავმა ავტოკატასტროფა განიცადოს და ის თქვენი მეგობარი დაიღუპოს, თუმცა, თქვენ შემდეგ მის ოჯახთან მიხვიდეთ და უთხრათ: ბილეთის ფული იმას უნდა გადაეხადა და ვალი დამიფარეთო.

თუმცა, ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ სასამართლოსთვის მიმართვა ცივილიზებული ფორმაა და სასამართლოზე ყველაფერი გაირკვევა. მისივე განმარტებით, თავად ამ საქმეს არ იცნობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლიტიკაში მაშინ არ იყო:

– თავის დროზე უარი ვუთხარი ბადრი პატარკაციშვილს პოლიტიკაში ჩემს ჩართვაზე. პოლიტიკაში ერთადერთხელ ვიყავი, ისეც იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს უარი ვერ ვუთხარი. ასე რომ, ამ საქმეს მე არ ვიცნობ და დეტალები არ ვიცი, მხოლოდ ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ჩემი შეფასებით, ეს ზნეობრივი არ არის.

ბადრი პატარკაციშვილის პარტია უკვე აქტიურადაა ჩართული



პოლიტიკაში. პარტიამ რუსთავის მერობის კანდიდატად ეროსი კიწმარიშვილი წამოაყენა. ვალერი გელბახიანი მის გამარჯვებაში დარწმუნებულია.

როგორი იქნება ბადრი პატარკაციშვილის შემდეგ პარტიის პოლიტიკა, ჯერ რთული სათქმელია. ფაქტი ის არის, რომ პარტია მზად არის, შეიცვალოს დამოკიდებულება და ორიენტაცია არ აიღოს თავად ბადრის შეხედულებებზე. ამის მაგალითია ეროსი კიწმარიშვილიც.

**მას პატარკაციშვილთან საკმაოდ რთული დამოკიდებულება ჰქონდა. „პრაიმტაიმთან“ საუბარში კიწმარიშვილმა ამ თანამშრომლობას ბედის ირონია უწოდა:**

– ეს ბედის ირონიაა, რა ომში ვიყავით მე და ბადრი და ახლა მე მისი პარტიის სახელით გამოვდივარ. ეს მოხდა ორი კეთილშობილი ადამიანის ნებით. ესენი არიან ლევან ჩხეიძე და დავით ჭუკაკიძე. სრულიად შემთხვევით მოხდა ყველაფერი. როცა ბევრი პარტიიდან ჩემთვის მისაღებ სახელს ვეძებდი... ბევრი მზად იყო თანამშრომლობისთვის. უანგაროა ეს თანამშრომლობა და ისინი საარჩევნო სიაშიც არ წერიან. იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა გრძელვადიანი იქნება...



## გია ხუხაშვილი: „მორალურად არ არის გამართლებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაჭერების მორიგი ტალღა იწყება?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**მომავალი კვირიდან, არჩევნებთან ერთად, სრულდება წინასაარჩევნოდ გამოცხადებული მორატორიუმიც... დაიწყება თუ არა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაკავების მორიგი ტალღა? „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია აცხადებს, რომ საგამოძიებო ორგანოები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ და ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები პასუხს აგებენ, თუმცა რევანშს ადგილი არ ექნება. ბესელიასთან საუბარი გასულ კვირას მარნეულში განვითარებული მოვლენებით დავიწყეთ.**



## ეკა ბესელია: „ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები პასუხს აგებენ, თუმცა რევანშს ადგილი არ ექნება“

**– ქალბატონო ეკა, პირველ რიგში, მინდა, მარნეულში განვითარებული მოვლენები შეაფასოთ... რამდენად კანონიერად მოხსნა რეგისტრაციიდან საოლქო საარჩევნო კომისიამ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი?**

– საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებაში შესვლა არის ცესკოს და შემდგომ სასამართლოს პრეროგატივა. მათ უნდა შეაფასონ, რამდენად კანონიერია საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება. პოლიტიკოსის მხრიდან შეფასება შეიძლება გაკეთდეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა საქციელზე, თუ როგორ შეიჭრნენ ისინი საარჩევნო კომისიის შენობაში და პირდაპირ ახდენდნენ ზეწოლას კომისიის თავმჯდომარეზე. ეს დასჯადი ქმედებაა და ამას უნდა მოჰყვეს სამართლებრივი შეფასებაც. როდესაც „ნაციონალების“ ლიდერები, უგულავა და სხვები თავს უფლებას აძლევენ, ძალადობრივი გზებით მიაღებინონ კომისიის თავმჯდომარეს მათთვის სასურველი გადაწყვეტილება და უარს ამბობენ სამართლებრივი პროცედურების დაცვაზე, მაშინ პასუხისმგებლობაც უნდა აიღონ ამაზე.

**– თუმცა უგულავამ ბოდიში მოიხადა იმ დღესთან დაკავშირებით...**

– სამწუხაროდ, მხოლოდ ბოდიში არ არის საკმარისი. ეს არის კანონის დარღვევა და ვფიქრობ, საგამოძიებო ორგანოები ამ ფაქტს გამოიკვლევენ.

**– საოლქო საარჩევნო კომისია თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდა და შესაბამისად, მას კანონით არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება... ანალოგიური პრეტენზია იყო „ქართული ოცნების“ კანდიდატების მიმართაც ფოთსა და რუსთავში, თუმცა მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ შეზღუდვიათ... ორმაგ სტანდარტთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

– ფოთისა და რუსთავის კანდიდატების მიმართ გამოთქმული პრეტენზიების განხილვა მოხდა სამართლებრივ ჩარჩოებში და არა იმ ზეწოლის ფონზე, რომელიც მარნეულში ვიხილეთ. ფოთისა და რუსთავის შემთხვევები სასამართლოში იყო განხილული და იქ იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. „ნაციონალებსაც“ ვურჩევდი, დაიცვან ეს სამართლებრივი პროცედურები. ამ საკითხის განხილვა მუშტი-კრივით არ ხდება.

**– ანუ გამორიცხავთ საოლქო კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლას? შეგახსენებთ იგივე ხათუნა გოგორიშვილის განცხადებას... ის ამბობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე „ნაციონალებს“ სთხოვდა მარნეულში კანდიდატურის მოხსნას...**

– გამოვრიცხავ, რომ უსუფაშვილი იყოს მოძალადის როლში. ვიტოვებ უფლებას, რომ გოგორიშვილის განცხადებაში ეჭვი შევიტანო. ამ ფაქტზე პარლამენტის თავმჯდომარემ თავად გააკეთა განმარტება. თუ რამე კითხვის ნიშნები არსებობს ამ კანდიდატთან დაკავშირებით, კი ბატონო, გამოვიკვლიოთ.

**– „ჩვენ არ უნდა დავუშვათ არც ერთ დონეზე ოპონენტების გამარჯვება“, – პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება ხომ არ უბიძგებს ადგილობრივ მოხელეებს არჩევნების გაყალბებისკენ?**

– ირაკლი ღარიბაშვილი იმ მომენტში საუბრობდა არა როგორც პრემიერ-მინისტრი, არამედ პარტიისა და კოალიციის თავმჯდომარე. აქ არის დიდი განსხვავება. ის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობს, როგორც კოალიციის ლიდერი. ბუნებრივია, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის ლიდერი ფიქრობს გამარჯვებაზე და, მაქსიმალურად, ყველა დონის გამარჯვებაზე. ბუნებრივია, ის თავის შესაძლებლობებს კანონისა და სამართლის ჩარჩოებში იყენებს. ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნებში მისი მხრიდან რაიმე უკანონო ფორმების გამოყენების პროვოცირება ან მოწოდება ხდება. ღარიბაშვილი ნამდვილად არ გულისხმობდა, რომ თუ სხვა ძალები მიიღებენ ხმებს, მათ რაიმე დაბრკოლება შეექმნებათ ხელისუფლების მხრიდან. ირაკლი ღარიბაშვილი მოუწოდებს ყველა მოხელეს, რომ კანონის ფარგლებში იმოქმედოს და არ მოხდეს არავითარი ჩარევა. ეს რატომ ვერ გაიგო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, თუ მხოლოდ იმას ისმენენ, რის მოსმენაც სურთ. ეს არის თანაბარ კონკურენტულ გარემოში გამარჯვებისკენ სწრაფვა. თუკი ისეთი საარჩევნო გარემო იქნებოდა, როგორიც სააკაშვილის დროს იყო, რა თქმა უნდა, ამ განცხადებაში საფრთხეს დავინახავდი. მაგრამ ახლა სხვა გარემოა. მაშინ ჩვენს წინააღმდეგ თითქმის ყველა აკრძალულ მეთოდს იყენებდნენ. როდესაც დღეს პრემიერი თავად არის გარანტი თავისუფალი არჩევნების, როდესაც პოლიტიკა მთლიანად დისტანცირებულია საარჩევნო პროცესისგან, ამ განცხადებაში არ უნდა ვეძებოთ საფრთხის მატარებელი ქვეტექსტები.

**– პრემიერ-მინისტრი ხშირად ამბობს, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობას“ ოპონენტად არ განიხილავს, მაშინ, როცა საპარლამენტო უმცირესობის სახით სწორედ ეს ძალაა წარმოდგენილი და უკანასკნელმა არჩევნებმაც აჩვენა, რომ სახელისუფლებო გუნდის შემდეგ ყველაზე მაღალი რეიტინგი სწორედ მას აქვს... თქვენ ვის მიიჩნევთ რეალურ ოპოზიციად?**

– აბსოლუტურად ვიზიარებ პრემიერის პოზიციასა და განწყობას. ის პოლიტიკური ძალა, რომლის წარმომადგენლებიც აწყობენ იმ ტიპის განზრახ მკვლელობის სპეცოპერაციას, როგორიც მოხდა ნავთლუღში, იტაცებდნენ ადამიანებს და პირდაპირ ხოცავდნენ, ცხედრებს კი ზღვაში ყრიდნენ, როგორც ახლა ირკვევა. მართლა ბედის ირონიაა, რომ დღეს ეს ძალა პარლამენტშია წარმოდგენილი და ჩვენ გვსაყვედურობს არასამართლიანობას. მაშინ, საპარლამენტო არჩევნების დროს არ იყო თავისუფალი გარემო, თორემ დარწმუნებული ვარ, „ნაციონალური მოძრაობა“ იმ ხმებსაც ვერ აიღებდა, რაც აიღო.

**– საპრეზიდენტო არჩევნებზე ხომ მაინც იყო თავისუფალი გარემო...**

– და რამდენი მიიღეს მერე?

**– მეორე ადგილზე გავიდნენ...**

– დიახ, საკმაოდ დაბალი პროცენტული მაჩვენებლით. ეს იყო საპრეზიდენტო არჩევნები. ვნახოთ და დაველოდოთ თვითმმართველობის არჩევნებს და ვფიქრობ, საინტერესო სურათი დაიდება. მიუხედავად იმისა, „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზე გავიდა თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებზე, ეს მათ არ ათავისუფლებს იმ სახელისგან, რომელიც მას დაერქვა – ეს იყო ძალადობრივი და ტერორზე აგებული რეჟიმი.

**– გამორიცხავთ, რომ თბილისში მეორე ტური შედგეს?**

– გამოვრიცხავ და არანაირად არ არსებობს ამის წინაპირობა.

**– ამას ამბობთ შიდა კვლევებზე დაყრდნობით თუ უბრალოდ თქვენი ვარაუდია?**

– მათ შორის ვეყრდნობი შიდა კვლევებს.

**– შეგიძლიათ, გაგვიმხილოთ რეიტინგები?**

– ერთნიშნა რეიტინგი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, დავით ნარმანიას კი აქვს საკმარისზე მეტი მხარდაჭერა იმისთვის, რომ პირველივე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვოს.

**– ლევან ქარდავას საქმეზე მინდა გკითხოთ... მისი გაუჩინარების საქმე შსს-მ გახსნილად გამოაცხადა. არსებობს ინფორმაცია, რომ ანალოგიური სცენარი იკვეთება დავით ცინდელიანის გაუჩინარების საქმეშიც... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– ფაქტია, რომ ადამიანების გაუჩინარება უმიზეზოდ არ ხდებოდა. ქარდავას ფაქტში გამოიკვეთა შემზარავი სურათი, როდესაც ძალოვანი უწყების წარმომადგენლები იტაცებენ თავდაცვის ოფიცერს, კლავენ და მერე შუა ზღვაში აგდებენ. ამაზე შემზარავი რა შეიძლება იყოს. ეს მაგალითიც კი საკმარისია რეჟიმის შესაფასებლად, აღარაფერს ვამბობ სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებზე. გავიხსენოთ, ვინ იყო სამხარეო პოლიციის უფროსი ქარდავას გაუჩინარების დროს. ეს იყო ბატონი გუნავა. მისი რამდენიმე თანამშრომელი გასამართლებულია უკვე ადამიანების წამებისა და გაუპატიურების ბრალდებით. ვინმეს სჯერა, რომ სამხარეო სამმართველოს უფროსმა არ იცოდა, რა ხდებოდა?

**– ანუ რაზე მიანიშნებთ? შესაძლოა, თენგიზ გუნავას ბრალეულობა გამოიკვეთოს?**

– მე ვსვამ მხოლოდ კითხვას? მე არ ვიცი, რა მოხდება და რა გადაწყვეტილებას მიიღებს სამართალდამცველი უწყება. მე მაქვს კითხვა, როდესაც სამხარეო პოლიციის თანამშრომლები ადამიანებს აწამებდნენ, იტაცებდნენ და კლავდნენ, შეიძლებოდა რიგით თანამშრომლებს მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება ისე, რომ უფროსს არ სცოდნოდა? თუ ვინმეს ეს სჯერა, კი ბატონო, მაგრამ ვფიქრობ, საღად მოაზროვნე ადამიანი ამას არ დაიჯერებს. და დღეს რომ თენგიზ გუნავა კენჭს იყრის, ეს არის ცინიზმი. ვფიქრობ, გამოძიებამ სერიოზულად უნდა იმუშაოს და დაადგინოს, ვინ იყო ის თანამდებობის პირი, რომელიც ასეთ ბრძანებებს იძლეოდა.

**– გუნავა ამბობს, რომ ეს საქმე შეგნებულად გამოაგდეთ წინასაარჩევნოდ, რადგან მაქსიმალურად მომხდარიყო მისი, როგორც კანდიდატის დისკრედიტაცია?**

– საქმე გახმაურდა მაშინ, როცა გამოძიება დასრულდა. ოჯახს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში აწვალებდა კითხვები, უნდა მიეღო კონკრეტული პასუხები. ქარდავას საქმე არ არის ერთადერთი. ათეულობით ადამიანი უჩინარდებოდა სამეგრელოდან, სად ქრებოდნენ ეს ადამიანები? ვფიქრობ, მკვლელობისა და გაუჩინარების კიდევ არაერთი საქმე გაიხსნება.

**– არჩევნებთან ერთად დასრულდება მორატორიუმიც... უნდა ველოდოთ თუ არა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სისხლის სამართლის საქმეებზე დაბარებებს, ან დაკავებების ახალ ტალღას?**

– პროკურატურა და პოლიცია შვებულებაში ვერ გავლენ. ძალიან დიდი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენის. 18 ათასი საჩივარი მაქვს უკვე მიღებული კომიტეტში, ადამიანები ყვებიან შემზარავ ისტორიებს. ამ საქმეებს გამოძიება სჭირდება და ბუნებრივია, ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები პასუხს აგებენ, თუმცა რევანშს ადგილი არ ექნება.

**„ვინმეს სჯერა, რომ სამხარეო სამმართველოს უფროსმა არ იცოდა, რა ხდებოდა?“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ არის რეიჩელ კლოგი და რა კავშირი აქვს მას „რესპუბლიკურ პარტიასთან“?



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**სად და ვის ჯიბეში მიედინებოდა კონფლიქტების მიზნით საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი გრანტები? „პრაიმტაიმს“ „უპარტიოთა მოძრაობის“ თავმჯდომარემ, მამუკა გვაძაბიამ მოაწოდა ამ დრომდე კონფიდენციალური ინფორმაცია ბრიტანეთის მოქალაქის რეიჩელ კლოგის საქართველოში საქმიანობისა და გრანტების არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ. ვინ იყვნენ რეიჩელ კლოგის ქართველი პარტნიორები და რა სქემით ხდებოდა გრანტების ათვისება? ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი მინიდოსიე:**



„კლოგმა მიიღო თანხა 100 000 ევროს ოდენობით, რომელიც, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიმართულებით წავიდა. ეს და კიდევ სხვა გრანტები ამ ქსელის წევრების ჯიბეში დაილექა“

პაატა ზაქარეიშვილი

რეიჩელ კლოგი – ბრიტანეთის მოქალაქე, დაბადებულია ლონდონში. უნივერსიტეტი რუსეთში, კერძოდ სანკტ-პეტერბურგში დაამთავრა. თავისუფლად ფლობს რუსულ ენას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლონდონში მიიღო ინგლისის დედოფლის ანდერძით გათვალისწინებული გრანტი კონფლიქტოლოგიაზე. გრანტის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნებში კონფლიქტების მოგვარების მეთოდების შესწავლა, რაც შემდგომ გახდა რეიჩელ კლოგის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი.

ის საქართველოში 1995-96 წლებში ჩამოდის. „დემოკრატიის ინსტიტუტში“ პირველად ხვდება პაატა ზაქარეიშვილსა და იულია ხარაშვილს. კლოგმა თხოვნით მიმართა ზაქარეიშვილს, მოეწყო შეხვედრა შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ზაქარეიშვილმა მას მაშინდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ვახტანგ ყოლბაია გააცნო, ყოლბაიამ კი მას ურჩია, კონტაქტი ჰქონოდა მის ნდობით აღჭურვილ პირებთან – გია გვაზავასთან და ზურაბ ერქვანიასთან. ყოლბაიას ინიციატივითვე რეიჩელ კლოგი ახერხებს შეხვედრას ვლადისლავ არძინბასთან. ოფისები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და სოხუმში. სწორედ ამ მიმართულებით უნდა ემოძრავა გრანტებს, რომლის მოზიდვასაც საკუთარ თავზე იღებდა რეიჩელ კლოგი. ასეც მოხდა, თუმცა როგორც „უპარტიოთა მოძრაობის“ თავმჯდომარე ყვება, ეს თანხები კონფლიქტების დარეგულირების ნაცვლად, ამ ქსელის შემქმნელთა ჯიბეებში დაილექა.

**მამუკა გვაძაბია, „უპარტიოთა მოძრაობა“:**

– როგორც კი რეიჩელ კლოგი ლონდონში დაბრუნდა, მან იმდენ გრანტს მოუყარა თავი, რომ მისი ქართველი პარტნიორები გაოცებულნიც კი დარჩნენ. კლოგმა საქართველოში დიდი ფული ჩამოიტანა. თანხა რომ აეთვისებინათ, მათ ქუთაისში სამუშაო არეალის გაფართოება დასჭირდათ. აქაც ვახტანგ ყოლბაიას რეკომენდაციამ გაჭრა და ქუთაისის ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ ალუ გამახარია („სოხუმხელსაწყოს“ ყოფილი დირექტორი) და არჩილ ელბაქიძე, თავიანთ ცოლებთან ერთად. თითო ოჯახში გაიხსნა სამ-სამი ორგანიზაცია შვილების, სიდედრებისა და სიმამრების სახელზე. ოჯახის უფროსი ალი გამახარია სათავეში ჩაუდგა ჰუმანიტარულ ფონდ „აფხაზეთს“, არჩილ ელბაქიძე კი ფონდ „აფხაზინტერკონტს“. რეიჩელ კლოგის მიერ ჩამოტანილი თანხა იმდენად დიდი იყო, რომ ასე ადვილად მაინც ვერ აითვისებდნენ და თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის შემდეგ არეალი გაფართოვდა ზუგდიდშიც. ვახტანგ ყოლბაიას ინიციატივითვე ზუგდიდის ოფისს სათავეში ჩაუდგნენ გია ხასია და მისი მეუღლე. საქართველოში კლოგს კარგი ლობისტი ჰყავდა, ყოლბაიას სახით, და საერთოდ არ ჰქონდა პრობლემა ფულის ათვისებასთან დაკავშირებით, მაგრამ მას გაუჩნდა პრობლემები საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. კლოგმა იქაც შეძლო სიტუაციის დალაგება, თანაც საკმაოდ ოსტატურად. ქართული მხარის დახმარებით გაიცნო გავლენიანი აფხაზი ბიჭი, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ ცოლად გაჰყვა. ამის შემდეგ დაიწყო ფულის ტრიალი თბილისი-ქუთაისი-ზუგდიდი-გალი-სოხუმის მიმართულებით.

**– და რა იყო დასაბუთება? რისთვის ვხარჯავთ ფულსო?**

– რა ტიპის პროექტები აღარ მოიგონეს: კავკასიური დიალოგი, აფხაზური კამათი, კამათი აფხაზეთში, კამათი აფხაზებთან და ა.შ. ეს პროექტები მოიგონეს იმისთვის, რომ ფული, რომელიც დონორებმა გამოყვეს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის, ჯიბეში ჩაედოთ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ ჯგუფს მუშაობა გაუჭირდა. რეიჩელ კლოგი მიხვდა, რომ მას ვახტანგ ყოლბაია აღარ გამოადგებოდა და მთავრობაში ახალი ლობისტის ძიება დაიწყო. ამ მიზნით ის რამდენჯერმე შეხვდა აფხაზეთის მთავრობის მაშინდელ ხელმძღვანელს ირაკლი ალასანიას, მაგრამ კლოგს არ გაუმართლა. ალასანიამ ის უარით გაისტუმრა. ამის შემდეგ კლოგი კვლავ უკავშირდება პაატა ზაქარეიშვილს, რომელმაც „რესპუბლიკურ პარტიასთან“ თანამშრომლობა შესთავაზა. 2005 წელს სამუშაო შეხვედრა გაიმართა თბილისში და გადაწყდა, რომ შეექმნათ დამატებით სატელიტი ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების ნაწილი იმავე წელს დააფინანსეს („ათინათი“, „სამეგრელო“, „მედეა“). შემდგომ ეს ორგანიზაციები ოფიციალურად შეუერთდნენ „რესპუბლიკურ პარტიას“. 2006 წლის ივნისში ყველა ეს ორგანიზაცია დაპატიჟეს თბილისში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც მასმედიითაც ფართოდ გაშუქდა. რეიჩელ კლოგი 2006 წელს ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ გრანტის კონკურსშიც გეგმავდა მონაწილეობას და გადაწყდა, რომ ამ თანხას იმ ორგანიზაციებს გაუნაწილებდა, რომლებიც „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ იმუშავებდნენ. საბოლოოდ კლოგმა მიიღო თანხა 100 000 ევროს ოდენობით, რომელიც, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიმართულებით წავიდა. ეს და კიდევ სხვა გრანტები ამ ქსელის წევრების ჯიბეში დაილექა.

**– ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს თანხა რეალურად კონფლიქტების დარეგულირებას არ მოხმარებია?**

– არათუ ვამტკიცებ, წარმოგიდგენთ წარმომადგენელთა კონკრეტულ სიას, ვისზე რა თანხა გადანაწილდა. მათ შორის უმეტესობა „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია, ასე მაგალითად: ციცინო გრძელიშვილი – 5000 ევრო, მამუკა ყუფარაძე – 10 000, პაატა ზაქარეიშვილი – 30 000, იულია ხარაშვილი – 10 000, ნოდარ სარჯველაძე – 20 000. თანხები გადანაწილდა ქუთაისშიც: თამარ მიქაუტაძე-ელბაქიძე – 5 000, არჩილ ელბაქიძე – 30 000, ალი გამახარია თავისი ოჯახით – 30 000, მერი გელაშვილი – 5 000. ზუგდიდი: ვახტანგ ყოლბაია – 50 000, გია ხასია და მისი ცოლი – 30 000, მარინა დავითაია – 5 000, მერაბ ხუბუტია – 10 000. გალი: რუსლან ქიშმარია – 20 000, სოხუმი: ბათალ კობახია – 50 000. ამ სქემაში ჩართული იყო კულტურის დღევანდელი მინისტრი გურამ ოდიშარიაც, რომელსაც 3 000 ევრო ერგო. აი, ასე ნაწილდებოდა საერთაშორისო დონორების მიერ გაცემული გრანტები კონკრეტულ პირებზე და ეს იფუთებოდა, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება. რეალურად ამ მიმართულებით არც არაფერი გაუკეთებიათ. რეიჩელ კლოგი, პაატა ზაქარეიშვილი, ვახტანგ ყოლბაია – ეს იყო ერთი ჯგუფი, რომელიც რეალურად კონფლიქტებით ფულს აკეთებდა. ამ სიტყვებზე მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას და შემიძლია, ნებისმიერ ფორმატში დავუმტკიცო ეს მათ.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს მამუკა გვაძაბიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია? რეალურად რა კავშირი ჰქონდათ ზაქარეიშვილსა და ყოლბაიას რეიჩელ კლოგთან? სახელმწიფო მინისტრ ზაქარეიშვილთან დაკავშირება ვერც პრესსამსახურის საშუალებით და ვერც მის პირად მობილურზე ვერ მოხერხდა. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია კი მივლინებით საზღვარგარეთ იმყოფება.



„ყოლბაიას ინიციატივით რეიჩელ კლოგი ახერხებს შეხვედრას ვლადისლავ არძინბასთან. ოფისები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და სოხუმში. სწორედ ამ მიმართულებით უნდა ემოძრავა გრანტებს, რომლის მოზიდვასაც საკუთარ თავზე იღებდა რეიჩელ კლოგი“

ვახტანგ ყოლბაია



მამუკა გვაძაბია

„2006 წელს ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ გრანტის კონკურსშიც გეგმავდა მონაწილეობას და გადაწყდა, რომ ამ თანხას იმ ორგანიზაციებს გაუნაწილებდა, რომლებიც „რესპუბლიკელების“ სასარგებლოდ იმუშავებდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წმინდა სინოდი ანტიდისკრიმინაციული კანონის შეცვლას ითხოვს

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას საპატრიარქოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრება გაიმართა. მღვდელმთავრებმა სხვადასხვა საკითხები განიხილეს. მათ შორის, იმსჯელეს ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ. წმინდა სინოდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება და ხელისუფლებას კანონის შეცვლისკენ მოუწოდა.**

როგორც წმინდა სინოდის კრების მდივნად ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული კანონი წარმოდგენილი სახით მიუღებელია როგორც საქართველოს ეკლესიისთვის, ისე ყველა მორწმუნისათვის.

პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვას საზოგადოების და ეკლესიის მხრიდან დიდი ვნებათაღელვა და უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა, საპატრიარქო აღნიშნული კანონის მიღებას ეწინააღმდეგებოდა. მეტიც, პატრიარქმა ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, რომ კანონის მიღება არ ეჩქარათ და ჯერ საჯარო განხილვა მომხდარიყო.

თუმცა, პარლამენტმა კანონი საჯარო განხილვის გარეშე მიიღო. რასაც სასულიერო პირების და მართლამდიდებელი მრევლის საპროტესტო აქციები მოჰყვა. ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, რომ კანონი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას ეწევა და ა.შ.

მას შემდეგ, რაც წმინდა სინოდის განჩინება ცნობილი გახდა, კომენტარისთვის დავუკავშირდით პატრიარქის პრეს-მდივანს, მამა მიქაელს (ბოტკოველი), თუმცა, მან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

ამ თემაზე საუბარი არც სხვა სასულიერო პირებს სურთ. მიზეზი უცნობია.

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა პირად საუბარში გვითხრა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ გამართულ საპროტეტსო აქციებზე სასულიერო პირების გამოსვლა სწორი არ იყო. აქვე დასძინა, რომ ის მღვდელმსახურნი საპატრიარქოდან მისულები არც იყვნენ.

წმინდა სინოდის განჩინებას გამოეხმაურა ხელისუფლება. როგორც „პრაიმტაიმს" პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით პარლამენტმა პოზიცია დააფიქსირა და მისი შეცვლა არ მოხდება.

- კანონი მიღებულია. რაიმე ცვლილებას არ ვგეგმავთ. ეკლესიას უფლება აქვს თავისი პოზიცია დააფიქსიროს. შესაბამისად, მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე საჭიროდ თვლიან. ჩვენ არ ვერევით ეკლესიის საქმიანობაში. ამის კანონისმიერი უფლებაც არ გვაქვს. კონკორდატით ეკლესიის დამოუკიდებლობა და ხელშეუხლებლობა დაცულია. რაც შეეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია, დაიცვას ნებისმიერი ადამიანი ყოველგვარი ჩაგვრისგან, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება უმრავლესობას არ მოსწონს ან მიუღებელია მათი ესა თუ ის ქცევა, სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ადამიანი დაიცვას და დისკრიმინაციის მსხვერპლი არ იყოს. ეს კანონი მიღებულია იმიტომ, რომ არ იყოს ძალადობა დაშვებული იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უმრავლესობას შეიძლება არ მოსწონს და არის მიუღებელი. ჩემთვის, აბსოლუტურად გასაგებია ის წუხილი, რაც გამოთქმულია ეკლესიისგან. ეკლესიურად მათი ხედვა გასაგებია, მაგრამ ჩვენ, სახელმწიფოს, გვაქვს სხვა ვალდებულება. მიუხედავად იმისა, როგორია



**„ამ კანონმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მივიღეთ წყევლა-კრულვაც, მაგრამ მიმაჩნია, რომ აქ არ არის საუბარი არავითარ რეკლამაზე, რაღაც წახალისებაზე ან განსაკუთრებული უფლებების მინიჭებაზე. საუბარია იმაზე, რაც წლების წინ იყო თუნდაც სამედიცინო საქმიანობის შესახებ კანონში მითითებული, მიუხედავად იმისა, ადამიანი როგორი ორიენტაციისაც არ უნდა იყოს, არ უნდა მოექცნენ დისკრიმინაციულად"**

EXCLUSIVE

**„პირდაპირ გეტყვით, არც ჩემთვის არ არის მოსაწონი და მე ამას არ ვმალავ, ჩემი დამოკიდებულება ასეთია, მაგრამ მე რომ არ მომწონს, ეს არ მაძლევს უფლებას, რომ ასეთი ადამიანები სამსახურიდან დავითხოვოთ ან უარი ვუთხრათ სამედიცინო დახმარებაზე თუ ისინი მიაკითხავენ ექიმს"**

# ხელისუფლება გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს

ადამიანი. ამ კანონმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მივიღეთ წყევლა-კრულვაც, მაგრამ მიმაჩნია, რომ აქ არ არის საუბარი არავითარ რეკლამაზე, რაღაც წახალისებაზე ან განსაკუთრებული უფლებების მინიჭებაზე. საუბარია იმაზე, რაც წლების წინ იყო თუნდაც სამედიცინო საქმიანობის შესახებ კანონში მითითებული, მიუხედავად იმისა, ადამიანი როგორი ორიენტაციისაც არ უნდა იყოს, არ უნდა მოექცნენ დისკრიმინაციულად. ეს კანონში წლების წინაა იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, მაშინ ასეთი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია...

**- თქვენ იურისტი ხართ და მოგეხსენებათ, რომ ადამიანის მიმართ ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა კანონით ისედაც ისჯება. ამიტომ, მავანი მიიჩნევს, რომ ამ კანონის მიღების საჭიროება არ არსებობდა.**

- ამ კანონის მიღების აუცილებლობა არსებობდა. ხომ შეიძლება რომელიმე უნივერსიტეტმა სტუდენტი გარიცხოს, ან არ მიიღოს სასწავლებელში იმიტომ, რომ ის განსხვავებული ორიენტაციის არის. რეალობა, ვთქვათ, ბარში მიმტანად მუშაობს ადამიანი ან ჭურჭლის მრეცხავია და აღმოჩნდა, რომ ასეთია. ამის გამო შეიძლება სამსახურიდან გამოაგდონ? ამაზეა საუბარი. პირდაპირ გეტყვით, არც ჩემთვის არ არის მოსაწონი და მე ამას არ ვმალავ, ჩემი დამოკიდებულება ასეთია, მაგრამ მე რომ არ მომწონს, ეს არ მაძლევს უფლებას, რომ ასეთი ადამიანები სამსახურიდან დავითხოვოთ ან უარი ვუთხრათ სამედიცინო დახმარებაზე თუ ისინი მიაკითხავენ ექიმს. ბევრი ჟურნალისტი ვიცი, რომელიც ასეთია და ტელევიზიაში საქმიანობს, სამსახურებიდან დავითხოვოთ იმიტომ, რომ ასეთები არიან?! მე მაქვს კითხვა, ასე მოვექცეთ ამ ადამიანებს? მე ვეკითხები მათ ვინც ჩვენ გვწყევლის იმის გამო, რომ ეს კანონი მივიღეთ. ასეთი ადამიანები ჩემ გარშემო ძალიან ბევრია. რა ვქნათ, გავასახლოთ საქართველოდან? როგორ მოვექცეთ? ჩვენ ამ კანონით კი არ ვახალისებთ, რომ ეს კარგია და მოდით, ასეთი იყავით, არამედ ასეთ ადამიანებს ვიცავთ. მართლმადიდებლურ ეკლესიას, გნებავთ კათოლიკურს, მუსულმანურს, ეს კანონი არ მოეწონება. როგორ შეიძლება ეკლესიას ეს მოეწონოს, როცა ამბობს, რომ ეს არის ცოდვა. ეს უნდა თქვას ეკლესიამ, რადგან მისი დანიშნულება და ფუნქციაა. შეიძლება ეს ცუდია, რომ ადამიანი ასე ცხოვრობს, მაგრამ თუ ის სხვაზე არ ძალადობს ამ თავისი ორიენტაციის გამო, სხვას ზიანს არ აყენებს, მაშინ ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ ამის გამო ადამიანები ამ ქვეყნიდან გავასახლოთ. თუ ზიანს აყენებს და გარყვნილ ქმედებას სჩადის, პედოფილიას, ან სხვა ტიპის სექსუალურ ქმედებას, ეს ისედაც დასჯადია. შესაბამისად, სისხლის სამართლის დანაშაულია და უმკაცრესად დაისჯება.

**- ეკლესია, მართლმადიდებელი მრევლი ამბობს, რომ ეს კანონი ერთგვარ პროპაგანდას უწევს სექსუალურ უმცირესობებს...**

- არავითარი პროპაგანდისტული ამ კანონში არ არის. უფრო მეტიც, პირდაპირ ჩადებულია ნორმა, რომელიც ამბობს, ეს კანონი არ უნდა განიმარტოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმების საწინააღმდეგოდ. ე.წ. კონკორდატის წინააღმდეგ. გარდა ამისა, კანონში წერია, რომ შესაძლებელია ამ კანონით დაცული უფლებები სახელმწიფოს მხრიდან შეიზღუდოს თუ ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიულ მიზნებს. უკაცრავად და, შიშვლები თუ გამოვარდებიან ქუჩაში და გარყვნილ ქმედებებს დაიწყებენ, ეს არის დასჯადი და ეს ადამიანები დაისჯებიან. სახელმწიფო ამას არ დაუშვებს, იმიტომ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება.

**- ვთქვათ, თუ ჩატარდება გეი-აღლუმი, ეს ჩაითვლება ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად?**

- ჩვენს ქვეყანაში გამოხატვის უფლება დაცულია. თუ ჩვენ გვინდა ევროკავშირში შესვლა და მივისწრაფვით ევროპისკენ, გამოხატვის უფლება დაცული უნდა იყოს. მე რაც მინახავს ტელევიზიით, რასაც ამ აღლუმებს ეძახიან, ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი ადამიანების, ნახევრად ან მთლიანად შიშვლად სირბილი ქუჩაში, გარკვეული გარყვნილი ქმედებების შემცვლელი საქციელი, რასაც აფიქსირებენ. მე არ ვიცი სხვა ქვეყნებში ამას როგორ არეგულირებენ, ითვლება თუ არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად ან საზოგადოების ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებად, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობით შეიძლება გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს თუ ის იღებს ასეთ ფორმას. თუნდაც, სამოქალაქო კოდექსი ავიღოთ, ბათილია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება ანუ კანონი იცნობს ზნეობას. საზოგადოებრივი ზნეობა არ არის უცხო ტერმინი. შესაბამისად, ადამიანი ქუჩაში თუ დგას და უშვერი სიტყვებით იგინება, ეს არის ხულიგნობა. მორალში არ ჯდება, ისევე, როგორც სხვა საქციელი, რომელიც მიუღებელია საზოგადოებრივი ზნეობისთვის. თუ გეი-აღლუმი ასეთ ფორმას მიიღებს, იქნება რეაგირებული. გარყვნილი ქმედება კანონითაც აკძალულია. შიშები, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ ადამიანები ქუჩაში შიშვლები დაიწყებენ სირბილს, ასე არ არის. ამის წახალისება არ მოხდება არასდროს და თბილისის ქუჩებში ეს არ მოხდება. თუ მოხდება გარყვნილი ქმედების დემონსტრირება, ეს დასჯადია. შეიძლება ვიღაცა გეი სულაც არ არის და არის ტრადიციული ორიენტაციის, მაგრამ თავში აზრად მოუვიდა და ცირკის წინ დადგა შიშველი. როგორ ფიქრობთ, ეს დაიშვება და ამაზე რეაგირება არ უნდა მოახდინონ სამართალდამცველებმა? ცხადია, მოახდენენ. შეიძლება სხვა თემაზე გადავდივარ, მაგრამ ამ ბოლო დროს მწვავედ დგება საკითხი, როცა ყოფილი ქმრები ან მოქმედი ქმრები ქალებს კლავენ. თან ძალიან დიდი სისასტიკით. მოდი და ყველამ მოვაწყოთ აღლუმი ამის წინააღმდეგ. რატომ არ არის ამაზე დიდი პროტესტი? ამისკენ კი არ მოვუწოდებ ადამიანებს, მაგრამ სერიოზული პროტესტის ფორმაა, როცა ყოველი მეორე, მესამე მართლმადიდებლის ოჯახი მარხულობს, ეზიარება და ქმარი ცოლს უბათქუნებს დღეში ხუთჯერ. ამაზე პროტეტსი რატომ არ არის? მართლმადიდებელი ქმრები რატომ ურტყამენ ცოლებს? რატომ კლავენ? ეს კანონი სწორედ იმაზეა, რომ ქალს ასე არ მოექცნენ და ძალადობის მსხვერპლი არ გახდეს თუნდაც განსხვავებული თმის ფერის გამო.

**- მართლმადიდებელმა მრევლმა გამოთქვა შეშფოთება, რომ გამორიცხული არ არის, ამ კანონის მიღების შემდეგ ხელისუფლებამ ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონოსო.**

- ეს გამორიცხულია. არასოდეს ამ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება და ლეგალიზება არ მოხდება. არც ერთსქესიანთა მხრიდან ბავშვის შვილად აყვანა. ამას სახელმწიფო იურიდიულად არ დაუშვებს. საქართველოში ეს მიუღწეველია, თუკი ვინმე ასე ფიქრობს. ამას არც ითხოვს ჩვენგან ევროკავშირი. ეს საკითხი მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოზე და მის არჩევანზე. ჩვენი გადაწყვეტილებები ძალიან მკაფიოა. არსებობს კონსტიტუცია, სადაც წერია, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ კონკორდატს აქვს კონსტიტუციის ტოლფასი ძალა. ჩვენ ვაღიარებთ მართლმადიდებლური ეკლესიის როლს. მე თავად გახლავართ მართლმადიდებელი, მაგრამ როგორც სახელწმიფო მოხელე, ვალდებული ვარ, როცა ადამიანი განსხვავებულია, დავიცვა ჩაგვრისგან. თუ არჩევანის წინაშე დავდგები, მე მხარს არ დავუჭერ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, დეპუტატის მანდატის დატოვებაც, რომ დამჭირდეს. ამას გავაკეთებ, არ არის პრობლემა. ადამიანები როგორც მოდიან პოლიტიკაში, ასევე მიდიან. მარადიული არაფერია. ნამდვილად არ ვარ სკამზე ჩაჭიდებული და ჩაფრენილი. მოვედი იმიტომ, რომ ბევრი საკითხია ჩვენს ქვეყანაში გადასაჭრელი. მოვედი იმათთან ერთად ვისაც ეს ქვეყანა ნამდვილად უყვარს და სტკივა. ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ სერიოზული პრობლემებია, რომელიც უნდა გადაიჭრას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებშ

## კახა ლაშხი: „ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესოა და პრეტენზია გვაქვს, რომ ამიერკავკასიაშიც ერთ-ერთი საუკეთესოები ვიყოთ“

მაგდა კლდიაშვილი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გასულ წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ შეიმუშავა, რომელსაც „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ახორციელებს.**

პროექტი გასული წლის 27 მარტს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში 500-ზე მეტი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის, 74 ახალი შეიქმნა.

შპს „ლომთაგორა“ ერთ-ერთია იმ საწარმოთაგან, რომელიც „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაიხსნა. საწარმოს პრეზენტაცია გასულ კვირას მარნეულში გაიმართა. ქარხანა მარცვლეულს ამუშავებს და ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ ხორბლის იმ ჯიშებს იყენებს, რომელიც მსოფლიო კოლექციაშია შესული.

**„პრაიმტაიმი“ საწარმოს ხელმძღვანელს კახა ლაშხს დაუკავშირდა:**

– აგროკრედიტი შარშან, გაზაფხულზე ავიღე და დავიწყე ამ საწარმოს შექმნა. საწარმო გულისხმობს მარცვლეულის შესანახ, საშრობ და თესლის გადამამუშავებელ ქარხანას. ამ ბაზაზე ორი საწარმო შევქმენით, ერთი – შესანახი და მეორე – თესლის, ხორბლისა და სიმინდის გადამამუშავებელი. სესხი საკმაოდ იოლად ავიღე, უმარტივესადაც, შეიძლება ასეც ითქვას. კრედიტს 7 წლის განმავლობაში დავფარავთ.

**– რეალურად, მართლაც შეღავათიანია ეს კრედიტი?**

– ჩვენ მხოლოდ 1%-ის გადახდა გვიწევს, სახელმწიფო კი 12%-ით აფინანსებს, თანადაფინანსებით, ამ პროექტის ფარგლებში. ეს კი მართლაც დიდი შეღავათია. აღებული აგროკრედიტი, ძირითადად, მოწყობილობების, დანადგარების შეძენაში დაიხარჯა. მარცვლეულის შესანახი დიდი ბუნკერებია, ორი ათას ტონაზე გათვლილი, თანამედროვე ევროსტანდარტების შესაბამისი, თავისი კომპიუტერიზაციით. ასევე, შევიძინეთ დანადგარები, რომლებიც გათვლილია მარცვლეულის თესლის გადასამუშავებლად, ესეც ევროსტანდარტების დონის შესაბამისია.

**– ოფიციალურ გახსნამდე, როდის დაიწყო საწარმომ ფუნქციონირება?**

– შარშან გვინდოდა გახსნა, მაგრამ ვერ მოვასწარით, რადგან საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა და დროში გაიწელა. საწარმო ამუშავებს ხორბლის თესლს. მუშაობაც დავიწყეთ.

**– რამდენად მოთხოვნადია ის პროდუქცია, რასაც აწარმოებთ?**

– მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ძირითადად, ადგილობრივი ბაზარია, მაგრამ ვცდილობთ, ნელ-ნელა დავხვეწოთ და ექსპორტზე გავიდეთ. მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე იმდენად დიდია, შეიძლება დეფიციტურიც კი ვუწოდოთ. საწარმოს შეუძლია ორი ათასი ტონა მარცვლეულის შენახვა, თვეში კი – 500-600 ტონა თესლის გადამუშავება და ფორმაზე მოყვანა.

**– ახალი საწარმოს შექმნა ახალ სამუშაო ადგილებს უკავშირდება. რამდენი ადამიანი დაასაქმეთ ?**

– მინიმუმ, 20 ადამიანი დასაქმდა და ყველა ადგილობრივია. ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი საუკეთესოა და პრეტენზია გვაქვს, რომ ამიერკავკასიაშიც ერთ-ერთი საუკეთესოები ვიყოთ.

**– ხარისხის კონტროლს ვინ ახორციელებს?**

– ჩვენი პროდუქციის ხარისხს საწარმოს სპეციალისტები თავად ახორციელებენ. ყველაფერი მაღალი ხარისხისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია. გადასამუშავებელ მასალას ადგილობრივად ვიღებთ. გარდა ამისა, ვიყენებთ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილ ჯიშებს. გარდა ოფიციალური გახსნისა, გვქონდა 80-მდე გენეტიკური ჯიშის პრეზენტაცია, რომელიც სწორედ ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს და ის მსოფლიო კოლექციის ნაწილს შეადგენს. ვიყენებთ მხოლოდ ადგილობრივსა და საქართველოში გამოყვანილ ჯიშებს, ის, რაც ჩვენი მეცნიერების გენეტიკურ მასალებზე, ქართულ ფორმებზეა შექმნილი.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

**„ჩვენ მხოლოდ 1%-ის გადახდა გვიწევს, სახელმწიფო კი 12%-ით აფინანსებს, თანადაფინანსებით, ამ პროექტის ფარგლებში. ეს კი მართლაც დიდი შეღავათია“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი მარნეულში ახალი საწარმო – „ლომთაგორა“ გაიხსნა

## პროექტის ფარგლებში გაცემულია 376,040,278 ლარის ოდენობის 17,675 შეღავათიანი აგროკრედიტი

**EXCLUSIVE**

## „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მესამე კომპონენტის ფარგლებში 500-ზე მეტი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის, 74 ახალი შეიქმნა

> „გვქონდა 80-მდე გენეტიკური ჯიშის პრეზენტაცია, რომელიც სწორედ ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს და ის მსოფლიო კოლექციის ნაწილს შეადგენს“

**პირველი კომპონენტი -** 2,199,819 ლარის ოდენობის 5,448 უპროცენტო სასაქონლო განვადება

**მეორე კომპონენტი** - 208,325,603 ლარის ოდენობის 11,626 შეღავათიანი აგროკრედიტი

**მესამე კომპონენტი** - 65,089,750 აშშ დოლარის ოდენობის 546 შეღავათიანი აგროკრედიტი

**მეხუთე კომპონენტი -** 49,725,819 ლარის ოდენობის 53 შეღავათიანი აგროკრედიტი

**მეექვსე კომპონენტი -** 450,000 ლარის ოდენობის 2 შეღავათიანი აგროკრედიტი

საქართველოს ყველა რეგიონში გაიხსნა 74 ახალი საწარმო, აქედან 18 ქვემო ქართლის რეგიონში, 7 მარნეულის რაიონში.

**აქედან ქვემო ქართლის რეგიონში -**
მეორე კომპონენტი - 39,698,294 ლარის ოდენობის 2,677 შეღავათიანი აგროკრედიტი

მესამე კომპონენტი - 11,747,800 აშშ დოლარის ოდენობის 107 შეღავათიანი აგროკრედიტი

**აქედან მარნეულის რაიონში -**
მეორე კომპონენტი - 19,762,650 ლარის ოდენობის 1,479 შეღავათიანი აგროკრედიტი

მესამე კომპონენტი - 2,694,800 აშშ დოლარის ოდენობის 33 შეღავათიანი აგროკრედიტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სანზონაში მომხდარი საზარ

სალომე გოგოხია

**გასულ კვირას თბილისში კიდევ ერთი ოჯახური ტრაგედია დატრიალდა. 29 მაისს, სანზონაში, ახალდაბის ქუჩაზე, 47 წლის ჯიმშერ არეშიძემ დანით საკუთარი მეუღლე, 47 წლის ლუდა გიორგაძე მოკლა. მკვლელობა გვიან ღამით მოხდა. მეზობლებს დაჭრილის ხმა შემოესმა, რომელიც შველას ითხოვდა. როდესაც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, საზარელი სურათი დახვდათ, ახალგაზრდა ქალი სისხლის გუბეში იწვა და სიცოცხლის ნიშან-წყალი თითქმის არ ემჩნეოდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

სამართალდამცველებმა არეშიძე მკვლელობის მეორე დღეს, ხარაგაულში დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობისთვის არის აღძრული.

შსს-ს ცნობით, დაკავებული წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის არის ნასამართლევი. მას 13 წელი ჰქონდა მისჯილი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, არეშიძეს ამნისტია შეეხო და პატიმრობიდან გათავისუფლდა. მან ციხეში სამი წელი გაატარა.

გამოძიების ცნობით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ქმარმა ცოლს დანით სამი ჭრილობა მიაყენა. გულ-მკერდის და თეძოს არეში.

ლუდა გიორგაძე აფხაზეთიდან დევნილი იყო. მისი ოჯახი წყალტუბოში ცხოვრობდა. თავად თბილისში საცხოვრებლად რამდენიმე წლის წინ გადმოვიდა. ცოლ-ქმრისთვის ეს მეორე ქორწინება იყო. გარდაცვლილი აფხაზეთში იყო გათხოვილი, თუმცა, ომის დროს მეუღლე მოუკლეს. შვილი არც ერთი ქორწინებიდან არ ჰყავდა. ჯიმშერ არეშიძესთან 10-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებდა.

ოჯახმა გარდაცვლილი წყალტუბოში გადაასვენა და იქ დაკრძალა.

მომხდართან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის ოჯახის ნათესავებს ესაუბრა. მათი თქმით, ლუდას ქმარი ცუდად ექცეოდა, თუმცა, განქორწინებაზე არ ფიქრობდა.

**„ეჭვიანობდა. გაჩერებაზეც რომ მდგარიყო და ვინმე დალაპარაკებოდა, იმაზეც ეჭვიანობდა, ვინააო. მანამდე ასეთი არ იყო. დააკავეს, მაგრამ ჩვენთვის რა? არაფერი. საშინლად ნაწამები ჰყავდა. ერთი ჭრილობა ჰქონდა გულ-მკერდის არეში, ერთიც თეძოზე. ხელები დალურჯებული ჰქონდა. სამი ჭრილობა მიაყენა“**

**ნონა ბაბუნაშვილი, გარდაცვლილის ნათესავი:** „ლუდა გვეუბნებოდა, რომ ქმარი ცუდად ექცეოდა, მაგრამ ჩვენთან მაინც ვერ მოგვყავდა. ოჯახს ვერ დავანგრევ, მიყვარს და ვერ დავცილდებიო, ამბობდა. როცა მისი ქმარი ციხეში იყო, ლუდა პატრონობდა. კომპიუტერიდან ინფორმაცია ამოვყარეთ და ვნახეთ, რომ სამ წელიწადში ციხეში ქმრისთვის 30 ათასი ლარი აქვს გადარიცხული. სიძის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. მის ქმართან ძალიან კარგი ურთიერთობა არ გვქონდა. მარტო ლუდა ჩამოდიოდა ჩვენთან, ქმარი არა. ლუდას სულ ფულს სთხოვდა. ფული, ფული, გაიძახოდა. წაართმევდა ფულს და კვირაობით დაიკარგებოდა. მერე ისევ ბრუნდებოდა, ისევ ბრუნდებოდა. მგონი სვამდა. ერთხელ ფეხი ჰქონდა მის ქმარს მოტეხილი, კახეთში იყვნენ, კახელია ეს ბიჭი, ლუდას „კასტილებით“ გაუტეხა თავი. თუმცა, ლუდა საავადმყოფოში არ წავიდა, შეეშინდა, ისევ არ დაიჭირონ და ციხეში არ ჩასვანო. მისი ქმარი ასეთი არ იყო ყოველთვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ შეიცვალა. სამი წელი იჯდა, მერე ამნისტია შეეხო და გამოუშვეს“.

მისივე თქმით, ლუდას მხოლოდ და-ძმა ჰყავს, რომლებიც წყალტუბოში ცხოვრობენ.

„ლუდას დედა ერთი წლის წინ გარდაეცვალა. მამა და ერთი ძმა აფხაზეთში დაეღუპა. და-ძმა დარჩა. თბილისში დიდი ხნის წინ წავიდა. ერთი პერიოდი ქმრისგან წამოვიდა, ბინაც შეიცვალა, მაგრამ ქმარი სამსახურიდან გაჰყვა და იქ მიუვარდა. ეჭვიანობდა. გაჩერებაზეც რომ მდგარიყო და ვინმე დალაპარაკებოდა, იმაზეც ეჭვიანობდა, ვინააო. მანამდე ასეთი არ იყო. დააკავეს, მაგრამ ჩვენთვის რა? არაფერი. საშინლად ნაწამები ჰყავდა. ერთი ჭრილობა ჰქონდა გულ-მკერდის არეში, ერთიც თეძოზე. ხელები დალურჯებული ჰქონდა. სამი ჭრილობა მიაყენა“.

**„როცა მისი ქმარი ციხეში იყო, ლუდა პატრონობდა. კომპიუტერიდან ინფორმაცია ამოვყარეთ და ვნახეთ, რომ სამ წელიწადში ციხეში ქმრისთვის 30 ათასი ლარი აქვს გადარიცხული. სიძის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. მის ქმართან ძალიან კარგი ურთიერთობა არ გვქონდა. მარტო ლუდა ჩამოდიოდა ჩვენთან, ქმარი არა. ლუდას სულ ფულს სთხოვდა. ფული, ფული, გაიძახოდა. წაართმევდა ფულს და კვირაობით დაიკარგებოდა. მერე ისევ ბრუნდებოდა“**

„პრაიმტაიმი“ შემთხვევის ადგილზეც იმყოფებოდა და თვითმხილველებსაც გაესაუბრა.

სანზონაში ცოლ-ქმარი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ამ სახლში ისინი საცხოვრებლად ორი თვის წინ გადავიდნენ.

როგორც სახლის მეპატრონე ქეთო ვარდანაშვილი იხსენებს, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი არსებობდა. მისივე თქმით, მკვლელობის ღამეს მან თავი შეუძლოდ იგრძნო და ეზოში გავიდა, სადაც კიბეებზე ჩამომჯდარი ლუდა დაინახა.







მკვლელობის ადგილი







საცხოვრებელი ადგილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ელი მკვლელობის დეტალები



## „ამბობდა, მიყვარს, ოჯახს ვერ დავანგრევო. გაშორდა კიდეც, მაგრამ მერე შეურიგდა“

**EXCLUSIVE**

„სამზარეულო ეზოშია და გარეთ გამოვედი. კიბეებზე იჯდა თავდახრილი, იმდენად ცუდად ვიყავი, არც გამოვლაპარაკებივარ. მაშინ დაჭრილი არ იყო, სხვა თუ არა სისხლი ხომ იქნებოდა. შევედი და დავწექი. ჩამეძინა. ცოტა ხანში ხმა ჩამესმა, მიშველეთ, დამჭრაო. ჩავიცვი და გარეთ გავვარდი. ამასობაში სხვა მდგმურები და მეზობლებიც გამოცვივდნენ. საშინელება ვნახე, ახლაც მიჭირს ამაზე საუბარი. ნეტა, ეს ამბავი ჩემს ეზოში არ მომხდარიყო. ვყვიროდი, ჩქარა, სასწრაფო გამოიძახეთ-მეთქი. ამ დროს ქმარი გაიქცა, გასასვლელში ტელეფონის სატვირთი დაუვარდა. აიღო და წავიდა“, - ამბობს სახლის მეპატრონე.

შემთხვევას სხვა მდგმურიც შეესწრო, რომელიც გვიყვება, რომ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ხშირად ხდებოდა. ქმარი ცოლს სცემდა.

„დიასახლისი სულ საყვედურობდა, ფანჯრები გააღე, დამიობდა სახლიო. თურმე, საწყალს სულ სცემდა და რცხვენოდა. ღირსი იყო, რა ძალა ადგა მაგასთან რომ ცხოვრობდა. ქმარს, საყვარელს, არ აქვს მნიშვნელობა რა უფლება აქვს, რომ ადამიანი მოკლას. იმ საღამოს დავინახე ლუდა კიბეებზე იჯდა, ნაჩხუბრები იყვნენ, ვიფიქრე შემოვიყვან-მეთქი, მაგრამ ის კაცი გიჟი იყო, შემეშინდა, მეც არ შემომივარდეს-მეთქი და არაფერი ვუთხარი. როცა ქალები ეზოში დავსხდებოდით და ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, რაღაცაზე ხომ უნდა გაიცინო ადამიანმა, ეს არასდროს მოდიოდა ჩვენთან, ქმარს ჰყავდა დაშინებული. ეჭვიანობდა. იმ ღამით გვეძინა, როცა გავიგე ყვირილის ხმა, მიშველეთ, დამჭრაო. ჩავიცვი და გარეთ გავვარდი. ფეხზე იდგა, უცებ ძირს დავარდა. მივცვივდით ყველანი, ერთი მეზობელი ჭრილობის შეხვევას და სისხლის გაჩერებას ცდილობდა. ამ კაცმა ცხვირწინ ჩამიქროლა, თან იცვამდა და თან ცოლის მისამართით რაღაც გაიძახოდა. სასწრაფო მოვიდა და მიხაილოვში გადაიყვანეს. ნახევარ საათში მოკვდა. გონებიდან არ ამომდის ნანახი, იმის მერე ჩემს ჭკუაზე აღარ ვარ. საშინელება მოხდა“, - იხსენებს ხათუნა.

გარდაცვლილი დიდუბის ავტოსადგურში არსებულ რესტორანში ბარმენად მუშაობდა. რესტორნიდან თავისუფალ დროს იქვე მახლობლად მდებარე საცხობში მუშაობდა.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში ლუდას თანამშრომლები მის გახსენებაზე ცრემლებს ვერ მალავენ. მას ყველა დადებით პიროვნებად ახასიათებს.

თანამშრომლების თქმით, ლუდა სამსახურში ნაცემი ხშირად მოსულა. არც მალავდა, რომ ქმარი სცემდა.

„რესტორანში ერთ წელზე მეტი მუშაობდა. ისეთი კარგი ადამიანი იყო, რომ ახლაც მეტირება მის გახსენებაზე. ერთ სმენაში ვმუშაობდით. ყველგან მისი ხმა ჩამესმის და მის სახეს ვხედავ. ქმარი ცუდად ექცეოდა, რამდენჯერ ჩალურჯებული სახით მოსულა, თავზე კოპიც ჰქონდა. ერთხელ ქმარი რესტორნის ფანჯრიდან დამანახა, ჩასარიცხ აპარატს იყო ამოფარებული. მითხრა, რომ გავიცინო იმაზეც კი მეჩხუბებაო. ტელეფონი სულ ხელში ეჭირა, ქმარი რომ უმესიჯებდა, მაშინვე უნდა ეპასუხა, თორემ ეჩხუბებოდა. ნორმალური ადამიანი რომ ყოფილიყო, ცოლს ასე არ მოექცეოდა. ვეუბნებოდით, გაცილდიო, მაგრამ მიყვარსო, თან შეიძლება შიშისგან ვერც ბედავდა. ქმრისთვის ძვირიანი სიგარეტები და საჭმელი მიჰქონდა. ციხეში რომ იყო, ლუდა პატრონობდა, ის დაეხმარა, რომ ციხიდან გამოეშვათ, თურმე თავისი სიკვდილი გამოიყვანა ციხიდან. თურმე, იმ საღამოს, დანა რომ ჩაარტყა და ლუდამ მიშველეთო, დაიძახა, ცოცხალიაო და მიბრუნდა, კიდევ ჩაარტყა“, - გვითხრა გარდაცვლილის თანამშრომელმა მაიამ.

მეორე თანამშრომელი ჩვენთან საუბარში იხსენებს, რომ ერთხელ ქმარმა ლუდას მის თვალწინ სასტიკად სცემა.

„მე და ლუდამ ერთმანეთი აქ გავიცანით. ძალიან კარგი ქალი იყო, პატიოსანი, მშრომელი. გაჩერებულს ვერ ნახავდი. საწყალი სიცივეში იდგა, ხელები ეყინებოდა, იორთქლავდა და მაინც მუშაობდა და ქმარს პატრონობდა. ის ბინა, სადაც ცხოვრობდნენ, მე ვაშოვნინე. მანამდე მუხიანის აგარაკებზე ცხოვრობდა, ძალიან შორიდან მოდიოდა და ვუთხარი, ჩემი მეგობარი აქირავებს და გადაგიყვან-მეთქი. ახლა ფული არ მაქვს და ისინი უცებ ითხოვენო, მოერიდა. მაგაში დაგეხმარები-მეთქი და ასე გადავიდნენ. ერთხელ მისმა ქმარმა მითხრა, ლუდას ისეთი პატივი აქვს ჩემთვის ნაცემი, ციხეში მარტო მე კი არა, სხვა პატიმრებსაც ინახავდაო. ერთხელ ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, შენს მოყვანილ ცოლ-ქმარს სულ ჩხუბი აქვთ, ქმარი ცოლს კლავს, ისე სცემსო და უნდა დავითხოვოო. მივედი ლუდასთან და ღამით მასთან დავრჩი, შუაღამისას მისი ქმარი მოვიდა. ეს საწყალი შეეგება, ჩემო ცხოვრებაო, ფეხებზე ეცა, ფეხსაცმელი გახადა. ამან მაშინვე ჩხუბი დაუწყო, ისეთი უშვერი სიტყვებით აგინებდა, რომ გამეორების მრცხვენია. მერე შარი მოსდო, მე თუ ასე გიყვარვარ, მაშინ თავი გადაიპარსეო, ის შეეპასუხა და ამის გამო სცემა. ვთხოვე, არ გინდათ-მეთქი. ამ კაცმა თქვა, ამ ქალს ვცემ პატივს, თორემ მოგკლავდიო. ამ ამბის შემდეგ ლუდას ვუთხარი, როგორც ქალი მეცოდები. თუ დასცილდები, მაშინ დიასახლისს შენს თავს დავატოვებინებ-მეთქი. სამ დღეში შეურიგდა, სულ ნაცემი მოდიოდა, სადისტი იყო ვიღაცა, ოხერი“, - გვითხრა ქალბატონმა ნანამ.

**„ციხეში რომ იყო, ლუდა პატრონობდა, ის დაეხმარა, რომ ციხიდან გამოეშვათ, თურმე თავისი სიკვდილი გამოიყვანა ციხიდან. თურმე, იმ საღამოს, დანა რომ ჩაარტყა და ლუდამ მიშველეთო, დაიძახა, ცოცხალიაო და მიბრუნდა, კიდევ ჩაარტყა“**

**„დიასახლისი სულ საყვედურობდა, ფანჯრები გააღე, დამიობდა სახლიო. თურმე, საწყალს სულ სცემდა და რცხვენოდა. ღირსი იყო, რა ძალა ადგა მაგასთან რომ ცხოვრობდა. ქმარს, საყვარელს, არ აქვს მნიშვნელობა რა უფლება აქვს, რომ ადამიანი მოკლას“**

დაკავებულს რაც შეეხება, ჯიმშერ არეშიძემ დანაშაული აღიარა. როგორც შსს-ს პრესცენტრში განგვიცხადეს, მას ფსიქიკური ექსპერტიზა ჩაუტარდება.

ბრალდებულის ინტერესებს სახაზინო ადვოკატი ნინელი ბოჭორიშვილი იცავს.

„პრაიმტაიმი“ კომენტარისთვის დაკავებულის ადვოკატს დაუკავშირდა, თუმცა, მან ჩვენთან საუბარზე უარი განაცახდა.

„მოკლედ გეტყვით, არავითარი კომენტარი ამ თემაზე“, - განაცხადა ადვოკატმა.

როგორც იურისტებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, მოქმედი კანონმდებლობით წარსულში ნასამართლევ და ამნისტირებულ პატიმარს ახალი დანაშაულის ჩადენისას სასჯელის მოუხდელი ნაწილი არ ემატება. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ განაჩენის გამოტანისას სასამართლომ წინა დანაშაულის გათვალისწინებით სასჯელი დაუმძიმოს.



**„ერთხელ ქმარი რესტორნის ფანჯრიდან დამანახა, ჩასარიცხ აპარატს იყო ამოფარებული. მითხრა, რომ გავიცინო იმაზეც კი მეჩხუბებაო. ტელეფონი სულ ხელში ეჭირა, ქმარი რომ უმესიჯებდა, მაშინვე უნდა ეპასუხა, თორემ ეჩხუბებოდა. ნორმალური ადამიანი რომ ყოფილიყო, ცოლს ასე არ მოექცეოდა“**

**„სამზარეულო ეზოშია და გარეთ გამოვედი. კიბეებზე იჯდა თავდახრილი, იმდენად ცუდად ვიყავი, არც გამოვლაპარაკებივარ. მაშინ დაჭრილი არ იყო, სხვა თუ არა სისხლი ხომ იქნებოდა. შევედი და დავწექი. ჩამეძინა. ცოტა ხანში ხმა ჩამესმა, მიშველეთ, დამჭრაო. ჩავიცვი და გარეთ გავვარდი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გალში ჯერჯერობით სიმშვიდეა



## „გალის ადმინისტრაცია შეიცვალა, პენსიების გაცემა შეჩერებულია, ისე სიმშვიდეა“

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

**მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში გადანაცვლებები მოხდა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია გალელების შესაძლო გამოსახლების შესახებ. ამ დროისთვის ე.წ. „აფხაზური პასპორტების“ გაცემა შეჩერებულია. ოფიციალურ თბილისში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოითქვა. გაჩნდა მოსაზრებებიც, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებასთან ერთად რუსეთი ამ კუთხით გააქტიურდა.**

თუმცა, საქართველოს პრემიერი-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი აფხაზეთის მოვლენებს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებას არ უკავშირებს.

როგორც ღარიბაშვილმა მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით აკვირდება აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს.

„მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე არ არის საჭირო აჟიოტაჟი ავტეხოთ და საზოგადოება დავძაბოთ. ჩემი შეფასებით, ეს არის ჩვეულებრივი საკადრო გადაადგილება. გარკვეული სპეკულაციები წავიდა, რომ გალის მოსახლეობას რაღაც პრობლემები შეიძლება შეექმნას. ჩვენ ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებით და მოგვიანებით გახდება შესაძლებელი უფრო რეალური ანალიზის გაკეთება. ის, რაც ხდება აფხაზეთში, ღიად არის დეკლარირებული და ყველამ კარგად ვიცით რა პროცესი მიმდინარეობს“, -განაცხადა ღარიბაშვილმა.

რა ხდება ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, რა მოლოდინებია გალელებში, შეიცვალა თუ არა მათ მიმართ დამოკიდებულება, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ გალის მკვიდრთ ესაუბრა.

„გალში ჯერჯერობით სიმშვიდეა. გადაჭარბებულად არის ტელევიზიებში ნახსენები აქაური სიტუაცია. ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. სახლებში არავინ გვივარდება. გალში ადმინისტრაცია შეიცვალა, პენსიების, პასპორტების გაცემა შეჩერებულია. მიზეზი არ ვიცით“, - გვითხრა გალელმა სონიამ.

**„ გალში ჯერჯერობით სიმშვიდეა. გადაჭარბებულად არის ტელევიზიებში ნახსენები აქაური სიტუაცია. ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. სახლებში არავინ გვივარდება. გალში ადმინისტრაცია შეიცვალა, პენსიების, პასპორტების გაცემა შეჩერებულია. მიზეზი არ ვიცით“**

სოფელ ბარღების მცხოვრებნი ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ ხაჯიმბას მოსვლის შემდეგ შემოვლით გზებზე სიარული რუსებმა კიდევ უფრო შეზღუდეს და გაამკაცრეს. სხვა მხრივ, სოფელში სიტუაცია მშვიდია.

„აბა, რა გითხრათ. ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. სოხუმში რა ხდება არ ვიცი, მაგრამ აქ სოფელში სიწყნარეა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნდა. ახალგაზრდობა თითქმის არ არის, სულ ასაკოვანი ხალხია. ბიჭებს აქ ვერ ნახავთ, რადგან აფხაზური პოლიცია ერჩის, ეგრევე აკავებენ და აფხაზურ ჯარში მიჰყავთ. ჩვენს სოფელში ბაღი არ არის. გალში კი ააშენეს რუსებმა ახალი ბაღი, ძველი გაარემონტეს, მაგრამ ამ მხრივ გალის სოფლები უყურადღებოდ არის. მხოლოდ სკოლა გვაქვს. რა გითხრათ, მიჩუმათებულია აქაურობა. ხალხს სამსახური არ გვაქვს. მიწას ვამუშავებთ, თხილს ვაბარებთ და ამით ვირჩენთ თავს. იმედია, რასაც ტელევიზიით ამბობენ, არ გამართლდება და აქედან ხელმეორედ არ გაგვყრიან. ასეთ შემთხვევაში მართლა ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. თავი რითი უნდა ვირჩინოთ? ერთი პერიოდი თბილისში წამოვედი, აქ ცხოვრება მართლა გაუსაძლისია, თუ ახალგაზრდა ხარ მით უმეტესს, მაგრამ ქირით გაგვიჭირდა და ისევ დავრუნდით. ახლა ზაფხულში ვაპირებთ თბილისში გადმოსვლას. ახლა „საზღვარზე“ მხოლოდ ისინი ახერხებენ გადასვლას, ვისაც „აფხაზური პასპორტი“ აქვს. სხვები შემოვლითი გზებით გადადიან, მაგრამ ბავშვებთან ერთად ძნელია. ხანდახან საათობით გიწევს მოცდა, სანამ რუსი მესაზღვრე ჩაივლის, ბუჩქებში ვიმალებით, რომ არ დაგვიჭირონ. „საზღვარზე“ რუსები არ გვატარებენ, აფხაზებიც დგანან, მაგრამ მაგათ არაფერს აღარ ეკითხებიან. ადრე, აფხაზს ფულს მისცემი და გაგატარებდა, ახლა ეს გამორიცხულია. თუ შემოვლით გზაზე რუსებმა დაგიჭირეს, გალში გადაგიყვანენ, ცოტა ხანს გაგაჩერებენ და გამოგიშვებენ. ორ დაჭერაზე ფულს არ გახდევინებენ, მერე იწყება ჯარიმები, თუმცა, ძვირი არ ღირს, სადღაც 15 ლარამდეა. აგვისტოში საპრეზიდენტო არჩევნებია, მაშინ რა იქნება არ ვიცი. ალბათ, მიმოსვლას კიდევ უფრო გაამკაცრებენ. ვნახოთ, რა იქნებ“, - გვითხრა სოფელ ბარღების მცხოვრებმა ლამარამ.

**„ხვალ და ზეგ რა მოხდება, კაცმა არ იცის, ამათ თავში რა აზრი მოუვათ ჩვენ ხომ არ ვიცით. ღმერთმა ქნას, რომ აქედან არ აგვყარონ, თორემ ამით არც ჩვენ დაგვადგენა კარგი დღე და არც საქართველოს ხელისუფლებას“**



**„სიმართლე გითხრათ, როცა დე ფაქტო ხელისუფლებაში ანქვაბი მოვიდა, რაღაც იმედი გაგვიჩნდა, რომ აფხაზეთს დავიბრუნებდით, რადგან ეს კაცი თბილისში მუშაობდა. აი, ხაჯიმბას რაც შეეხება, ოღონდ ეს არ მოსულიყო და ვინც გინდა სხვა. ძალიან ნაციონალისტია, გამორიცხული არ არის, რომ რაღაც უსიამოვნება მართლაც დაიწყოს“**

რაც შეეხება სოფელ საბერიოს, როგორც იქაურმა მოსახლეობამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, სოფელში სიმშვიდეა.

„ჩვეულებრივ ვმუშაობთ და დავდივართ სამსახურებში. მართლა არაფერი ხდება, დამიჯერეთ. ტელევიზიით აქაურ სიტუაციას ხშირად აბუქებენ. მერე გვირეკავენ ახლობლები თბილისიდან, რა ხდება, ხომ ცოცხლები ხართო. ამ წუთში არაფერი ხდება. არც ვინმე გვავიწროებს. ხვალ და ზეგ რა მოხდება, კაცმა არ იცის, ამათ თავში რა აზრი მოუვათ ჩვენ ხომ არ ვიცით. ღმერთმა ქნას, რომ აქედან არ აგვყარონ, თორემ ამით არც ჩვენ დაგვადგენა კარგი დღე და არც საქართველოს ხელისუფლებას“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ თამარა გ-მ.

სოფელ ოქუმში რუსები და აფხაზები ხშირად პატრულირებენ. მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცებს ეძებენ, რომლებიც შემდეგ აფხაზურ ჯარში გადაჰყავთ. თუმცა, სხვა სოფლების მსგავსად, აქაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ხანშიშესულები და ბავშვები შეადგენენ.

„ჩვენთან არაფერი ხდება. კი, თქვეს, რომ ხაჯიმბამ თქვა, რომ გალელებს გავყრიო, მაგრამ ჯერ არავის გავუყრივართ. ჩვენთვის ვართ, ბავშვებიც სკოლაში მშვიდად დადიან. სიმართლე გითხრათ, როცა დე ფაქტო ხელისუფლებაში ანქვაბი მოვიდა, რაღაც იმედი გაგვიჩნდა, რომ აფხაზეთს დავიბრუნებდით, რადგან ეს კაცი თბილისში მუშაობდა. აი, ხაჯიმბას რაც შეეხება, ოღონდ ეს არ მოსულიყო და ვინც გინდა სხვა. ძალიან ნაციონალისტია, გამორიცხული არ არის, რომ რაღაც უსიამოვნება მართლაც დაიწყოს. ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს დევნილების კიდევ ერთი ტალღა არ დააწვეს. ჩვენი ქვეყანა ისედაც რთულ დღეშია და თან, წამოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობაც, დავბრუნდით, წვალებით გავაკეთეთ რაღაც, ვცხოვრობთ, ვშრომობთ, არ გვშია, არ გვწყურია, არც არავის ვაწუხებთ. მაინც ჩვენს სახლში ვართ და უცებ, რომ გამოგვყარონ, წარმოდგენაც არ მინდა. ამას მართლა ვეღარ გავუძლებ“, - შემოგვჩივლა ადგილობრივმა მკვიდრმა.

რაც შეეხება ე.წ. „საზღვარზე“ მიმოსვლას, როგორც გალელებმა „პრაიმტაიმს“ განუცხადეს, „აფხაზური პასპორტის“ მფლობელებს მიმოსვლის პრობლემა არ აქვთ. თუმცა, მათ ვისაც „პასპორტი“ არ აქვთ, ზუგდიდში შემოვლითი გზით გადადიან, რაც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. გზებზე რუსები პატრულირებენ. დაკავების შემთხვევაში გალის ადმინისტრაციაში გადაჰყავთ, სადაც ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა იმედოვნებს, რომ კრემლი გალის მოსახლეობას არ შეავიწროებს.

„ფსიქოლოგიური ზეწოლის იარაღია ძალიან დიდი. ალბათ, კრემლი რეფერენდუმის ჩასატარებლად ემზადება, რომ მეტი „დემოკრატიულობა“ მისცეს ამ პროცესს. როცა იქნება ხელშეკრულების ხელმოწერა ამისთვის ზეწოლის ბერკეტად გამოიყენებს. თუ იმ პოზიციიდან შევხედავთ, რომელიც საქართველოს ელის, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე, გამორიცხული არაფერია, მაგრამ, არა მგონია. ვფიქრობ, კრემლს გონიერება ეყოფა, რომ გალის მოსახლეობა არ ააწიოკოს“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ გვაზავამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ და რა თანხით აფინანსებს პრორუსულ ორგანიზაციებს საქართველოში?

## „დიახ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ვიყავით, სათათბიროშიც... გადავამოწმეთ ჩვენი მოლოდინები, ვინაიდან ჩემი მთავარი პრიორიტეტი არის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა“



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**საქართველოში სოკოებივით მომრავლებული პრორუსული ორგანიზაციების შესახებ ღიად განაცხადა თავდაცვის მინისტრმა, როდესაც ის ქართული ჯარის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაზე საუბრობდა. ჯარის დისკრედიტაცია – ეს, ალბათ, გადაჭარბებული წარმოდგენაა ამ ორგანიზაციებზე, თუმცა ალასანია ნამდვილად არ ტყუოდა, როცა მე-5 კოლონის გააქტიურებაზე საუბრობდა.**

არავისთვისაა დასამალი, რომ ფართომასშტაბიან ამნისტიას ციხის გისოსებიდან ბევრი ის ადამიანიც გამოჰყვა, რომლებიც ღიად თუ დაუფარავად ატარებენ რუსულ ინტერესებს. რამდენად სწორი იყო წინა ხელისუფლების მიერ ამ ადამიანების ზოგჯერ მოგონილი, ზოგჯერ კი რეალური ბრალდებებით ციხეში გამოკეტვა, ეს სხვა საკითხია, თუმცა თავისუფლებაზე მყოფი მე-5 კოლონა, როგორც ჩანს, კვლავაც მოწოდების სიმაღლეზეა.

ამჯერად, მკითხველის ყურადღებას თბილისის ქუჩებში ანტიდასავლური აქციებისა და რუსული დროშების აფრიალებაზე არ შევაჩერებ, რადგან ეს აქციები პროვოკაციებს უფრო ჰგავს, ვიდრე რუსული იდეოლოგიის გამყარებას. პროვოკაცია, რომლითაც საკმაოდ დიდი ფული თეთრდება, აქციები კი მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ დამფინანსებლებს „ანგარიშფაქტურა“ წარუდგინონ, რაში დახარჯეს თანხები.

სპონსორები, როგორც ირკვევა, ასეთ ორგანიზაციებს ნამდვილად არ აკლია. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის წარმომადგენელი გასულ კვირას მოსკოვს სტუმრობდა, საიდანაც მორიგი „გრანტი“ წამოიღო.

როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული ბათუმელი მერაბ გორგაძე ერთკვირიანი ვიზიტით სტუმრობდა რუსეთის დედაქალაქს. შეხვედრები ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ სექციის წარმომადგენლებთან, რომლებიც საქართველოს საქმეებს კურირებენ. მერაბ გორგაძე ასევე შეხვდა რუსეთში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებსაც. ამბობენ, რომ პირადად ვლადიმერ ხომერიკმა საქართველოში რუსული პროპაგანდისთვის 100 ათასი დოლარი გამოუყო.

ჩვენ დავინტერესდით ვინ არის მერაბ გორგაძე და რაში ხარჯავს ის რუსეთიდან მიღებულ დაფინანსებას? ის წლების წინათ სასაზღვრო პოლიციის აჭარის სამმართველოს უფროსის ყოფილი თანაშემწე გახლავთ. 2009 წლის 5 ივლისს სამართალდამცველებმა ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს, რასაც მოგვიანებით მეორე ბრალი – ნარკოტიკების შეძენა-შენახვაც დაემატა. სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა საპატიმროში 3 წელიწად-ნახევარი დაჰყო და ამნისტიის შედეგად განთავისუფლდა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მერაბ გორგაძე ახლა კავშირებს ამყარებს „ევრაზიულ ინსტიტუტთან“, რომელიც საქართველოში პრორუსული ორგანიზაციების მთავარ ნავსაყუდელად იქცა. მიმდინარე თვითმმართველობის არჩევნებზე ის ბათუმის მერობის კანდიდატადაც დარეგისტრირდა „საქართველოს მშრომელთა საბჭოს“ სახელით. წინასაარჩევნო დაპირებაც, ბუნებრივია, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენაა. პარალელურად ის აქტიურად მონაწილეობს და სათავეშიც უდგას ანტიდასავლურ აქციებს აჭარაში. მაგალითად, 24 მარტს, ბათუმში, ევროპის მოედანზე რამდენიმე ადამიანმა ნატოს საწინააღმდეგო აქცია გამართა, რასაც შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. აქციის მონაწილეების თქმით, საქართველომ ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს. „1999 წელს ნატოს ჯარების მიერ იუგოსლავიის დაბომბვას ვაპროტესტებთ“, – აცხადებდა ყოფილი პატიმარი მერაბ გორგაძე. კითხვაზე: რატომ გახდა იუგოსლავიის შემთხვევა დღეს მათთვის აქტუალური? გორგაძე პასუხობს: „ეს არის ჩვენი უფლება, დღეს მინდოდა და იმიტომ და 24 მარტს მოხდა ეს“.



მერაბ გორგაძე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრაზე

**ვინ აფინანსებს მას და სხვა პრორუსულ ორგანიზაციებს საქართველოში? ამის გასარკვევად ჩვენ მერაბ გორგაძეს მოსკოვში დავუკავშირდით, სადაც ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა. მან დაგვიდასტურა, რომ მართლაც ჰქონდა შეხვედრები რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან, თუმცა როდესაც დაფინანსების შესახებ ვკითხეთ, გორგაძემ ტელეფონი გათიშა. მასთან დაკავშირება ვერც მოგვიანებით შევძელით.**

„დიახ, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ვიყავით, რუსეთის სათათბიროშიც. შევხვდით ქართულ სათვისტომოს, სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს, ოლიმპიური კომიტეტის წევრებს. შეხვედრები გვქონდა სხვადასხვა ორგანიზაციებში. გადავამოწმეთ ჩვენი მოლოდინები, ვინაიდან ჩემი მთავარი პრიორიტეტი არის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა. ეს იქნება კულტურის, მედიცინისა თუ სპორტული ურთიერთობების განვითარება. ერთკვირიანი ვიზიტი მაქვს. მოხდა ჩემი დაჯილდოებაც საპატიო მედლით, ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ.

**– ფულიც გადმოგეცათ?**

– არა, ფული არ მოუციათ.

ჩვენ მერაბ გორგაძესთან დამატებით კიდევ რამდენიმე კითხვა გვქონდა: გამოუყო თუ არა რეალურად ვლადიმერ ხომერიკმა 100 ათასი დოლარი და ზოგადად, რა ფინანსებით აწარმოებს ის ანტიდასავლურ კამპანიას? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი ვერ მოვისმინეთ, ვინაიდან როგორც გითხარით, თანხის ხსენებაზე გორგაძემ ტელეფონი გამორთო.

## ევრობანკი საქართველოში კომპრესირებული ბუნებრივი აირის გაზგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურის გაფართოებას დააფინანსებს

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (ევრობანკმა) საქართველოში პირველი სინდიცირებული სესხი გამოყო. სინდიცირებული სესხი მოხმარდება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-ს ამბიციურ საინვესტიციო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38-მდე ახალი გაზგასამართი სადგურის გახსნას. 65 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხი „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ იმ გაზგასამართი სადგურების გაფართოებას დაუჭერს მხარს, რომლებიც კლიენტს კომპრესირებულ ბუნებრივ აირს შესთავაზებენ. პროექტი ხელს შეუწყობს, რომ „ვისოლის“ სადგურები მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებს შეესაბამებოდნენ. სესხი ორ კომპონენტს გულისხმობს: A კატეგორიის კრედიტი 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ევრობანკის ოდენობით გამოიყოფა, ხოლო B კატეგორიის კრედიტს 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ჰოლანდიის განვითარების ბანკი გამოყოფს. ამ პროექტზე მუშაობა 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

აღნიშნულ პროექტს 6 ივნისს, სასტუმრო „რადისონში“ „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ და ევრობანკის კავკასიის, მოლდოვისა და ბელორუსის რეგიონულმა დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ მოაწერეს ხელი. ღონისძებას ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკის მინისტრი, ვიცეპრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე დათო ლეჟავა და ჰოლანდიის ელჩი საქართველოში. მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად ღონისძიების ბოლოს საზეიმო ვითარებაში ტორტი გაიჭრა.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე: „ჩვენ მოვაწერეთ ხელი პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში პირველი სინიცირებული სესხის გამოყოფას ქართული კომპანიისთვის. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ „ვისოლის“ ჯგუფისთვის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკისთვის. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, შევთავაზოთ მომხმარებელს უფრო სუფთა და უსაფრთხო საწვავი და გავაუმჯობესოთ ენერგო ეფექტურობა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენ მივიღებთ იაფ რესურსს და მოხდება ადგილობრივი ბანკების მიერ გამოყოფილი რესურსის ჩანაცვლება. ეს საკმაოდ დიდ თანხებს და რესურსებს დაგვიზოგავს და ამ რესურსსაც ჩვენი კომპანიის განვითარებისთვის გამოვიყენებთ. ამ პროექტს აქვს ასევე ძალიან სერიოზული მნიშვნელობა. მე უკვე გავესაუბრე ჩემს კოლეგებს და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ბევრი ქართული კომპანია მიბაძავს ჩვენს არჩევანს და ისინიც შეეცდებიან პირდაპირი გზით სინიცირებული სესხები მიიღონ უცხოეთიდან. მადლობა ევრობანკს და FMO-ს ნდობისთვის და მინდა დავარწმუნო ორივე ინსტიტუტი, რომ ჩვენ ამ ნდობას გავამართლებთ ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ ეს პროექტი წარმატებით განვითარდეს“.

ბრუნო ბალვანერა: „ ჩვენ აღვნიშნავთ ორწლიანი დაუღალავი შრომის შედეგს, რომელიც შედგა სამ ძლიერ პარტნიორს შორის. 65 მილიონი დოლარი მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და ძალიან დიდი სტიმულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, რომ დავაფინანსოთ ეს ინიციატივა და ეს კომპანია გავხადოთ საერთაშორისო საკრედიტო ბაზრის მონაწილე. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 6 თვის განმავლობაში უფრო მეტ პროექტზე მოვაწერეთ ხელი, ვიდრე 2013 წლის მთლიანი წლის განმავლობაში, რაც უკვე ძალიან კარგი მაჩვენებელია“.

გიორგი კვირიკაშვილი: „ძალიან კარგია, რომ უპრეცედენტო სინდიცირებული სესხის მაგალითი გვაქვს საქართველოში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტსა და ქართულ კომპანიას შორის. ეს არის, ალბათ, მისაბაძი მაგალითი და ჩვენ მივესალებით, თუსხვა ქართული კომპანიებიც მიბაძავენ ამ მაგალითს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის“.

„ვისოლის“ ჯგუფის წევრი „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბიზნეს ჯგუფია, რომელიც ლიდერად გვევლინება ნავთობპროდუქტების დამოუკიდებელ კერძო იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა შორის. მას ქვეყნის სარეალიზაციო ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. Ⓐ




## $65-მილიონიანი სესხი „ვისოლს“ ბენზინის ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივის მოხმარების სტიმულირებისთვის გამოეყოფა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კანდიდატები გამგეობის შენობაში ბანაობენ?



## my View
### მირიან ბოქოლიშვილი

არჩევნებამდე ერთი კვირა რჩება და საარჩევნო ციებ-ცხელებაც პიკს აღწევს, შესაბამისად, სკანდალები და პოლიტიკური ინტრიგები სულ უფრო აქტუალური ხდება. საზოგადოებას, თბილისის გარდა, არც რეგიონებში არსებული ვითარება გამოჰპარვია მხედველობიდან. მაგალითად, ცნობილი ხდება, რომ ცხელ პოლიტიკურ სეზონს იმდენად გადაუტვირთავს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები, რომ შხაპის მისაღებად, პირდაპირ გამგეობის შენობაში დადიანო.

ახმეტის გამგებელი, ბექა ბაიდაური, რომელიც შვებულებაშია გასული და გამგებლობის კანდიდატია „ქართული ოცნებიდან“, ისევ დადის დილით გამგებლის სამუშაო ოთახში, იბანავებს და მერე მიდის ხოლმე, სანამ გამგეობაში თანამშრომლები მოვლენ.

ორი კვირაა, საბანაოდ გამგებლის ოთახში დადის მამუკა ხოლეგაშვილიც, სიის პირველი ნომერი „ქართული ოცნებიდან“, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ყოფილი უფროსი.



EXCLUSIVE

„შვებულებაში გასული გამგებელი გამგეობაში საბანაოდ რომ დადიოდეს, ცოტა უხერხულია“

## „ქართული ოცნების“ კანდიდატი: „გარდა „ნაციონალებისა“ და ბურჯანაძისა, ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ კოალიციის შიგნით მოქმედი პოლიტიკური ძალები“

**ასეთი ინფორმაციები ვრცელდება კახეთში. გამგეობა თუ აბანო? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ პირადად დაუკავშირდა გავრცელებული ინფორმაციის ადრესატებს. ბექა ბაიდაური ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ მსგავს ჭორებს ოპონენტები ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის ხელით უვრცელებენ. რას პასუხობს ბაიდაური მის შესახებ გავრცელებულ ხმებს? აქვს თუ არა ადგილი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და რა შედეგებს აჩვენებს წინასაარჩევნოდ ჩატარებული შიდა კვლევები? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ბექა ბაიდაურს დაუკავშირდა:**

– რა თქმა უნდა, არანაირი სახელისუფლებო რესურსების გამოყენება არ ხდება. ეს პირადად ჩემს მაგალითზე შემიძლია გითხრათ. მთივლიშვილს კი ეგონა, რომ რამე შეცდომას დავუშვებდი, მაგრამ არ გამოუვიდა. კორპორაციული ნომერიც კი, რომლითაც თანამდებობაზე ყოფნისას ვსარგებლობდი, განცხადება დავწერე და გავათიშვინე. ტელეფონის ნომერსაც კი არ ვიყენებ, ავტომობილებსა და სხვა დანარჩენზე ხომ საუბარიც არ არის.

**– თუმცა ამბობენ, რომ თქვენ ხშირად სტუმრობთ გამგეობას და პრაქტიკულად თანამდებობაზე არყოფნის პერიოდშიც თქვენ მართავთ რაიონს...**

– უკაცრავად, მაგრამ გამგეობაში სტუმრობა აკრძალულია? იქ ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს და იქ მისვლა, მე მგონი, არ არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

**– მაგრამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს, თუ დადასტურდა, რომ თქვენ გამგეობაში მოწყობილი აბაზანით სარგებლობთ...**

– აი, ახლა ეგ იცით როგორი ტყუილია? პასუხის გაცემაც რომ გამიჭირდება. ეგ არის წმინდა წყლის სისულელე. მაგას ვინც ამბობს, სინდისის ძარღვი არ აქვს. არანაირი აბანო გამგეობაში არ არის. იქ მოწყობილია მოსასვენებელი ოთახი, სადაც არის ელემენტარული პირსაბანი. ის, ვინც ამ ინფორმაციებს ავრცელებს, დაინტერესებული მხარეა. დაინტერესდეს იგივე მთივლიშვილი სხვებითაც, მარტო ჩემზე რომ წერს. ძალიან ბევრი ვიცი, ვინც დღესაც იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს.

**– ვის გულისხმობთ?**

– აქ საუბარი არაა ჩემს მუნიციპალიტეტზე. გადაამოწმეთ სხვა მუნიციპალიტეტებიც, იგივე კორპორაციულ ნომრებს იყენებენ თუ არა.

**– გამარჯვების რა შანსები გაქვთ ახმეტაში?**

– ძალიან დიდი. ხალხი კარგად არჩევს განსხვავებას თეთრსა და შავს შორის. „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში აიღებს 10 პროცენტის ფარგლებში, ცოტა ნაკლებს, დაახლოებით 8 პროცენტს – ბურჯანაძე. საბოლოო კვლევები იქნება მალე. სულ ორი კვლევა ჩატარდა, მაგრამ ზუსტ მონაცემებს ჯერ ვერ გეტყვით. ეს იქნება 70 პროცენტზე მეტი.

**საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ მამუკა ხოლეგაშვილი, ასევე, უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს გამგეობის შენობაში ბანაობდეს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ხოლეგაშვილი ამბობს, რომ მათ მიმართ ცრუ ინფორმაციები შეგნებულად ვრცელდება და ამის უკან კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები დგანან.**

**მამუკა ხოლეგაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი:**

– ვინც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში გვედავება, უფრო მეტი კომპეტენციისკენ მოვუწოდებ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში გვედავებოდნენ თუშეთში გადაფრენას და სააღდგომო საჩუქრების დარიგებას, ამასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესიც იყო, რომელიც მოვიგეთ. „ნაციონალებს“ ეს გადაწყვეტილება აღარ გაუსაჩივრებიათ. იყო შემთხვევა, როცა ჟურნალისტმა გელა მთივლიშვილმა ინფორმაცია გაავრცელა, თითქოს სამსახურებრივ სატელეფონო ნომრებს ვიყენებდით, მაშინ, როცა განცხადება მაქვს დაწერილი და ეს კორპორაციული ნომრები ჩემი ნებით გავათიშვინე. ეს არის ადამიანი, რომლის უკანაც გარკვეული პოლიტიკური ძალები დგანან.

**– ვის გულისხმობთ?**

– ჩემი მხრიდან, ამ ეტაპზე, სწორი არ იქნება კონკრეტული გვარების დასახელება, რადგან ეს პიროვნება კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელია.

**– ანუ გინდათ თქვათ, რომ გელა მთივლიშვილის ხელით, კოალიციის შიგნით გებრძვიან?**

– კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტიის წევრების დავალებების შემსრულებელია ბატონი გელა.

**– რომელ პარტიაზე საუბრობთ?**

– დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. მოვა დრო, როცა ყველაფერს ვიტყვი. ჯერჯერობით მოვითმენ, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს.

**– რატომ გებრძვიან კოალიციის შიგნით?**

– არ გაგიჭირდებათ ანალიზის გაკეთება. არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ სხვა დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ალბათ, კონკურენციის ამბავია.

**– რახან მთივლიშვილი ახსენეთ, აქვე გკითხავთ, მართლა დადიხართ გამგეობაში საბანაოდ?**

– ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? დაბოღმილია ეგ ადამიანი. ატარებს ე.წ. გამოძიებებს და წერს იმას, რასაც სინამდვილესთან კავშირი არ აქვს. გარდა „ნაციონალებისა“ და ბურჯანაძისა, ჩვენს წინააღმდეგ მუშაობენ კოალიციის შიგნით მოქმედი პოლიტიკური ძალები. ამის მიუხედავად, ჩვენი გამარჯვება იქნება დამაჯერებელი. კენჭისყრის დროს გაკეთებული არჩევანი ადეკვატური იქნება ჩვენ მიერ გაკეთებული საქმის. კვლევები, რომელიც ტარდება, საკმაოდ დამაიმედებელია.

**– დაახლოებით რამდენი პროცენტი გაქვთ რეიტინგი?**

– ჩვენი რეიტინგი მინიმუმ 65 პროცენტია.

**„პრაიმტაიმი“ მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე “კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელს, გელა მთივლიშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ სოციალურ ქსელში მას არაერთხელ შეატყობინეს, რომ ახმეტის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელობა საბანაოდ მუნიციპალიტეტის შენობაში დადის.**

**გელა მთივლიშვილი, ჟურნალისტი:**

– სოციალურ ქსელში ჩვენმა მკითხველებმა რამდენჯერმე მოგვწერეს, რომ ახმეტის გამგებელი, როცა უკვე შვებულებაში იყო გასული წინასაარჩევნოდ, მიდიოდა თავის მოსასვენებელ ოთახში, სადაც აბანო აქვს მოწყობილი, იქ ბანაობდა, შხაპს იღებდა და ბრუნდებოდა შტაბში. შვებულებაში გასული გამგებელი გამგეობაში საბანაოდ რომ დადიოდეს, ცოტა უხერხულია. ჩვენ დავინტერესდით, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია. მოვითხოვეთ დოკუმენტაცია, იყო თუ არა გამგებლის მოსასვენებელ ოთახში აბანო მოწყობილი და რამდენი დაიხარჯა ბიუჯეტიდან ამისთვის. წერილობითი პასუხიც მოგვივიდა, სადაც წერია, რომ გამგებლის სამუშაო კაბინეტსა და მოსასვენებელ ოთახს გასულ წელს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, დაიხარჯა გარკვეული თანხა (სამწუხაროდ, ზუსტ ციფრს ვერ ვიხსენებ), და მათ შორის თანხა არის დახარჯული აბანოს მოსაწყობად.

**– შენ მიმართაც გამოითქვა პრეტენზიები... ითქვა, „ნაციონალები“ მართავენო, თუმცა ხოლეგაშვილი იმასაც ამბობს, რომ თვითონ კოალიციის შიგნით შემავალი ერთ-ერთი პარტია დგას შენს უკან...**

– არა მგონია, ამაზე თავი უნდა ვიმართლო. ვინც იცნობს „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“, კარგად იცის, რომ ჩვენ ასევე ვმუშაობდით მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ხელისუფლებაში და ასევე ვმუშაობთ ახლაც. ჩვენი მუშაობა ძალიან კარგად მიუთითებს იმაზე, რომ არავის პოლიტიკურ ინტერესებს არ ვატარებთ. მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ძალიან სერიოზულ მასალებს ვაქვეყნებდით და ვაქვეყნებთ ახლაც. რაც შეეხება ინფორმაციის მოწოდებას, ჩვენ ვართ მედიასაშუალება და ინფორმაციებს მივიღებთ „ნაციონალური მოძრაობიდანაც“, „ქართული ოცნებიდანაც“ და სხვა ნებისმიერი პარტიიდანაც. ჩვენ ყველა ასეთ ინფორმაციას ვამოწმებთ ჩვენი მეთოდებით, რომ სარწმუნო იყოს. დანარჩენი, ვინ რას იტყვის და ვის რა რეაქცია ექნება, ჩემთვის საინტერესო არ არის.




ბექა ბაიდაური



მამუკა ხოლეგაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩერი“ ყავის პირველი ინდუსტრიული საწარმო საქართველოში

ნანა შონია

**საქართველოში პირველი ინდუსტრიული ყავის საწარმო გაიხსნა. კომპანია „ჩერი“ მომხმარებელს ორი დასახელების ნალექიან ყავას, „ჩერი“ კლასიკს და „ჩერი“ ორიგინალს სთავაზობს. კომპანიაში გამართული მედია-ტურის ფარგლებში, ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ საწარმოს ტერიტორია და უშუალოდ გაცნობოდნენ ყავის წარმოების პროცესს.**



კომპანია Cherie 2012 წლის 21 მარტს დაარსდა, ამ პერიოდში დაიწყო დიდი საწარმოს მშენებლობა, რომელიც დიდი ლილოს დასახლებაში, ქართველიშვილის ქუჩაზე მდებარეობს.

ეს არის საუკეთესო გერმანული ტექნოლოგიით Probat-Werke-თი აღჭურვილი საწარმო. რომლის საშუალებითაც ხდება ნედლი, მწვანე ყავის გაწმენდა, მოხალვა, დაფქვა და დაფასოება.

როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი ლომთათიძე ამბობს, კომპანია სრულადაა პასუხისმგებელი ხარისხზე. საწარმოს ერთი თვის მანძილზე 300 ტონა ყავის დამუშავება შეუძლია, მთლიანობაში კი ქვეყნის მოსახლეობა 400 ტონამდე ნალექიან ყავას მოიხმარს.




**ირაკლი ლომთათიძე, კომპანია „ჩერის“ გენერალური დირექტორი:** „ჩვენი კომპანია პირველია, რომელმაც საქართველოში ინდუსტრიული ყავის წარმოება დაიწყო და ქართველ მომხმარებელს უნიკალური ტექნოლოგიით მომზადებული, გამორჩეულად გემრიელი 100%-ით ნატურალური ყავა შესთავაზა. სამწუხაროდ, საქართველოში, მასობრივად უხარისხო ყავა იყიდება. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა, რადგან ჩვენ გვსურდა მომხმარებელს დაეგემოვნებინა ნამდვილი ყავა, რომელიც მათი გემოვნების მიხედვით შეიქმნა. სწორედ ამაში მდგომარეობს Cherie-ის უპირატესობა. გარდა ამისა, ჩვენ შეფუთვას აქვს სპეციალური სარქველი, რომლის საშუალებითაც გამოიყოფა ნახშიროჟანგი, შეფუთვაში კი ვერ აღწევს ჟანგბადი, რაც დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს ყავას გემოს და თავდაპირველ არომატს. პროდუქცია გადის ყველა საჭირო შემოწმებას და სერტიფიცირებულია, როგორც მომწოდებლის, ასევე ადგილზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. დღესდღეობით, Cherie ყველაზე დიდი ყავის მწარმოებელია საქართველოში. საწარმოს სრულად დატვირთვის შემთხვევაში ბაზრის 60%-ის დაკავებას შევძლებთ. აღსანიშნავია ის, რომ საუკეთესო ყავები მზადდება იმ ქვეყნებში, სადაც ყავა არ მოდის. იმისთვის, რომ უმაღლესი ხარისხის ყავა ვაწარმოოთ, არ არის აუცილებელი, რომ ის საქართველოში მოდიოდეს, ამისთვის საჭიროა ის ტექნოლოგიური ხაზი, რაც ჩვენი კომპანიის საკუთრებაშია“.

კომპანიამ უკვე აამუშავა დისტრიბუციის საკუთარი ქსელი, რომლის დახმარებითაც, ცოტა ხანში, „ჩერის“ შეძენა თითქმის ყველა მაღაზიაში იქნება შესაძლებელი. მთლიანობაში, ამ დროისთვის კომპანიაში ასამდე ადამიანია დასაქმებული. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ქეთევან ბოჭორიშვილის განცხადებით, მსგავსი საწარმოების გახსნა ქვეყნის ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია.

**ქეთევან ბოჭორიშვილი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე:** „უმნიშვნელოვანესია, რომ პროდუქციის გადამუშავება ხდება საქართველოში. ეს ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ახალ ქართულ კომპანიას და ახალ ქართულ ბრენდს. ეს კონკურენციას გაუწევს ადგილზე იმპორტირებულ პროდუქციას და ის ორიენტირებულია იმაზე, რომ გავიდეს ექსპორტზე. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ საწარმო სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიით, რაც მისი წარმატების წინაპირობაა. მე მინდა კომპანიას ვუსურვო წარმატებები, გაფართოება და ქვეყანას დამატებითი სამუშაო ადგილები“.

საწარმოში ფუნქციონირებს ლაბორატორია, სადაც ნედლი და დამუშავებული ყავის მარცვლების შემოწმება და გემოს დადგენა ხდება. „ჩერის“ პროდუქცია გათვლილია საშუალო და მაღალ სამომხმარებლო სეგმენტზე. „ჩერი“ კლასისკის, 100-გრამიანი შეფუთვის საშუალო ფასი 3.50, „ჩერი“ ორიგინალის კი 2,50 ლარია.

კომპანიას სამომავლოდ პროდუქციის ხაზის გაფართოება და 12 დასახელების ყავის სახეობის გამოშვება აქვს დასახული მიზნად. Ⓐ







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ „შეიწერა“ სააკაშ



# წესების გარეშე ბრძოლა რესტორან „მთაწმინდისთვის“ გრძელდება

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

**ქართულმა რეალობამ აჩვენა, რომ ახალ ხელისუფლებას წინამორბედის გაკეთებული არაფერი უნდა. სულ სხვა თემაა, უნდა თუ არა „გაფუჭებული“?**

**მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, აქვე დავაკონკრეტებთ, რას ვგულისხმობთ: არავისთვისაა უცხო, რომ სახელისუფლებო სადავეები დიდი ცდუნების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ხელისუფლებებს თაობიდან თაობაზე გადაეცემა ის შავი ხვრელები, საიდანაც კონკრეტული მაღალჩინოსნებისთვის „რძე, თაფლი და კარაქი“ მოედინება...**

და თუკი პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ხმამაღლა ყველა ახალი ყველა ძველის საქმეს იწუნებს, ამ საქმეებში სულაც არ იგულისხმება ყველა „საქმე“.

შესავალი ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, დასაწყისშივე გეტყვით, რომ ამჯერად ჩვენი რესპონდენტი „მთაწმინდის“ პარკის ყოფილი დირექტორი, პროფესორი თემურ კიკნაძე იმ უწესებო ბრძოლის ქრონოლოგიაზე მოგვითხრობს, რომლის შედეგადაც რესტორანი, რომელმაც თავის დროზე ბერძენი მომღერლის ივანას მიერ შესრულებული „თბილისოთი“ გაითქვა სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, როგორ აღმოჩნდა „ჯიემთი ჯგუფის“ საკუთრებაში. ეს ის კომპანიაა, რომელიც უკანასკნელ წლებში ყოფილი მერის, გიგი უგულავას ინტერესებთან ხშირად ასოცირდება...

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ბრძოლა ათვლას სულაც არ იწყებს ნაციონალური ხელისუფლების დასაწყისიდან და ცნობილი რესტორანი, რომელშიც ახლა ყველაზე პომპეზური წვეულებები იმართება, დროდადრო თითქმის ყველა მერის ინტერესის ობიექტი გახლდათ. ამის შესახებ კი „პრაიმტაიმის“ მკითხველს **თემურ კიკნაძე** უამბობს.

– დღეს რესტორნის მფლობელია „ჯიემთი მთაწმინდა“. თუმცა, ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს, რა გზებით აღმოჩნდა ის გიორგი თავაძის ხელში.

**– დიახ, ბრძანეთ...**

– მანამდე ეს რესტორანი „თბილისი სიტის“ საკუთრებაში იყო. ეს კომპანია 1993 წელს ჩამოყალიბდა და კოტე გაბაშვილმა დააფუძნა, როცა მერი იყო. კომპანიის შექმნის იდეა ომის შედეგად განადგურებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია იყო. კოტე გაბაშვილის პირველ დადგენილებაში მკაფიოდ ჩაწერეს, რომ ამ სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტის მფლობელი იქნებოდა თბილისის მერია. ამ დადგენილების გამოცემიდან უკვე 21 წელი გავიდა და ერთხელაც არ შესრულებულა ეს პირობა. ამ ხნის განმავლობაში ამ რესტორნის მუდმივი გლეჯა მიდის, ჩუმად ხდებოდა საქმეების ჩაწყობა და წილების გადანაწილება.

**– რა ობიექტები შედიოდა „თბილისი სიტის“ საკუთრებაში?**

– სულ ცხრა ობიექტი შედიოდა – „რესტორანი მთაწმინდა, „ზაარბრიუკენის მოედნის“ მთლიანი განაშენიანება, „ქალაქურის“ გვერდით ახლა კაზინოს შენობა რომ არის, მხატვრის სახლი, რუსთაველის თეატრსა და სასტუმრო „თბილისს“ შორის იყო შემნახველი სალაროს შენობა... და ა.შ. ეს ყველაფერი თბილისის მერიამ მას ქონების სახით გადასცა.



თემურ კიკნაძე

**– რაც თქვენ ჩამოთვალეთ, დღეს თითქმის ყველა შენობა გასხვისებულია...**

– თანაც მესამე პირებზე, რომლებიც კეთილსინდისიერ მყიდველებად ფიქსირდებიან.

**– თუ მერია საკონტროლო პაკეტის მფლობელი იყო, მან რამე მიიღო ამ გასხვისებული ნაგებობებიდან?**

– ბიუჯეტს არაფერი მიუღია, რადგან ყველაფერი აფიორაზე იყო გადასული. დოკუმენტები ქრონოლოგიურად რომ წაიკითხოს კაცმა და დაუკვირდეს, რის შემდეგ რა ხდებოდა, ადვილად მიხვდება, რომ სახეზე იყო დიდი აფიორა და ყველა მერი მონაწილეობდა ამაში. გამონაკლისი მხოლოდ ნიკო ლეკიშვილი გახლდათ. თავის დროზე, როდესაც ის მერად დაინიშნა და აღმოაჩინა, რომ ამხელა ქონება სააქციო საზოგადოების ხელში იყო გადასული, ამაზე გაგიჟდა და დადგენილება გამოსცა, რომლითაც ეს ყველაფერი მერიას საკუთრებაში უნდა დაბრუნებოდა. მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. არ შესრულდა ეს დადგენილება და გააუქმეს ის.

**– ამასობაში გაბაშვილი „თბილისი სიტის“ დამფუძნებლად რჩებოდა?**

– კი, რჩებოდა. კაცმა არ იცის, რა წერია ამ სააქციო საზოგადოების დებულებაში. ფაქტია, რომ თბილისში არსებული ყველა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობა მის ხელში აღმოჩნდა.

**– თუ სწორად გავიგე, ამ შენობების რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო...**

– იდეაში უნდა მომხდარიყო ომის შედეგად დაზიანებული ნაგებობების რეკონსტრუქცია. ამათ კი სხვა შენობებიც დაუმატეს. სასწაული ხდებოდა მაშინ. ყველა კუთხეში ფულს აკეთებდნენ. მაგალითად, ლუჟკოვმა გამოგზავნა აგური პირველი სკოლის კედლის ამოსაშენებლად. ესენი ადგნენ და დამწვარი „მხატვრის სახლის“ აგურით ააშენეს ის კედელი, კარგი აგური კი გაყიდეს. ფული, რა თქმა უნდა, შეჭამეს. მაშინ ვიცე-მერი იყო ალექსანდრე კურცხალია. მისი თაოსნობით ხდებოდა ეს ყველაფერი.

**– მერი ვინ იყო მაშინ?**

– გარდაცვლილია და არ მინდა, ვახსენო...

**– მაინც?..**

– ბადრი შოშიტაიშვილი...

**– თქვენ მაშინ მთაწმინდის პარკის დირექტორი იყავით?**

– მე იქ 1995 წელს დავინიშნე, ნიკო ლეკიშვილის დროს. სხვათა შორის, მის დადგენილებაზე რომ ვსაუბრობდი, თუ თემას ძალიან არ გადავუხვევ, აქვე გეტყვით: ახლა ვაკის პარკზე რომ დაობენ, ამოიღონ ლეკიშვილის დადგენილება და ვაკის პარკს ხელს ვერავინ ახლებს...

**– რას გულისხმობთ?**

– კულტურის ძეგლად გამოცხადდა სამივე პარკი. ვაკე, მუშტაიდი და მთაწმინდა. ამ პარკებს კურირებდა კურცხალია. ლეკიშვ-

**„რესტორან „მთაწმინდას“ მარტო მარმარილოს კიბეები და ბროლის ჭაღი ჰქონდა ნახევარმილიონიანი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვილმა დედაზე დაგინება?





**„ამ ხნის განმავლობაში ამ რესტორნის მუდმივი გლეჯა მიდის, ჩუმად ხდებოდა საქმეების ჩაწყობა და წილების გადანაწილება“**





ილმა ის კულტურის სამმართველოს დაუბრუნა, ამ პარკების პრივატიზაცია აკრძალა და მის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტები პარკების ბალანსზე გადასცა.

**– ანუ რესტორანი გადმოეცემოდა მთაწმინდის პარკს?**

– დიახ. ამის მიზეზი ის იყო, რომ პარკებს თავისი თავი როგორღაც შეენახათ. აქ აღმოჩნდა, რომ თურმე რესტორანი „მთაწმინდა“ იყო მთაწმინდის რაიონის საზკვების ბალანსზე. გადმოცემა მოხდა მიღება-ჩაბარების აქტით.

**– მანამდე რესტორანი მთაწმინდა ხომ „თბილისი სიტის“ ბალანსზე იყო?**

– მოხდა ასეთი რამ, ერთი წლით ადრე, სანამ დირექტორად დავინიშნებოდი, შეიქმნა საზოგადოება „მთაწმინდელი“, რომელსაც მთაწმინდა უნდა აეღორძინებინა. ამიტომ, გამოიცა განკარგულება და ეს რესტორანი მოიხსნა „თბილისი სიტის“ ბალანსიდან. თუმცა, ამ საზოგადოებას მერე აღარ უარსებია.

**– ამას იმის დასადასტურებლად მეუბნებით, რომ რესტორანი „თბილისი სიტის“ 1994 წლიდან აღარ ჰქონდა?**

– დიახ... საზკვებიდან კი მიღება-ჩაბარების აქტით ჩვენ გადმოგვეცა. როგორ აღმოჩნდა იქ, ეს დეტალები აღარ ვიცი... როდესაც პრივატიზაცია დაიწყო, პარლამენტის დადგენილებით აღმოჩნდა, რომ უპირატესი უფლება აქვს შრომით კოლექტივს. მოვძებნე ინვესტორი, რომელიც 2 მილიონს ჩადებდა ამ რესტორნის გაკეთებაში.

**– ვინ იყო ინვესტორი?**

– ერთი ებრაელი ბიზნესმენი. ის თავის წილად 1/4-ს ითხოვდა.

**– თუ კულტურის ძეგლი იყო, როგორ უნდა შეგეძინათ?**

– იჯარას ვითხოვდით. მის გარდა, ისრაელიდან ჩამოვიდა მულტიმილიონერი, ედელმანი, საკუთარი თვითმფრინავით. მას ინვესტიციის ჩადება მთლიანად პარკში უნდოდა... მაგრამ ხელს გვიშლიდა „თბილისი სიტი“, ვინაიდან იქ ნებისმიერ ეტაპზე საკუთარ ინტერესს ფლობდა მოქმედი მერი.

**– ანუ ინვესტორი გაგექცათ?**

– არ მოგვცეს არაფრის საშუალება. მერს თავისი ინტერესი ჰქონდა და ადგილობრივ თანამშრომლებზე რატომ იფიქრებდა?

**– ედელმანი რა ოდენობის ინვესტიციის ჩადებას აპირებდა?**

– 50 მილიონის... მაშინდელმა მერმა, ბადრი შოშიტაიშვილმა ხელშეკრულება დადო ცნობილ ბიზნესმენთან, ბობ ვოლშთან. ეს იყო ადამიანი, რომელმაც 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას გაუკეთა ორგანიზება. ამ ხელშეკრულების თანახმად, რესტორანი მისთვის უნდა გადაეცათ. იმავე ხელშეკრულებაში ჩაიდო, რომ შეიქმნებოდა კომპანია „მთაწმინდის პლატო“, რომელსაც ეს ქონება გადაეცემოდა. ვოლშის მხარეს წარმოადგენდა გიორგი თავაძე, რომელიც დღეს ფლობს ამ რესტორანს.

**„მინისტრთა საბჭოს სასადილოში მოხდა ლადო ჭანტურიასა და მაშინდელი მერის, ვანო ზოდელავას შეხვედრა“**

**– გიორგი თავაძე ხომ „ჯიემთი მთაწმინდას“ წარმოადგენს?**

– სახელი მოგვიანებით, 2005 წელს გადაუკეთდათ... ვოლშსა და შოშიტაიშვილს შორის დადებული ხელშეკრულებით, ამერიკულ მხარეს (ასე მოიხსენიებდნენ მის კომპანიას) 60 პროცენტი გადაეცა, 40 პროცენტი „თბილისი სიტის“ რჩებოდა, ამ 40 პროცენტში კი საკონტროლო პაკეტი – მერიას. მართლაც ჩამოყალიბდა „მთაწმინდის პლატო“, გაიარა რეგისტრაცია და სწორედ ამ მომენტიდან იწყება თაღლითობის უმაღლესი მაგალითები.

**– რას გულისხმობთ?**

– ამ თაღლითობის შედეგად, უკვე მაშინ, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ნაციონალები მოვიდნენ, ის 40 პროცენტიც წაართვეს „თბილისი სიტის“ და „ჯიემთი მთაწმინდამ“ სრულიად დაისაკუთრა რესტორანი.

**– ეს როგორ მოხდა?**

– ეს უგულავამ გააკეთა, თუმცა მისი გვარი არსად ჩანს. ეს წილი ვინმე დევდარიანზე გაფორმდა...

**– ამასობაში თქვენ გულხელდაკრეფილი ხართ?**

– ვჩიოდი, მაგრამ სასამართლოში სამივე ინსტანცია წავაგეთ. ვუჩიოდით „თბილისი სიტის“. პირველმა ინსტანციამ იცით, რატომ არ დაგვიკმაყოფილა სარჩელი? თურმე შრომითი კოლექტივი პრეტენზიას ვერ განაცხადებდა, რადგან თურმე რესტორნის ღირებულება 30 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა. სააქციო საზოგადოებას უფრო ძვირი ობიექტი უნდა ჰქონოდა თურმე. 30 მილიონი მანეთი იყო 25 ათასი დოლარი. რესტორან „მთაწმინდას“ მარტო მარმარილოს კიბეები და ბროლის ჭაღი ჰქონდა ნახევარმილიონიანი. ასე რომ, რესტორანი 30 მილიონ მანეთად თავის დროზე სწორედ ამიტომ შეაფასეს იმ ჟულიკებმა, რომ ჩვენს ხელში არ გადმოსულიყო... მთელ ამ პროცესში იმდენი უსამართლობა ვნახე, რომ მისი აღწერისთვის ერთი სტატია ნამდვილად არ იქნება საკმარისი. სანამ პროცესები დაიწყებოდა, უზენაესი სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს, ლადო ჭანტურიას შევხვდი, მთელი დოკუმენტაცია მივუტანე და ვთხოვე, რომ ობიექტურად განეხილათ. მითხრა, ისედაც მოგებული გაქვს პროცესიო. შეხვედრა მქონდა დათო სულაქველიძესთან, ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარესთან. უწესიერესი და უპატიოსნესი კაცია, მაგრამ რად გინდა? – უვარგისი... იმანაც მითხრა, ისედაც მოგებული გაქვთო... მერე კი ყველაფერი სხვანაირად წავიდა. ამის მიზეზიც შევიტყვე: მინისტრთა საბჭოს სასადილოში მოხდა ლადო ჭანტურიასა და მაშინდელი მერის, ვანო ზოდელავას შეხვედრა. ამ საუბარს მესამე პირიც ესწრებოდა. ის დღეს პარლამენტშია, ვერ დავასახელებ გვარს. ზოდელავამ ჭანტურიას ამ შეხვედრის დროს უთხრა, კიკნაძემ ეს საქმე უნდა წააგოსო... მერე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდი: თავიდან მიშა სააკაშვილმა გადაწყვიტა, გვერდით დაგვდგომოდა. ესეც იმიტომ, რომ მაშინ საკრებულოს თავმჯდომარე იყო და საპიარო თემა სჭირდებოდა. საამისოდ ჩვენი პრობლემა შესთავაზეს. პარკში გიჟივით ამოვარდა. საბაგირო გზის სადგურთან შეგვკრიბა და გვითხრა, – ვიცი, რა დღეშიც ხართ. მე თქვენ გაძლევთ პირობას, რომ ამ შენობის ნახევარს შრომით კოლექტივს გადავცემო. ოთხი კამერა იღებდა. მერე მომმართა – თქვენ ხომ გჯერათ, ბატონო თემურ, ჩემიო? მე თავი გადავაქნიე, არც ჰო ვუთხარი და არც – არა. გაბრაზდა, გადმოიწია და ყურში ჩამჩურჩულა, – ვინც არ გააკეთოს, იმის დედაო! – ბოლომდე შეიგინა.

**– მერე „შეიწერა“ ეს გინება?**

– მე რა მენაღვლება, დედა იმას „მოუკვდება“...

**– მართლა არაფერი გაუკეთებია?**

– მიიღო დადგენილება, სადაც „თბილისი სიტის“ სასარგებლოდ და ჩემს საწინააღმდეგოდ გამოცემული დადგენილებები გაუქმებულად ჩათვალა. დაისვა საკითხი „თბილისი სიტის“ დაშლაზე და ახალი დირექტორების დანიშვნაზე. თან ამბობდა, ეს ისტორიული დადგენილებაა, რომლის მიღება მარტო მე შევძელიო. გამიხარდა, ვიფიქრე, ახლა რაღაც გვეშველება-მეთქი. გავიდა ცოტა ხანი, გახდა პრეზიდენტი და ვის ახსოვდა თემურ კიკნაძე და შრომითი კოლექტივი? ზურაბ ჭიაბერაშვილმა ახალი ხელშეკრულება გაუფორმა „ჯიემთი მთაწმინდას“, რომელშიც 60 პროცენტის ნაცვლად ოფიციალურად დაუკანონა 65 პროცენტი. ეს 5 პროცენტი ისეთი თვალშისაცემი იყო, რომ ყველაფერზე მეტყველებდა. ის ვიღაცის უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, თავად ჭიაბერაშვილის. მერე კი მოვიდა უგულავა და „თბილისი სიტის“ მთელი წილი მისცა „ჯიემთი მთაწმინდას“ იმისთვის, რომ თვითონ ჩამჯდარიყო წილში. აკი გითხარით, ყველა მერი სათავისოდ წეწავდა ამ ობიექტს.

**– სააკაშვილის დადგენილებას რა უყვეს?**

– გააუქმეს.

**– სააკაშვილმა ეს როგორ დაუშვა?**

– ის უკვე პრეზიდენტი იყო და საერთოდაც არ ემახსოვრებოდა ეს ამბავი. თემურ კიკნაძის დარდი ჰქონდა?.. კურიოზია, მაგრამ ახლა „ჯიემთი მთაწმინდას“ „თბილისი სიტი“ უჩივის. სასამართლოშია საქმე.

**– თქვენ ყველა ინსტანცია ამოწურული გაქვთ. ახლა რას აპირებთ?**

– პროკურატურის იმედი მაქვს. ახლად აღმოჩენილი გარემოებებით ვაპირებ ჩივილს.

**– სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები აღმოაჩინეთ?**

– დიახ, მაგრამ რატომღაც პროკურატურა ამას ჯერჯერობით ვერ ხედავს.

**– ამჯერად „ჯიემთის“ უჩივით?**

– არა, თბილისის მერიას.

„პრაიმტაიმი„ ცხადია „ჯიემთი ჯგუფსაც“ დაუკავშირდა, თუმცა კომენტარზე უარი განაცხადეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გამოიცანი 36 თამაში და მოიგე ორი მილიონი



## თამარ ქვილითაია: „ჩვენ დამატებით შანსს ვაძლევთ მომხმარებლებს, რომ მოიგონ მეტი და ეს მათთვის დასამახსოვრებელი გახდეს“

მაგდა კლდიაშვილი

**ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ მსოფლიო ჩემპიონატისთვის გრანდიოზულ და უპრეცედენტო გათამაშებას ატარებს. ქართული ტოტალიზატორების ისტორიაში, პირველად, მხოლოდ „ევროპაბეთში“ მომხმარებელს ორი მილიონი ლარის მოგება შეუძლია.**

გათამაშებამ სტარტი 2 ივნისს აიღო და 16 ივნისამდე გასტანს. პროექტის პრეზენტაცია „ევროპაბეთმა“ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართა, სპეციალური ბილეთი კი, ცნობილი ფეხბურთელისთვის, მიხეილ ყაველაშვილისთვის დაამზადა, რომელმაც პროგნოზი საჯაროდ დააფიქსირა.

„ევროპაბეთის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თამარ ქვილითაია გათამაშების დეტალებს განმარტავს და აცხადებს, რომ ჩართულობა გათამაშებაში მოსალოდნელზე დიდია.

„აქცია რამდენიმე დღის წინ დავიწყეთ ონლაინ ტოტალიზატორის მიმართულებით. მოგეხსენებათ, ცხელი საფეხბურთო სეზონია. ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც ისედაც დებს სხვადასხვა სპორტულ თამაშზე ფსონს, პარალელურ რეჟიმში, ერთი ლარის ეკვივალენტი ბონუს ქულა ერიცხება, რომლითაც შეუზღუდავი რაოდენობით ავსებს პროგნოზს მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე და ამით იღებს შანსს დაეუფლოს 2 000 000 ლარს“, - განაცხადა ქვილითაიამ.

უპრეცედენტო გათამაშების საპრიზო ფონდი ორი მილიონი ლარია. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, მთავარია, მომხმარებელი იყოს დარეგისტრირებული „ევროპაბეთის“ საიტზე (www.europe-bet.com) და გავლილი ჰქონდეს ვერიფიკაცია.

„საიტზე, ონლაინ რეჟიმში, განთავსებულია 36 თამაში, რომელზეც ხდება ამ პროგნოზების გაკეთება. ეს ეხება ჯგუფური ეტაპის თამაშებს და ხდება მონიშვნა გუნდის მოგებაზე, ფრეზე ან წაგებაზე. პროგნოზების გაკეთება შეუზღუდავია. ამ უფასო აქციაში მონაწილეობის მიღება 16 ივნისამდეა შესაძლებელი, გამარჯვებული კი 13 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე გამოვლინდება და სრულად გადაეცემა მოგებული თანხა“, - განმარტავს ქვილითაია.



მისივე თქმით, ორი მილიონი გადაეცემა ან ერთ, კონკრეტულ გამარჯვებულს, ან გადანაწილდება იმ ადამიანებზე, რომლებიც 36 თამაშის გამოცნობას შეძლებენ.

მიხეილ ყაველაშვილს „ევროპაბეთმა“ პროგნოზის გასაკეთებლად სპეციალურად, დიდი ზომის ბილეთი დაუმზადა, სადაც ფეხბურთელმა, საჯაროდ, საკუთარი პროგნოზი გააკეთა და მოგების სურვილიც გამოთქვა.

**მიხეილ ყაველაშვილი: «საინტერესო გათამაშებაა, მარტივი ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა შესაძლებელია. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რისკიანი ადამიანი ცხოვრობს და იმედი ვიქონიოთ, რომ ვინმე მოახერხებს ამ პროგნოზის გამოიცნობას. მეც ამავეს ვეცდები, მით უმეტეს რომ ჯილდო ნამდვილად შთამბეჭდავია“**

**მიხეილ ყაველაშვილი:** - საინტერესო გათამაშებაა, მარტივი ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა შესაძლებელია. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რისკიანი ადამიანი ცხოვრობს და იმედი ვიქონიოთ, რომ ვინმე მოახერხებს ამ პროგნოზის გამოცნობას. მეც ამავეს ვეცდები, მითუმეტეს რომ ჯილდო ნამდვილად შთამბეჭდავია.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა საკუთარი ფავორიტიც დაასახელა და აღნიშნა, რომ ბავშვობიდან არგენტინის ნაკრების გულშემატკივარია.

„მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად, 80% ბრაზილიას ჩავთვლის, მაგრამ არგენტინას ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, სურვილი მაქვს, რომ არგენტინამ გაიმარჯვოს, მაგრამ ფავორიტებში დავასახელებდი ბრაზილიას, არგენტინას, გერმანიას, ესპანეთს, იტალიას, ჰოლანდიას და ურუგვაიც არ უნდა გამოგვრჩეს. ფინალის საგზურს, ალბათ, ბრაზილია - გერმანია გაითამაშებს ერთმანეთში, მაგრამ არგენტინა მოიგებს“, - ამბობს ღიმილით ფეხბურთელი.

თამარ ქვილითაიას თქმით, გათამაშების დაწყებიდან, უკვე 70 ათასზე მეტი პროგნოზია გაკეთებული, ციფრი კი მყ-



ისიერად იცვლება.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - აბსოლუტურად არ მიკვირს, რომ ჩართულობა დიდია. ეს რიცხვი აუცილებლად უფრო მეტად გაიზრდება.

**თამარ ქვილითაია:** - აქცია სრულიად უფასოა და მომხმარებელიც არაფერს კარგავს, გარდა იმისა, რომ მათ ისედაც შეუძლიათ მოგება რომელიმე თამაშზე განთავსებული ფსონით, ჩვენ დამატებით ვაძლევთ შანსს მოიგონ მეტი და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი მათთვის დაუვიწყარი გახდეს. აქვე აღვნიშნავ, რომ „ევროპაბეთის“ სიურპრიზები მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში ამით არ ამოიწურება, რამდენიმე დღეში ჩვენ მორიგ და არანაკლებ საინტერესო აქციას შემოგთავაზებთ, რითიც მომხმარებელი ნამდვილად კმაყოფილი დარჩება.

**მიხეილ ყაველაშვილი:** - დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ „ევროპაბეთის“ ასეთი საინტერესო გათამაშებისთვის, წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინ ამ პროგნოზს გააკეთებს.



მიხეილ ყაველაშვილის ორმილიონიანი პროგნოზი „ევროპაბეთში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათო საყვარელ

## „ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობაშია“

რეზო შატაკიშვილი

**ის დავით საყვარელიძეა, უფრო ზუსტად - „სუყო“. ცხოვრებამ შეახვედრა რამდენიმე პერსონას, ვინც განსაზღვრა მისი ცხოვრება. უფრო ზუატად კი, მან თავად „იცურა“ იმ მიმართულებით, რომ ამ ადამიანებს შეხვედროდა ცხოვრებაში.**

**მან ზუსტად იცის, როდის ედგა პრაიმტაიმი ცხოვრებაში.**

**დავით საყვარელიძე:**

- საუკეთესო პერიოდი? ჩემი პრაიმტაიმი, ალბათ, მაშინ იყო როდესაც პიტერ ბრუკთან ვიყავი სტაჟირებაზე. სწორედ მასთან გატარებული 2 თვე იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი პერიოდი, სულიერად ყველაზე კარგად მაშინ ვიყავი.

**- რა იყო მიზეზი, თავად პიტერ ბრუკის პერსონა?**

- ბედნიერების 80%, ალბათ, მასთან ურთიერთობა იყო. როგორც გურუმ, რელიგიური სიმშვიდე მომცა, რადიკალურად შემცვალა. მასთან ურთიერთობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სწორედ ადამიანის შესწავლაა უმთავრესი ხელოვნებაში და არა ვინმეს გართობა და რაღაც სისულელეები. დადგმა, ხალხის გართობა, არის მეორეხარისხოვანი, თუ მკვლევარი ხარ და იკვლევ ადამიანს, მის სულს. საოცარი თვისება აქვს, მუშაობისას ისეთ ატმოსფეროს ქმნის, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება და ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ იქ ხარ, სადაც ყველაზე უფრო გინდოდა ყოფნა, იქ, სადაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებს იხილავენ, რომ ამაზე მნიშვნელოვანი დღეს არაფერი ხდება მსოფლიოში. გრძნობდი, რომ შენი საყვარელი საქმის ეპიცენტრში იყავი. მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ანდამატივით გიზიდავს და გაჯერებს, რომ იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელსაც თვითონ ანიჭებს უპირატესობას, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი წყალობით მართლაც ყურადღების ეპიცენტრში ხარ - მასმედიის, კრიტიკოსების, თეატრალური მოღვაწეების. მე ძალიან საინტერესო ჯგუფში ვიყავი, 15 რეჟისორი ვყავდით შეკრებილი, ვმუშაობდით ბრუკის მსახიობებთან, რაღაც იდეებს ვამოწმებდი, შემდეგ იგი აანალიზებდა, გვასწავლიდა. იმ პერიოდში, როცა მასთან მუშაობ, სტაჟირებაზე ხარ, ის გიგვარებს ყველა ყოფით, ცხოვრებისეულ პრობლემას, რაც კი შეიძლება ხელისშემშლელი იყოს. მისი დირექტორი იქნება, მენეჯერი თუ ასისტენტი გარიდებენ ყველა პრობლემას, უმაღლეს დონეზე აქვთ მოგვარებული ფინანსური მხარე, ტრანსპორტირების ხარჯებიც კი გათვალისწინებული აქვთ და ყველაფრისგან თავისუფალი ხარ და ყველაფერი გაქვს საიმისოდ, რომ მხოლოდ იმ პროცესით იყოს შენი გონება დაკავებული. გათავისუფლებენ ყოველგვარი მიწიერი იდიოტობისგან და გაძლევენ საშუალებას, სხვა არაფერზე არ იფიქრო და მთელი შეგნებით, მთელი სხეულით, გონებით მომართული იყო იმ საკითხებზე სასაუბროდ, რომელზეც იმ პერიოდში საუბრობს პიტერ ბრუკი. როგორც გავარკვიე, როდესაც მსახიობებს ირჩევს, მისი ასისტენტები, თითქმის ერთი წლით ადრე უგვარებენ პრობლემას იმ მსახიობებს, აცნობებენ, რომ კონკრეტულ დროს, მათ აქვთ 28 რეპეტიცია და იმ ერთი თვის მანძილზე მათ უნდა აიღონ შვებულება, გაენთავისუფლონ ყოველგვარი საქმიანობისგან, რასაც თავად უნაზღაურებენ.



## „უახლოეს პერიოდში მე, ალბათ, გადავალ ლონდონში საცხოვრებლად“

**- როგორ მოხვდი პიტერ ბრუკთან?**

- პიტერ ბრუკთან ჩემი მოხვედრა იყო ჩემი ხანგრძლივი წვალების რეზულტატი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი ჩემი ძალისხმევა იმაზე იყო მომართული, რომ საზღვარგარეთ გავსულიყავი. ქვეყნის განუვითარებლობას ჩემ სასარგებლოდ ვიყენებდი. მაშინ სხვადასხვა საერთაშორისო ფონდები, ორგანიზაციები ძალიან ეხმარებოდნენ განვითარებად ქვეყნებს, აფინანსებდნენ, გრანტებს იძლეოდნენ ტრენინგებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. ასე მოვხვდი პირველად იტალიაში, 1992 წელს. მაშინ მე და დათო დოიაშვილი ჯორჯო სტრელერსაც კი შევხვდით; 1994 წელს პირველად წავედი ამერიკაში, ნატიფი ხელოვნების სკოლაში რომ მესწავლა, მიწვევა მქონდა, მაგრამ სწავლის ფული მე უნდა გადამეხადა, რაც წარმოუდგენელი იყო. მაინც წავედი და გავიარე გასაუბრება, მერე 2 თვე ვიარე კიდეც. დავდიოდი და 2 თვის მერე აღმოაჩინეს, რომ მათი სტუდენტი არ ვიყავი. თან ფულიც გამომელია და უკან წამოვედი. რამდენიმე წლის შემდეგ ფონდ „არტს ლინქ პროგრამ“-ის კონკურსში გავიმარჯვე, 5 ათას კაცში გავიმარჯვე და ორთვიან სტაჟირებაზე ვიყავი თეატრში „ნიუ-იორკ სიეთა ვორკშოპ“, ამ სტაჟირების დროს, პატარა სპექტაკლიც დავდგი, მერვე ავენიუსა და 44-ეს კუთხეში, „ფლეი ტაიმს სტუდიო“-ში. შემდეგ იყო სტაჟირება „ინგლიშ ნეიშენალ ოპერაში“, ამ სტაჟირების დროს ხშირად დავდიოდი ნაციონალური თეატრის სტუდიაში, ძალიან დავმეგობრდი სიუ ჰიგინსთან, რომელიც მართავდა სტუდიას. უკვე საქართველოში ვიყავი დაბრუნებული, როცა შემატყობინეს პიტერ ბრუკმა აგიყვანაო. სასწრაფოდ ნასესხები ფულით გავფრინდი... 1999 წლის ბოლო იდგა, საშინელი სიტუაცია იყო აქ, უშუქობა, საბურავების წვა ქუჩაში...

**- დიდ პერსონებთან ურთიერთობის ბედნიერება არც აქ საქართველოში გაკლდათ, მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტი იყავით, თუმანიშვილთან გატარებული წლები რა იყო თქვენთვის?**

- ანბანის სწავლა. ანბანური ჭეშმარიტებების შესწავლის პერიოდი, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის შესწავლის მსგავსი პერიოდია, როდესაც თეატრს სწავლობ მიხეილ თუმანიშვილთან... მასთან სწავლა, მუშაობა, მთელი ბედნიერებაა. ამის გარდა, სწორედ ბატონ მიშას დამსახურებაა, რომ მეც და ჩემი მეგობრებიც ავცდით ძალინ ბევრ ცუდ რამეს. ჩვენ ძალიან ცუდ პერიოდში მოგვიწია სტუდენტობა, მაგრამ ჩვენ თითქოს სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით - თუმანიშვილის ქვეყანაში, ამან გადამარჩინა, რომ მე არ ვიყავი არც პოლიტიკაში, არც ომში, არც ქუჩაში, გადავრჩი ძალიან ცუდ რაღაცებს და ის პერიოდი გამოვიყენე ჩემი თავის დახვეწისთვის.

**- რამდენადაც ვიცი, თუმანიშვილის ჯგუფში რომ აღმოჩენილიყავით, 1 წელი განგებ „ჩარჩით“, ახლა ბრუკზე ახსენეთ, რომ მასთან მოხვედრა დიდი წვალების რეზულტატი იყო, ანუ, ეს ბედნიერი პერიოდები მთლად თავისით არ მოდის თქვენ ცხოვრებაში.**

## „იმდენ ენერგიას ვხარჯავ თუნდაც ჩვეულებრივი პრობლემების მოგვარებაში, სიძნელეების გადალახვაში, რომ შემდეგ, როცა ვლახავ, გამარჯვებისა და ბედნიერების შეგრძნება მეკარგება“





- მე არ მაქვს ისეთი ბედი, რომ უცებ აღმოვჩნდე სადღაც, ალბათ, არც არავის აქვს... იმდენ ენერგიას ვხარჯავ თუნდაც ჩვეულებრივი პრობლემების მოგვარებაში, სიძნელეების გადალახვაში, რომ შემდეგ, როცა გადავლახავ, გამარჯვების და ბედნიერების შეგრძნება მეკარგება. რა გითხრა, მე არ მქონია ეგ - „გამიმართლა“. გამართლებაა ეგ, მიზნად რომ დაისახავ, აი, იმ სიმაღლეს რომ გადაახტე, თავს რომ შეაკლავ და გადაახტები 2 წლის შემდეგ?

**- რაღაც იმ ანეკდოტივითაა, კაცი მეცხრე სართულზე უთოს სათხოვნელად რომ ადის მეზობელთან და რომ ავა და ჩხუბს დაუწყებს, აღარ მინდა ეგ შენი უთოო.**

- აი, ეგრე ვარ ხოლმე, ლამის აღარ მინდა არც ტაში და არც არაფერი. უბრალოდ, სხვანაირად არ შემიძლია. ვერ ვჩერდები.

**- ბავშვობა ყველასთვის ბედნიერი ხანაა, რა შეგრძნებები გახსენდება ბავშვობიდან?**

- სულ ვიხსენებ, მე ვიწექი ოთახში და გვერდით ოთახიდან მესმოდა მამაჩემის და მისი ახლობლების ძალიან მაგარი სიმღერა, ეს შორიდან მოსმენილი ჰანგები მაქვს ჩაფენილი ქვეცნობიერებაში და სადღაც რომ მოვკრავ ხოლმე ყურს, ცოცხლდება ის შეგრძნება და თვალწინ მიდგება. ბავშვობა ყოველთვის ბედნიერი პერიოდია, ამის პოეტურად თქმას ზოგი კარგად შეძლებს, ზოგი ცუდად, მაგრამ ბავშვობა განუმეორებელია. ბავშვი ბე-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იძის პრაიმტაიმი



EXCLUSIVE

## „ჩვენ თითქოს სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით - თუმანიშვილის ქვეყანაში, ამან გადამარჩინა, რომ მე არ ვიყავი არც პოლიტიკაში, არც ომში, არც ქუჩაში...“

დნიერია თუ მშობლებს აქვთ იმის საშუალება, რომ ბავშვს გაუღვივონ ინტერესი, სამყაროს შემეცნების ინტერესი. მე მადლობელი ვარ ოჯახის, რომ მუსიკის მიმართ მაქვს ძალიან ფაქიზი და რელიგიური დამოკიდებულება. ასე ახლოს რომ არ ვიყო მუსიკასთან, ალბათ, ძალიან დათრგუნული ვიქნებოდი. დღეს კი, როცა ვიცი, რომ არსებობს მუსიკა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი ხდება. ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ ვიზრდებოდი იმ წრეში, სადაც მუსიკა იყო ძალიან ფაქიზად აღქმული და მეც დამაწყებინეს მოსმენა, სხვა კონცენტრაციით და დაკვირვებით.

**- რამდენადაც ვიცი, ხელსაც გიწყობდნენ, მუსიკალურ ინსტრუმენტებით გამარაგებდნენ.**

- კი, ხელს ნამდვილად მიწყობდნენ. ყველა მშობელი ასეა, როცა ბავშვს რაღაც ინტერესს ატყობს, არაფერს იშურებს. 5 წლის ვიყავი საზღვარგარეთიდან პატარა, ჩემთვის შესაფერისი გიტარა რომ ჩამომიტანეს და უკვე პროფესიონალური ინსტრუმენტი გამიჩნდა. შემდეგ სულ მჩუქნიდნენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს, 14 წლისას ყველაფერი მქონდა - კონტრაბასი, საქსოფონი, საყვირები, ელექტროსინთეზატორები, ბოლოს მამაჩემის მეგობარმა მაჩუქა დასარტყამი, „უდარნიკი“ რა, მამაჩემი გაგიჟდა, ყოველდღე ვუბრაგუნებდი...

**- როგორც მახსოვს, დუდუკზეც უკრავ, ყოველ შემთხვევაში, სტუდენტობისას უკრავდი.**

- კი, გოგი მარგველაშვილმა ჩვენს ჯგუფთან „ხანუმა“ დადგა და მე მთელი დასტა მყავდა კინტო-ყარაჩოხელების და ვუკრავდი დუდუკზე. კარგი დრო იყო...

**- როგორ ფიქრობ, მაინც როდისაა ადამიანი ბედნიერი?**

- როცა აკეთებ იმას, რისი კეთებაც ყველაზე მეტად გიყვარს, და კიდევ ფულს რომ გიხდიან ამაში. ეს დამთხვევა იწვევს ნამდვილ ბედნიერებას, მე ვამბობ პროფესიაში, თორემ პირადი, ოჯახური ბედნიერება მაშინ გაქვს, როცა ნდობაა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა, როდესაც შეგიძლია შენი ცხოვრება ანდო ადამიანს. როდესაც პოულობ ადამიანს, რომელსაც შეგიძლია მთელი შენი ცხოვრება, სული, შვილი მიანდო. ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს, თორემ მე არ ვიცი ეს ხელოვნურად როგორ ხდება, ეგ რომ ვიცოდე პაკი ვიქნებოდი, ჩავაწვეთებდი და შევაყვარებდი ერთმანეთს ადამიანებს. გასროლაა რა, ან მოარტყამ, ან მოგარტყამენ....

**- არეულ დროში მოგვიწია ცხოვრება... ხშირად გაშხამებდა ცხოვრება საუკეთესო პერიოდებს? როცა კარგად ხარ, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ველარც გემოს ატან შენ პრაიმტაიმს და ვერც ვერაფერს?**

- კი, როგორ არა... ახლა განსაკუთრებულად მიშლის ხელს, იმიტომ რომ უფრო და უფრო ჩავეფლე აქაურ ცხოვრებაში, პასუხისმგებლობები ავიღე. როცა ახალგაზრდა ვიყავი, პასუხისმგებლობები არ მქონდა აღებული და შემეძლო, როცა მინდოდა საზღვარგარეთ ვყოფილიყავი. საზღვარგარეთ მესხმება ფრთები, აქ სრული შეგრძნება მაქვს, რომ ფრთებს მაჭრიან. არასდროს ვფიქრობდი, რომ აქ, საქართველოში გავაგრძელებდი ცხოვრებას, რატომღაც ყოველთვის საზღვარგარეთს ვუკავშირებდი ჩემს მომავალს და სულ იმ ტალღაზე ვიყავი, არ ვიყავი, მოკლედ „აქაური“. ჩემს უცხოელ მეგობრებს, ახლაც იქ ვგონივარ. მახსოვს, ოპერიდან ჩემი თანამშრომელი სტაჟირებაზე გავაგზავნე ამერიკაში



და მოხვდა იმ თეატრში, სადაც მე ვმუშაობდი და რომ გაიგეს ქართველი იყო, უთხრეს, ჩვენ დათოს ვიცნობთო, სად არის, სად დაიკარგა, ამდენი ხანია არ გამოჩენილაო. რომ გაიგეს, რომ მისი დირექტორი ვიყავი და ვიყავი საქართველოში, ძალიან გაიკვირვეს. გაიკვირვეს იმიტომ რომ მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ უნდა წავიდნენ ყველაზე საინტერესო ადგილიდან ყველაზე უინტერესო ადგილას. მე ქართული გენის, ნოსტალგიის გამო წამოვედი და... დღემდე მაქვს ეს ურთიერთობები, არ ვწყვეტ, ვაგრძელებ და უახლოეს პერიოდში მე, ალბათ, ლონდონში გადავალ საცხოვრებლად, ყველაფერს ამისთვის ვამზადებ.

**- მცირე ოპერის გახსნას რომ აპირებდი? მახსოვს ოპერა საზამთროს და ბრილიანტსაც კი შეადარე, საზამთრო დიდია და სამი ლარი ღირს, ბრილიანტი ერთი ბეწოა და ძალიან ძვირი ღირსო.**

- კი, გავაკეთებ, მაგრამ იმ მცირე ოპერასაც იმიტომ ვაკეთებ, რომ ლონდონში აინტერესებთ და არა აქ. თუ არ აინტერესებთ, არ აინტერესებთ, თუ აინტერესებთ და კარი ღია მაქვს, მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ ქართველი მაყურებლისთვის, ვაკეთებ მაყურებლისთვის, რომელიცაა საზღვარგარეთაა.

**- ეს როგორ იქნება პრაქტიკულად? თუკი იქ იცხოვრებ?**

- ჩემი მიზანია, აქ გვქონდეს სტაბილური ადგილი, სახელოსნო, საიდანაც გავალთ გასტროლებზე. ხომ შეიძლება ცხოვრობდე ლონდონში და გარეუბანში გქონდეს სახელოსნო? ნუ, ოთხსაათიანი ფრენის მოშორებით მექნება სახელოსნო...

**- ანუ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ლონდონი იქნება?**

- ყოველ შემთხვევაში ეს არის ჩემი ოცნება, პროგრამა მინიმუმი და ძალიან მინდა რომ ცოლ-შვილი გადავიყვანო ლონდონში. მგონია, რომ ძალიან საინტერესოა იქ ცხოვრება. ლონდონში ვგრძნობ ყველაზე უკეთესად თავს. ხელოვნების ეპიცენტრი დღეს არის ლონდონში.

**- იქ წასვლამდე, აქ რა ხდება უახლოეს მომავალში?**

- აი, 26 ივნისს სოხუმის თეატრს პრემიერა გვაქვს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე, ლაშა ბუღაძის „ნავიგატორს“ ვდგამ, რომელმაც „ბიბისის“ კონკურსში გაიმარჯვა. ძალიან საინტერესო სპექტაკლი უნდა გამოვიდეს, ადამიანის მარტოობაზე, დღევანდელი ახალგაზრდა ადამიანის მარტოობაზე სხვადასხვა ახალი ტექნოლოგიური ძვრების დროს.

**- როგორ თვლი შეიძლება ადამიანი იყოს მარტო და იყოს ბენდიერი, მარტოობაში იყოს ბედნიერი? თუ გქონიათ მსგავსი პერიოდები?**

- რა გითხრათ, აი, პიესის გმირი მარტოა და თავს ბედნიერად გრძნობს, ალბათ, შესაძლებელია. რაღა დაგიმალო, მე მარტო არასოდეს არ ვყოფილვარ. ეტყობა მყოფნის ის მარტოობა, როდესაც პიესაზე ვმუშაობ და განმარტოებული ვარ შემოქმედებითად, თორემ არც ფიზიკურად, არც სულიერად მე მარტო არასოდეს ვყოფილვარ და არც ახლა ვარ, არც ვიცი რა არის ეს მარტოობა, სულ ვიღაცასთან ერთად ვარ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. გარშემო უამრავი საინტერესო ადამიანია. მე საერთოდ გავურბივარ სტანდარტულ ადამიანებს, საქართველოში ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანია, მწერალი, მხატვარი, მომღერალი, დირიჟორი, რომელთა აზრი ჩემთვის ძალიან საინტერესოა, მათთან ურთიერთობა საინტერესოა. ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობაშია, ამ გენიალურ ადამიანებთან ურთიერთობაში.

**„გათავისუფლებენ ყოველგვარი მიწიერი იდიოტობისგან, რომ სხვა არაფერზე იფიქრო და მთელი შეგნებით, სხეულით, გონებით მომართული იყო იმ საკითხზე სასაუბროდ, რომელზეც საუბრობს პიტერ ბრუკი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



სტეფანე



ვასო ფხაკაძე მეუღლესთან ერთად



თამთა გოდუაძე



ჯაბა კილაძე


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# razzi



ნინო ქათამაძე



გიორგი ვარდოსანიძე



მიშო ელიავა



ქეთა ლორთქიფანიძე
და ეკა აბშილავა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თამარ გონგაძე

# ოპერის თეატრი „დაისს“ წარმოგვიდგენს



**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 17 ივნისს 19 საათზე გიწვევთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ქართული საოპერო კლასიკა - ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.**

მთავარ პარტიებს იმღერებენ: ნინო ჩაჩუა (მარო), ირინე ალექსიძე (ნანო), გია მახარაძე (მალხაზი), სულხან გველესიანი (კიაზო), გოჩა დათუსანი-ჯილაური (ცანგალა), თამაზ საგინაძე (ტატო). სპექტაკლში მონაწილეობს ოპერის თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი შალვა შაორშაძე) და ორკესტრი (ორკესტრის კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე). „დაისს“ უდირიჟორებს პაპუნა ღვაბერიძე.




# ნინო ჩხეიძე ინტერნეტ რადიოსა და „NINO სტუდიას“ ხსნის



**6 ივნისს ნინო ჩხეიძე 33 წლის გახდა. დაბადების დღე თავის ახალ სტუდიაში მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნა. მეუღლემ წინასწარ გაუკეთა სასურველი საჩუქარი. კანში ყოფნის დროს ნინოს „CHANEL“-ის სათვალე აჩუქა.**

**ნინო ჩხეიძე:** - ორი კვირის წინ კანში ვიყავით და იქ მივიღე წინასწარ საჩუქარი. ადრე დიდი ფოიერვერკი გამიკეთა, სადაც ცაში ეწერა „ნინო, მიყვარხარ“. ახლაც მივიღე ფოიერვერკის შემოთავაზება, მაგრამ ვარჩიე, რომ შინაურულ, ვიწრო წრეში აღმენიშნა იუბილე. წელს უფრო საქმიანი დაბადების დღე მქონდა. გავხსენი ინტერნეტ-რადიო, სადაც ძირითადად სულ ჩემი სიმღერები გავა, მექნება ჩართვები ჩემს მსმენელებთან და მეყოლება სტუმრები. რადიოს „ნინო ჩხეიძე“ ჰქვია. გარდა ამისა, ჩემს ახალ ხმის ჩამწერ სტუდიას - „NINO სტუდია“-ს ვხსნი. აქამდეც მქონდა ჩემი სტუდია, მაგრამ ყველასთვის არ იყო ხელმისაწვდომი. ახლა ბავშვებსაც და დიდებსაც შეეძლებათ ჩაწერონ სიმღერები.

# ირინა ონაშ



## my View

თამარ გონგაძე

**ირინა ონაშვილს მანქანის მოგება დაებედა. 18 წლის ასაკში, როდესაც „მის საქართველო“ გახდა, ოროთახიანი ბინაც მოიგო და „მერსედესის“ მარკის ავტომობილიც. ახლა კი „ორი ვარსკვლავის“ გამარჯვებულს „კია ოპტიმას“ გასაღები გადასცეს. „საყვარელი მანქანაა, შემიყვარდა. აღარ მყავდა მანქანა, გავყიდე და დებისგან და ლადოსგან ვთხოულობდი. ოჯახის წევრები შევაწუხე, ბოლოს უკვე მეუბნებოდნენ, წადი, მოიგე და იმით იარეო“, - იცინის ირინა. დაძაბული და აქტიური რეჟიმის მერე მოეშვა, მოდუნდა. ყველაფერი ეზარება. დასვენება უნდა, თავის ორი წლის საბასთან ერთად. ირინა „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის მოგების დროს განცდილ ემოციებს იხსენებს.**

**„სულ სხვა ემოცია დამეუფლა“**

„თავიდან მოგებისთვის არ ვიყავი მომართული. ერთფეროვანი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში და ამ დროს შემომთავაზეს „ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობის მიღება. სიმღერა ძალიან მიყვარს. სასიამოვნოდ დაიწყო პროექტიც, ყველა მეგობრულად ვიყავით ერთმანეთთან. თავიდან ვერთობოდი. მერე შექება დავიმსახურე, მეორესაც მოეწონა ნამღერი და ქათინაური რომ მითხრეს, უკვე ეს პროექტი მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის. ყოველ სიმღერას დიდი პასუხისმგებლობით ვუდგებოდი. მთელი დღე ვუსმენდი, ძირფესვიანად ვსწავლობდი. რუსა მორჩილაძე ამბობდა, ვის მივცე რთული სიმღერა, თუ არა შენო. Chaka Khan-ის „My Funny Valentine“ რომ მოვისმინე, დავიძაბე. ვერ ვიმღერებ-მეთქი, რუსას ვუთხარი. მეჩხუბებოდა, ოთახში გამომკეტავდა და მამეცადინებდა. ტვინში ჩამიდო სიმღერა. არის სიმღერები, რომლებსაც მღერი, მაგრამ შენი არ არის. ეს სიმღერა ძალიან ჩემი გახდა, ვიგძენი. რეპეტიციებზე კარგად ვიმღერე, კონცერტზე არც ისე კარგად გამომივიდა. ნერვიულობისგან გულის ბათქუნს ყელში ვგრძნობდი, ეს ხმაზე გადადიოდა, ყველაფერს სწორად ვერ გააკეთებ, რთულია.

**„ამ ბოლო დროს ლადო მსაყვედურობს, აიჩემა, გააკეთე რამე, დატრიალდიო. ბევრი დრო აქვს სახლში ყოფნისთვის, ჩემთვის და უნდა, რომ კერძები მოვუმზადო. შემიძლია ვხეხო, ვრეცხო, ოღონდ სამზარეულოში ნუ მატრიალებ“**

ფინალზე ემოციებით სავსე ვიყავი. არ მეგონა, მე თუ გავიმარჯვებდი. თავდაჯერებული არ ვყოფილვარ. სამნი რომ ვიდექით, გიორგის ვუთხარი კიდეც, ჩვენ ვერ ვიმარჯვებთ-მეთქი. სამეულში მოხვედრითაც კმაყოფილი ვიყავი. მერე უკვე გამარჯვებასთან ახლოს რომ მივედი, უკვე მინდოდა, რატომაც არა?

18 წლის ვიყავი და „მის საქართველოზე“ ჩემი სახელი და გვარი გამარჯვებულად რომ გამოაცხადეს, ბავშვური ემოციით გამიხარდა. ახლა 28 წლის ასაკში სულ სხვა ემოცია დამეუფლა. ახლა რასაც ვაკეთებდი, უფრო რთული იყო. შრომის ფასად მოვიდა გამარჯვება. ნერვიულობისგან გავხდი, ბევრს ვჭამდი, მაგრამ დავიკელი.

რაღაცები არ მახსოვს. ჩემი სამეგობრო იქ იყო და მე ვიღაცები მახსოვდა, ვიღაცები არ მახსოვდა. ერთ მომენტში ცუდად გავხდი. ბოლო დროს სირთულეები გადავიტანე, ბევრი ვინერვიულე და ნერვები ძალიან კარგ მდგომარეობაში არ მაქვს. ამდენ ემოციას ველარ ვუძლებ. მახსოვს, წყალი მომიტანეთ-მეთქი, ვითხოვდი. ვერავინ ვერაფერს ვერ იზამდა. გული ამოვარდნაზე მქონდა. გადაღლილი, ამდენი გადატანილი ემოცია, თან გაიჭიმა გამარჯვებულის გამოვლენა“.




**- ლადო იქ იყო?**

- არ იყო. მანამდე ამბობდა, ფინალზე მოვალო. მაგრამ მერე მითხრა, რომ ვერ მოიგო, მერე მე დამაბრალებ და თავი დამანებე, სახლიდან გიყურებო. სულ მეუბნებოდა, ძალიან ოცნებებში ნუ წახვალ, ნუ გეგონება, რომ მოგების შანსი გაქვსო. ეგრეც არ არის-მეთქი, ვეუბნებოდი, მაქებენ და მოსწონთ ჩემი ნამღერი-მეთქი. დავამტკიცე, რომ მე შემიძლია.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვილი გამარჯვებამ მოადუნა

**„ერთ მომენტში ცუდად გავხდი. ბოლო დროს სირთულეები გადავიტანე, ბევრი ვინერვიულე და ნერვები ძალიან კარგ მდგომარეობაში არ მაქვს. ამდენ ემოციას ველარ ვუძლებ. მახსოვს, წყალი მომიტანეთ-მეთქი, ვითხოვდი“**



## „ლადომ მითხრა, რომ ვერ მოიგო, მერე მე დამაბრალებ და თავი დამანებე, სახლიდან გიყურებო. სულ მეუბნებოდა, ძალიან ოცნებებში ნუ წახვალ, ნუ გეგონება, რომ მოგების შანსი გაქვსო“

**EXCLUSIVE**



**- გიორგიმ თქვა, მე ბუს კვერცხები მოვიგეო.**

- გიორგისთვის ძალიან კარგი პროექტი იყო. შემოთავაზებები მიიღო. თავისი ნიჭიერება წარმოაჩინა. ამდენ მაყურებელს გაეცნო. მომღერლებს ხელფასი ჰქონდათ დანიშნული. კარგი იქნებოდა მასაც აელო რაიმე პრიზი, მაგრამ ლევან ჯავახიშვილი დარჩა ისე და გიორგიზე არ არის ლაპარაკი. კომფორტული იყო მასთან ერთად მუშაობა, კარგი ოჯახის შვილია, ზრდილობიანია. რომ მომილოცა და ჩამეხუტა, მახსოვს, ვყვიროდი, დავიხრჩე-მეთქი.

### საბა

„უნდა დავისვენო. საბა ორი წლისაა და ჯერ ქალაქგარეთ არ მყოლია გაყვანილი. ჩაფიქრებული მაქვს, სულ რომ ვკვდებოდე, ეს ზაფხული უნდა ვატარო - მთაშიც და ზღვაზეც. ორი თვე უნდა ვატარო, ზამთარს გაკაჟებული უნდა შევხვდეთ. პროექტში ყოფნის დროს საბასთვის რომ ვერ ვიცლიდი, ტელევიზორში არ მიყურებდა, აპროტესტებდა. ლადო ეძახდა, მოდი, ირინა მღერის, უყურეო, არ მოდიოდა, საერთოდ არ უნდოდა ეკრანისკენ გახედვა. შინაგანი პროტესტი ჰქონდა“.

**- როგორი დედა ხარ?**

- ყურადღებიანი, ყველაფერი მაინტერესებს, კვებით დაწყებული ჩაცმით დასრულებული. მიყვარს კულტურული ბავშვები. სულ რაღაცას ვასწავლით. ძიძა მეხმარება, ძირითადად მანანას გაზრდილია. დედობამ ყველაფრით შემცვალა. ადრე თუ მარტივად მწყინდა და ვბრაზდებოდი, ახლა ასე არ ვარ. ბავშვი უდიდესი სტიმულია. მინდოდა თბილი ყოფილიყო და ასეც არის. ჩემს დაზე გიჟდება, დაუნახავს მუხლი უჩანს, მივა და აკოცებს. მხარზე მკოცნის, თბილია საბა. ამით ყველას კიდევ უფრო აგიჟებს. ჩემს დისშვილებზე, თავის და-ძმაზე გიჟდება. ძმაზე გადარეულია, თან იკუ ასაკით შედარებით მისი ტოლია. დასაძინებლად რომ შევიყვანე და იკუს მოვაშორე, აღარ მიყვარხარო, ბღაოდა, იკუ მინდაო. ლადო კარგი მამაა. ეს მანამდეც ვიცოდი. ექიმთან თუ არიან წასაყვანი, ყველაფერს გადადებს და მიჰყავს. სხვა რამე რომ ვთხოვო, შეიძლება ვერ მოიცალოს, შვილებისთვის სულ სცალია. ლადომ ჰკითხა, საბა ვისიაო და იმან - ირინასიო, უპასუხა და ლადო გაბრაზდა. ენატლიკინა და მაიმუნი ბავშვია. დილით წამოყოფს თავს - თქვენთან მინდაო და გადმოგვიხტება საწოლში.

**„პროექტში ყოფნის დროს საბასთვის რომ ვერ ვიცლიდი, ტელევიზორში არ მიყურებდა, აპროტესტებდა. ლადო ეძახდა, მოდი, ირინა მღერის, უყურეო, არ მოდიოდა, საერთოდ არ უნდოდა ეკრანისკენ გახედვა. შინაგანი პროტესტი ჰქონდა“**

### სალონში

ორი წელია ირინას სალონი აქვს, ლამაზი და მყუდრო. მკაცრი უფროსი არ ვარ, არ გამომდისო, ამბობს.

„ლადოს ვთხოვდი, მომეცი კრედიტის აღების უფლება-მეთქი. სახლიც კრედიტით გვაქვს და ეს კიდევ დაგვემატებაო. შენ არ შეგაწუხებ-მეთქი ვუთხარი და რქებით გავიტანე, ვიწვალე და ყველაფერი ჩემით გავაკეთე. სხვანაირად მიყვარს ეს სალონი, ისევე როგორც მოგებული მანქანა.

**- სალონის მეპატრონე სულ ფორმაში იქნები.**

- ასეც არ არის. გადაცემის ჩაწერაზე ისე წავედი, ფრჩხილი არ მქონდა მოწესრიგებული. სალონი რომ არ მქონოდა, ასე არ წავიდოდი. აქ რომ ვარ, მეზარება. პროექტის დროს სულ ფორმაში ვიყავი და ახლა ერთიანად მოვეშვი.

**- მოკლე თმის ტალღაზე ხარ?**

- გრძელი თმის პატრონს სულ ვეუბნები, კარგი ნერვები გაქვთ-მეთქი. ყველას ვურჩევ, თავიდან მოიშორონ ეს სიმძიმე და შეიჭრან თმა. თვეში ერთხელ აუცილებელია შეჭრა ვიზუალისთვისაც და სიჯანსაღისთვის. რაც არ მეზარება, თმის შეჭრაა. მეზარება ნიღბის კეთება, თუ დამიყოლიეს და დამაწვინეს, მერე უკვე ვიკეთებ. ჯერ ინექცია და ბოტოქსი არ გამიკეთებია. როცა დამჭირდება, აუცილებლად გავიკეთებ.

**„არასდროს გავუნებივრებივარ. არ იცის საჩუქრების გაკეთება. არ მიყვარს ზედმეტი ყურადღება და მერე ამაზე საჯაროდ ლაპარაკი. საჩუქრებით არ განისაზღვრება ყველაფერი“**

### „არასდროს არ გავუნებივრებივარ“

ოთხი წელია ლადო ვარძელაშვილი და ირინა ონაშვილი ერთად არიან.

„რაც დრო გადის, შეყვარებული ადამიანები უფრო ძვირფასები ხდებიან ერთმანეთისთვის. ლადო ჩემი მეგობარი ისედაც იყო, ახლა გაცილებით ახლობელია ჩემთვის. მის გარეშე ვერ წარმომიდგენია. კარგი ადამიანია, დისკომფორტს არ გიქმნის, სასიამოვნო მოსაუბრეა, არ დაგძაბავს, ეჭვიანი არ არის. ყოფილა ასეც - ლადო თბილისში არ ყოფილა, მე დაბადების დღიდან გვიან მივსულვარ სახლში და რომ არ დაურეკავს, მიკითხავს - რატომ არ დამირეკე-მეთქი? ეჭვიანობა გრძნობას ანელებს. მე უფრო ვარ ეჭვიანი, მაგრამ საბაბი არ მქონია. ლადო პატიოსანი ადამიანია, ვენდობი, არ სჭირდება გაკონტროლება.

**- სადილებს ამზადებ? მწვანილებში ერკვევი?**

- არ მიყვარს კერძების მომზადება და ამ ბოლო დროს ლადო მსაყვედურობს, აიჩემა, გააკეთე რამე, დატრიალდიო. ბევრი დრო აქვს სახლში ყოფნისთვის, ჩემთვის და უნდა, რომ კერძები მოვუმზადო. შემიძლია ვხეხო, ვრეცხო, ოღონდ სამზარეულოში ნუ მატრიალებ. ძიძა როცა არ იყო, საბასთვის სუპებს რეცეპტით ვაკეთებდი. ჯერჯერობით დიდად არ ვიხიბლები სადილების მომზადებით. თვითონ მას კარგი ხელი აქვს, შეუძლია სადილის მომზადება. მშიერი არ დარჩება.

**- რა გაჩუქა ბოლოს?**

- არ მახსოვს. არასდროს გავუნებივრებივარ. არ იცის საჩუქრების გაკეთება.

**- ამ დროს გეგონება, რომ უყვარს შენი განებივრება.**

- არ მიყვარს ზედმეტი ყურადღება და მერე ამაზე საჯაროდ ლაპარაკი. საჩუქრებით არ განისაზღვრება ყველაფერი.

**- სიყვარული რა არის?**

- მეგობარია, რომელთანაც ურთიერთობა გსიამოვნებს და არასდროს გიქმნის დისკომფორტს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ხდება სოფი სააკაშვილს



## my View
### თამარ გონგაძე

„X ფაქტორის“ ამ წყვილზე არჩევანი არა მხოლოდ იმიტომ შევაჩერე, რომ ძალიან კარგი კონკურსანტები არიან და ბევრი გულშემატკივარი ჰყავთ, არამედ აგორებული ჭორისა თუ ხმების გამო, თითქოს მიშო ელიავასა და სოფი სააკაშვილს შორის რაღაც დაიწყო. ყველაფერი სოფის სელფმა გამოიწვია, რომელიც მიშოსთან ერთად კულისებში გადაიღო. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს კომენტარები - როგორ უხდებით ერთმანეთს, რა ხდება მიშოსა და სოფის შორის და ასე შემდეგ. „პრაიმტაიმთან“ წყვილმა აღიარა, რომ ეს მეგობრობაა, ერთად კომფორტულად ყოფნა, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. სოფის ქება სტეფანესგან გამიგია. მის ვოკალურ მონაცემებს და ყელს აქებს. მიშოზე არჩევანი გიორგი გაბუნიამ გააკეთა და გიორგი ბერიძე სახლში გაუშვა, წინა ლაივკონცერტზე კი ის ესემეს ლიდერი იყო. გაგაცნობთ ორივე კონკურსანტს.







**„მინდოდა მის კვალს გავყოლოდი“**

სოფი სააკაშვილი მომღერალ მაია ყარყარაშვილის ქალიშვილია. გვარს ამართლებს, 40 წლის ასაკში პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს. ბავშვობიდან დედის საგრიმიორო, კულისები, რეპეტიციები ახსოვს.

„დედის შემხედვარეს მინდოდა მის კვალს გავყოლოდი. ვათვალიერებდი ჟურნალებს, სადაც დედას ფოტოები იყო. მახსოვს, სამი წლის ვიქნებოდი, დედამ საკონკურსოდ სიმღერა ჩაწერა და ამ სიმღერაზე მეტირებოდა. ლირიკული სიმღერა იყო, ვგრძნობდი მუსიკას და ვტიროდი. ყველაფერზე ფორტეპიანოს იმიტაციას ვაკეთებდი და თითქოს ვუკრავდი. დედასთან ერთად ზაზა წურწუმიას სიმღერა ვიმღერე. ტექსტი მახსოვს, „პატარა ვარ, მეც გავიზრდები და მეც გავხდები დედა“, ამ სიტყვებზე ვტიროდი, არ მინდა დიდი ვიყო-მეთქი.



**- დღემდე ასეთი მგრძნობიარე ხარ?**

- არა, გავიყინე. უემოციო გავხდი. ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც გულუბრყვილო ადამიანი იჩაგრება. მეთერთმეტე კლასი რომ დავამთავრეთ, ჩემი იდეით სახალისო დიპლომები ჩამოვირიგეთ. მე „სწერვის დიპლომი“ გადმომცეს. პირდაპირი ვარ და ჰგონიათ, რომ „ვსწერვობ“.

**- მშობლების გაყრა განიცადე?**

- ვერ გავაცნობიერე, 4 წლის ვიყავი. დედამ ბებოსთან რომ გადამიყვანა, სად მივდივართ-მეთქი? არაფერი გამიგია. მეორე დღეს მამასთან და ბებოსთან გამიშვა კიდეც. ვერ მივხვდი, რატომ დავდიოდი აქეთ-იქით. მამა არ მომნატრებია, კვირაში სამ დღეს მასთან ვატარებდი. იმდენად დიდი ხანია არიან გაშორებულები, რომ მათი ერთად ყოფნა ვერც კი წარმომიდგენია. არც არასდროს მიოცნებია ერთად ტკბილად გვეცხოვრა. მშობლებს დღესაც ცივილური ურთიერთობა აქვთ, მაშინაც ასე დაშორდნენ. 15 წლის რომ ვიყავი, დედამ ამიხსნა, რომ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და უნდა გათხოვილიყო. მამამ მანამდე მოიყვანა ცოლი და შეგუებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან დედაც შექმნიდა ოჯახს. მქონდა პროტესტი და უაზრო რაღაცებზე ვებუტებოდი. ყურადღებას ვიქცევდი, მეგონა დედამ მომაკლო ეს ყურადღება. ცოტა ხანში დედის მეუღლისგან პირიქით გამძაფრებული ყურადღება რომ ვიგრძენი, მივხვდი, უაზრო პანიკა მქონდა.

**„მე ვამჩნევ. რომ ნერვიულობს სახე ელეწება. ხო თეთრია, ორჯერ თეთრდება და აქეთ-იქით იყურება“**

**დამოუკიდებელი**

11 წლისამ „პირველი არხის“ მუსიკალურ პროექტ „წარმატების ფორმულაში“ გაიმარჯვა. მას შემდეგ არც ერთ კონკურსში არ გამოჩენილა. როგორც მაია ამბობს, ინტერვიუში, შვილი გარდატეხის პერიოდში არ ამღერა და სწორადაც მოიქცა. სკოლის დასრულების შემდეგ შავი ზღვის უნივერსიტეტში საჯარო ადმინისტრირებასა და სახელმწიფო მართვაზე ჩააბარა. ნიუ-იორკში ბებიასთან სამი თვით ჩავიდა და ალბათ, ერთადერთი აბიტურიენტი იყო, ვისაც უმაღლესში ჩაბარება არ გახარებია.

„თხუთმეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი ნიუ-იორკში და იტალიაში, ქალაქ ვერონაში. ძალიან მომწონს მისი პატარა, აივნებიანი სახლები და ვიწრო ქუჩები. ამერიკის არსებობა რაც გავიგე, იმ დღიდან მიზიდავდა. დედის დედა ამერიკის მოქალაქეა. მასთან ჩავედი. მომხიბლა ყველაფერმა, ჩემთვის მისაღები მენტალიტეტით ცხოვრობენ. მანჰეტენზე სერიოზულ ფართებზე დავდიოდი, მეგობრები გავიჩინე. ძალიან კომუნიკაბელური ვარ. ამერიკაში შანსი გაქვს რაღაცას მიაღწიო. პირველ კვირაში მომეჩვენა, რომ ამ მეგაპოლისმა ჩამყლაპა. მერე მივხვდი, რომ იქ შანსი გაქვს. თუ ცოტა ჭკვიანი და შრომისმოყვარე ხარ, ბევრს მიაღწევ. ყველაფერი გიფასდება.

„ერისიონში“ ვცეკვავდი, მთიულურსა და აჭარულში სოლო პარტიებს. ერთი თვე საფრანგეთში, ერთი თვე გერმანიაში ვცხოვრობდი. მარტოს მიწევდა ასე გამგზავრება და საკმაოდ დამოუკიდებელი გავხდი. ამერიკის საელჩოში ჩემით მივედი და ათწლიანი ვიზა ჩამირტყეს.

19 იანვარი იყო, გამოვეწყვე და დედამ მკითხა, სად მიდიხარო. „X ფაქტორის“ კასტინგზე მივდივართ მე და თიკა ბალანჩინი-მეთქი. არ მეგონა აქამდე თუ მივიდოდი. ვფიქრობ, საქართველოში კიდევ დიდი ხანი არ შეიცვლება რაღაც-რაღაცები. მე, უბრალოდ, მინდოდა ხალხს გავეცანი. მაქსიმალურად ვეცდები, რომ ამერიკაში გავიკეთო კარიერა. ამ პროექტმა გამოცდილება მომცა. ფსიქოლოგიურად ბევრი რამისთვის ემზადები. ბევრი ადამიანი გავიცანი...

**„მეგონა ყველა ასეთი მუსიკალური იყო დედამიწაზე“**

მიშოს მამა, თემურ ელიავა კონსერვატორიის პროფესორი და კონცერტმეისტერია.

## სოფი: „უჩემობა განიცადე, მიშო? იმიტომ მომწერე? აი, რატო დამიმეგობრდა. კარგია, იგრძენი როგორია უჩემობა“

დედის მხრიდან შერეული სისხლი აქვს - ბაბუა გერმანელი, გვარად მარქსი იყო. ბებიას დედა პოლონელი ჰყავდა. ფრანგებიც ჰყავს შორეულ ნათესაობაში. ამიტომაც აქვს ასეთი არაქართული გარეგნობა. მამის ხაზს აფხაზეთში მივყავართ, ის სოხუმელია.



„ომს ერთი წლით გამოასწრო მამამ. ბებია და ბაბუა სვანეთის გავლით ჩამოვიდნენ. მე თბილისში დავიბადე. ძალიან ცუდია, რომ იქაურობა ნანახი არ მაქვს. სახლი მაიმუნების „პიტომნიკთან“ გქვონია და თურმე ჩვენ სახლში მაიმუნები მოძვრებოდნენ. ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა ვნახო სოხუმი, ჩვენი სახლი...“

მუსიკოსების ოჯახში გაზრდილს პატარაობიდან მთელი დღის მანძილზე ესმოდა გამების დაკვრა, ფორტეპიანოს ხმა. მიჩვეული იყო, დედასთან, მამასთან, ბებიასთან მოსწავლეები მოდიოდნენ.

„მქონდა სმენაც და ხმაც, მაგრამ რადგან ასეთ სახლში ვცხოვრობდი, მეგონა, ეს ძალიან ჩვეულებრივი რამ იყო და ყველა ასეთი მუსიკალური იყო დედამიწაზე. გიტარაზე დავდიოდი, ბენდი მყავდა - „Inner voice“. გიტარას ვუკრავდი, ერთხელაც წავუმღერე ვოკალისტს და მოიხიბლნენ - ეე, მოდიო და ასე ავმღერდი 15 წლის ასაკში. ბენდი ანდერგრაუნდში მოღვაწეობდა, „თბილისი ოფენ ეარზე“ გამოვედით. ვუკრავდით კლუბ „დივანში“. თუ ძალიან არ იჩალიჩე, ან ნაცნობი არ გყავს, ისე აქ არაფერი გამოგდის. ან „ლალები“ უნდა იმღერო, ე.წ. „მარშუტკის სიმღერები“. მარტო მუსიკა გამომდის, სხვა არაფერი. მინდოდა გავზრდილიყავი, როგორც ვოკალისტი და ამიტომაც მივედი „X ფაქტორში“. ამ პროექტამდე ბევრი რამ არ ვიცოდი და გაზრდისკენ ვამჩნევ ჩემს თავს და მიხარია. მზად ვიყავი, რომ წინ ნერვიულობებიც მელოდა. თურმე სცენაზე გასვლის წინ სახე წაშლილი მაქვს.

**სოფი:** - მე ვამჩნევ. რომ ნერვიულობს, სახე ელეწება. ხო თეთრია, ორჯერ თეთრდება და აქეთ-იქით იყურება.

**მიშო:** - რეპეტიციებზე ბოლომდე ვერ ვიხარჯები, პერფორმანსს არ ვდგამ. სიურპრიზებს არ ვაკეთებ. ენერგია ვერ მოდის. აი, სცენაზე სულ სხვაგვარადაა. საერთოდ სხვა ენერგია მოდის, არტისტიზმიც ემატება, სიმღერის კონტექსტიდან გამომდინარე.





**„რადგან ეს არხი გაჩვენებს, ცუდი არ ხარ“**

**- მენტორები რაზე აკეთებენ გათვლას, როგორ ფიქრობთ?**

**მიშო:** - მგონია, მენტორს აინტერესებს, როგორ იმუშავებს, რა პერსპექტივა აქვს კონკურსანტს, განვითარების პოტენციალი აქვს თუ არა. გიორგი ბერიძე ჩემზე ათჯერ ძლიერია ტექნიკურად. მაგრამ ჩამოყალიბებული არტისტია. მე არც გამოცდილება მაქვს, არც ჩემი შესაძლებლობები ვიცი წესიერად. ყოველ კვირას ისე ვირგებ ახალ-ახალ სიმღერას, მგონია, ვერ მოვირგებ. მერე აღმოვაჩინე, თურმე მთლად ცუდი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ა ᲓᲐ ᲛᲘᲨᲝ ᲔᲚᲘᲐᲕᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ?



**მიშო: „სოფის ტემბრი მომწონს, მსუყე ხმა აქვს. ტექნიკურად ძალიან ძლიერია. გოგონებში ყველაზე მეტად მომწონს“**

**„მე სპეციფიკური ხმა მაქვს, ან ძალიან მოსწონთ, ან ჰგონიათ, რომ ვღმუი“**

## სოფი: „არ მინდა აუტსაიდერებში მიშო ელიავასთან ერთად დგომა“

## EXCLUSIVE



**„გიორგი ბერიძე ჩემზე ათჯერ ძლიერია ტექნიკურად. მაგრამ ჩამოყალიბებული არტისტია. მე არც გამოცდილება მაქვს, არც ჩემი შესაძლებლობები ვიცი წესიერად. ყოველ კვირას ისე ვირგებ ახალ-ახალ სიმღერას, მგონია, ვერ მოვირგებ. მერე აღმოვაჩინე, თურმე მთლად ცუდი არ ყოფილა“**

არ ყოფილა.

**- ესემეს ლიდერად რომ გამოცხადდი, რა ემოცია დაგეუფლა?**

**მიშო:** - ფეხი ჩამეკეცა.

**სოფი**: - მე გამიხარდა და კულისებში ვხტუნაობდი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს, არავინ მოელოდა, რომ ესემეს ლიდერი მიშო იქნებოდა. მე მინდოდა, რომ გამხდარიყო. შენსას რომ გაისწორებ, ზუსტად ასე წამოვხტი სიხარულით.

**მიშო:** - კონკურსანტზე ხშირად აქვთ განწყობა - ეს მაგარია, ისედაც დაურეკავენო. ასე მოხდა გიორგი ბერიძის შემთხვევაში. ნიკა კიკნაძე ძლიერი მომღერალია. მებოც ძლიერია, ოღონდ თავის სტილში. მებოს სტილი უნიკალურია. ადვილად მოსასმენი ტემბრი აქვს. მე სპეციფიკური ხმა მაქვს, ან ძალიან მოსწონთ, ან ჰგონიათ, რომ ვღმუი.

**სოფი:** - ახლა ყველა უკვე ყველას კონკურენტი ვართ.

მიშო: - ბიჭებზე ყველაზე მეტი ზარი შემოვიდა. ყიფიანი ბიჭების გუნდში რომ ყოფილიყო, ბევრს გაგვყრიდა. ძალიან მაგარია. ასეთი პროექტების მუღამი ის არის, რომ „რუსთავი 2“-ზე რომ ჩანხარ, ბევრად მეტი ყურადღება გექცევა. რადგან ეს არხი გაჩვენებს, ცუდი არ ხარ. მერე ბევრი რამის გაკეთება ადვილია. ბევრი „საზიზღრად“ ნიჭერია ადამიანია, მაგრამ არ იცნობენ, ისინიც ვერაფერს აკეთებენ.

### „მხოლოდ ვმეგობრობთ“

სოფი და მიშო პროექტში დამეგობრდნენ. მაყურებლის რაღაც კატეგორიას ჰგონია, რომ შეყვარებულები არიან. ოთხი სკამის ტურზე მიშოს სოფის ნამღერი მოეწონა. მას შემდეგ ერთმანეთს გულშემატკივრობენ.

**მიშო:** - სოფის ტემბრი მომწონს, მსუყე ხმა აქვს. ტექნიკურად ძალიან ძლიერია. გოგონებში ყველაზე მეტად მომწონს. და ოთხი სკამის ტურზე რომ იმღერა, კომპლიმენტი ვუთხარი.

**სოფი:** - პირველ ლაივზე აუტსაიდერებში ერთად ვიდექით. ქორეოგრაფიში ერთ დროს გვაქვს რეპეტიცია. ხომ უნდა გავერთოთ, მუდოებივით ხომ არ ვიქნებით?!

**მიშო:** - სოფი ბევრს ლაპარაკობს, მე ველადავები და მერე სწყინს.

**სოფი:** - მეც, ვითომ ვუძაბავ.

**- თქვენ სიყვარულზე მას შემდეგ ატყდა ამბავი, რაც ერთად გადაღებული სელფები დადეთ.**

**სოფი:** - მანამდე „ფორსეიჯის“ წევრთან ბევრი ფოტო მქონდა გადაღებული, ნიკასთანაც მქონდა ფოტო, მაგრამ მიშოსთან ერთად გადაღებული ფოტო რახან პროფილზე დავდე და მერე მეორეც დავდე, ჩათვალეს სიყვარული დაიწყოო. აუ, რა საყვარლები ხართო და მიაკომენტარეს ფოტოები. მე კომენტარებით არ ვპასუხობ. ერთმა გოგომ დაწერა, სოფი ლამაზია, მაგრამ მიშო უფრო ლამაზიაო. ჩემმა დაქალმა მიუწერა, ბიჭები ლამაზები არა, სიმპათიურები არიანო.

**მიშო:** - ვერასდროს ვიფიქრებდი, ჩემზე ასეთი განხილვა თუ იქნებოდა. პოპულარობას რეალობად ვერ აღვიქვამ. მგონია, მხოლოდ „ფეისბუქზეა“ ასეთი აჟიოტაჟი. არ ვიფერებ ამ ყველაფერს. სერიოზულად როგორ აღვიქვა გვერდის - „ღმერთო მიშველე, გვესროლეს“ კომენტარი?

**სოფი:** - „მიშო, შენგან ბავშვი გვინდა“ - არის ასეთი გვერდიც. ერთ ას გოგოს უნდა შენგან შვილი. მიშომ ერთხელაც მიაწერა, ჩვენ შორის არაფერი არ ხდებაო. მე მასავით 13 ადამიანს არ გავცემდი პასუხს. ცნობილი რომ ხარ, ასეთ რამეებსაც უნდა ელოდე.

**- სიმართლე გვითხარით - ხართ შეყვარებულები?**

**ერთხმად:** - მხოლოდ ვმეგობრობთ და ვგულშემატკივრობთ ერთმანეთს.

**მიშო**: - პროექტის მერე არ ვაპირებთ ურთიერთობის გაწყვეტას. ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი ამ პროექტში. სარეპეტიციოდ მისულს გიორგი და ნიკა რომ არ მხვდებიან, „ვიგრუზები“, ცუდ ხასიათზე ვდგები.

**სოფი:** - იმიტომ მომწერე? უჩემობა განიცადე, მიშო? აი, რატო დამიმეგობრდა. კარგია, იგრძენი როგორია უჩემობა. ასე ვერთობით.

**მიშო:** - რომ არა „იქს ფაქტორი“ ამათ ვერ გავიცნობდი.

**სოფი:** - არ მინდა აუტსაიდერებში მიშო ელიავასთან ერთად დგომა.

**მიშო:** - ყველაზე საზიზღარია აუტსაიდერებში მეგობართან ერთად დგომა. გიორგი ბერიძესთან ერთად რომ ვიდექი, მეტირებოდა. ხალხს კიდევ ეგონა ფეხებზე მეკიდა ყველაფერი.

**სოფი:** - გვინდა ფინალში ვიყოთ, ოთხეულში.



**მიშო: „ყველაზე საზიზღარია აუტსაიდერებში მეგობართან ერთად დგომა. გიორგი ბერიძესთან ერთად რომ ვიდექი, მეტირებოდა. ხალხს კიდევ ეგონა ფეხებზე მეკიდა ყველაფერი“**



**„ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა, ვნახო სოხუმი, ჩვენი სახლი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიგა ლორთქიფანიძის წლისთავზე მიძღვნილი „მე ვხედავ მზეს“




**my View**
**თამარ გონგაძე**

**13 ივნისს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერაა, რომელსაც მიძღვნის სახე აქვს. შარშან ამ რიცხვში რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გარდაიცვალა. წლისთავზე ის თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც ბატონი გიგა (რეჟისორის ბოლო თანამდებობა იყო) გახლდათ, საზოგადოებას იმ სპექტაკლის პრემიერას სთავაზობს, რომელიც დიდმა მაესტრომ 1962 წელს დადგა და რევოლუცია მოახდინა. როდესაც სამწერლო ასპარეზზე ნოდარ დუმბაძე გამოვიდა, გიგა ლორთქიფანიძემ მასთან ერთად ორი ნაწარმოები - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ პიესად აქცია. ვინაიდან ამ დადგმას მიძღვნის სახე აქვს, თეატრის ამჟამინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ნაწარმოების სხვაგვარი ინსცენირება არ გააკეთა და გიგა ლორთქიფანიძის ინსცენირების ვერსია გამოიყენა. რეჟისორი სწორედ დიმიტრი ხვთისიაშვილია, მუსიკალურად სპექტაკლი ალექსანდრა ლორთქიფანიძემ გააფორმა, მხატვარი ლომგულ მურუსიძეა, კოსტიუმების მხატვარი კი მაია სხირტლაძეა. რეჟისორმა სპექტაკლზე ორ თვე-ნახევარი იმუშავა.**

**დიმიტრი ხვთისიაშვილი:** „ინსცენირება იმდენად კარგად არის გაკეთებული, რომ 1980 წელს ჩვენ თეატრში გიგა ლორთქიფანიძის ინსცენირებული ვერსია შალვა გაწერელიამ დადგა. ვინაიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა გიგა ლორთქიფანიძისთვის ბოლო თანამდებობა იყო, გადავწყვიტეთ ერთგვარი მიძღვნა გაგვეკეთებინა იმ დანატოვარის გამო, რაც მან ქართულ კულტურაში, თეატრსა და კინოში დატოვა. მან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ნოდარ დუმბაძის პოპულარიზაციის საქმეში. 1960 წელს მარჯანიშვილის თაეტრში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ და შემდეგ, 1962 წელს „მე ვხედავ მზის“ გამოსვლა რევოლუცია და თანამედროვე ქართული პროზის სცენაზე გადატანის დამკვიდრება გახლდათ. ჩვენი თეატრი ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს. ამდენად კომპლექსურად ბევრი მოტივი არსებობდა, რომ ეს კონკრეტული სპექტაკლი დადგმულიყო. მე, როგორც რეჟისორს, მაღელვებს ის თემები, რაც „მე ვხედავ მზეშია“, ჩემთვის ახლობელია და დღეს მნიშვნელოვანი. ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციის თემა გამძაფრებულია და ეს თემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია თანამედროვე საზოგადოებაში. სოფლის, როგორც ქვეყნისა და სამყაროს ერთიანობა ჭირსა თუ ლხინში, კარგად არის გამოკვეთილი ამ ნაწარმოებში“.

სპექტაკლში მოთამაშე მსახიობთა რიცხვი მრავალრიცხოვანია - 37 პერსონაჟს 74 მსახიობი თამაშობს. ყველა გმირს ორ-ორი მსახიობი ასრულებს. თეატრი სააბონენტო პრინციპით მუშაობს და დღის მანძილზე ძალიან ბევრი წარმოდგენა გადის. დღეში შესაძლოა ერთი სპექტაკლი ორჯერ ითამაშონ. მსახიობებს რომ არ გაუჭირდეთ, ამიტომაც არსებობენ დუბლები. საპრემიერო სპექტაკლზე სოსოია მამალაძეს ნიკა ფაიქრიძე ითამაშებს. ნიკამ რომეოს სახე შექმნა ლევან წულაძის „რომეო და ჯულიეტაში“. მეორე სოსოია გიორგი შავგულიძეა. ხატიას როლს ხატია მელქაძე და თამარ ცქვიტინიძე ასრულებენ. უფროსი თაობის მსახიობებიდან თითქმის ყველა თამაშობს: ქალბატონები - ბერტა ხაფავა, მაკა გოგიჩაიშვილი, ბატონები - პავლე ნოზაძე, ნუგზარ ყურაშვილი, ბესო მეგრელიშვილი, მერაბ რეკაშვილი. საპრემიერო ჩვენებაზე ქეთო მამიდის როლს ითამაშებს ნინო ლორთქიფანიძე, ბატონი გიგას ქალიშვილი. 6 ივლისს სეზონი ამ სპექტაკლით იხურება.



# თამარ ტეტიაშვილის

**my View**
**თამარ გონგაძე**



**ამ ქალბატონს „რუსთავი 2“-ში ყველა ღიმილით ხვდება და ესალმება. დადებითი აურის მატარებელია. თერთმეტი წელია ამ არხის ერთგული თანამშრომელია. მაყურებელი „კომედი შოუში“ სკეტჩებიდან იცნობს. ახლა კი ყველა ასე მოიხსენიებს - სალომე ტეტიაშვილის დედა. სალომე „X ფაქტორის“ ფავორიტ კონკურსანტთა სათავეშია, ხალხის რჩეულის სტატუსს ინარჩუნებს და ზედიზედ ორი ცოცხალი კონცერტია ესემეს ლიდერია. სალომეს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მისი ინტერვიუდან გემახსოვრებათ სალომეს გულისტკივილით ნათქვამი ფრაზა - ბიოგრაფიას ხომ ვერ შევიცვლი, არადა, ეს ხალხი უკვე ჩემზე აგრესიით ამბობს, რა გული წაიღო თავის გაჭირვებულ ცხოვრებაზე საუბრითო. არც მიკერებული იარლიყი მოსწონს - „X ფაქტორის“ კონკია. მაგრამ უკვე აღარ აქცევს ყურადღებას. თავს დამტყდარი ხალხის სიყვარული ყველაფერ ცუდს გადაწონის. აწმყო ნამდვილად სწყალობს სალომეს და დედა ამით უზომოდ ბედნიერია. თუმცა წარსული მუდმივად ჩვენთანაა, კუდში მოგვყვება და ხშირად გვახსენებს ხოლმე თავს. თამარ ტეტიაშვილმა ოჯახი სიყვარულით შექმნა. 16 წელი შვილი არ უჩნდებოდა. იმედი გადაწურული რომ ჰქონდა, სწორედ ამ დროს დაორსულდა და 38 წლის ასაკში სალომე გააჩინა. ქმარმა ამ დროს მიატოვა და სხვასთან წავიდა. ქალბატონი თამარი „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის თავის ცხოვრების მძიმე წლებს იხსენებს.**

### 16-წლიანი ლოდინის შემდეგ

**თამარ ტეტიაშვილი:** - დღესაც ქირით ვცხოვრობთ დოლიძეზე. მეც და ჩემი ყოფილი ქმარიც საგარეჯოდან ვართ. სოფლის მეურნეების სამმართველოში ერთად ვმუშაობდით, ის რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი იყო, მე საქმეთა მმართველი ვიყავი. ჩემზე 12 წლით უფროსი იყო. სამსახურებრივი რომანი გვქონდა. 19 წლისამ გავიცანი და 22 წლის ასაკში გავყევი ცოლად. 16 წელი შვილი არ მიჩნდებოდა. მოლოდინი? საკმაოდ დიდი დრო იყო გასული და აღაც ვფიქრობდი შვილი გამიჩნდებოდა თუ არა. შეგუებული ვიყავი ბედს, ღმერთს როგორც უნდა ისეა-მეთქი. ჩვეულებრივ ვაგრძელებდი ცხოვრებას.

**- ოჯახში ამის გამო იყო დაძაბულობა?**

- არ დაძაბულა ურთიერთობა. სალომეს მამა რბილი და თბილი ადამიანია. თექვსმეტწლიანი ლოდინის შემდეგ ერთხელაც სასწაულებრივად დავორსულდი. ცუდად ვგრძნობდი თავს, უცებ დავმძიმდი და უჰაერობამ შემაწუხა. ვერ წარმოვიდგენდი ამის მიზეზი თუ ორსულობა იქნებოდა. მაგრამ მოხდა ასეთი სასწაული და 38 წლის ასაკში გამიჩნდა ვეებერთელა სალომე, 4 კილო და 400 გრამი. ბუნებრივად გავაჩინე. ან მე უნდა გადავრჩენილიყავი ან სალომე. შოკი იყო. საკეისროს გაკეთების საშუალება არ მქონდა. ჩემი ორსულობის პერიოდში სალომეს მამას უკვე ვიღაც საყვარელი ჰყავდა, სახლიდან მიდიოდა, მოდიოდა. სამშობიაროში არ მოუკითხავს, ჩემებმა წამომიყვანეს. მერე მივხვდი, რომ ადრეც ჰქონდა ურთიერთობა იმ ვიღაცასთან. მერე უკვე დაიძაბა სიტუაცია. მისი წასვლა-წამოსვლა დიდხანს გაგრძელდა. სალომე როგორ წამოვზარდე დეტალებს არ ჩავუღრმავდები. თვეების რომ იყო, სად უნდა მემუშავა? კოსმეტოლოგია დავამთავრე. გარკვეული პერიოდი ვიმუშავე სახლში, დავიწყე ეპილაციის კეთება. გოგოები მოდიოდნენ და სახლში ვმუშაობდი. ასე თანდათან წამოიზარდა სალომე. ოთხი თვის იყო მხედრიონის პერიოდი რომ დაიწყო. ჯიხურებს მიჰქონდა ქალაქი, მეც ჯიხურში ვვაჭრობდი. სალომეს დამტოვებელი არ მყავდა და იქვე ეძინა ჯიხურში, ლეიბზე. იმ დროს პამპერსები არ იყიდებოდა, საფენებს ვუკეთებდი, ერთმანეთზე ჩავაწიკნიკებდი და მიმქონდა გამოსაცვლელად, მაწონს ვიმარაგებდი და მეორე დილამდე ჯიხურში მყავდა ბავშვი. ასე ვვაჭრობდი ჯიხურში და სალომეს დილიდან დილამდე ეძინა. მახსოვს, ერთხელ მხედრიონელი მომვარდა და მუშტები დაუშინა ჯიხურს, სპეციალურად გყავს ბავშვი მანდ, რომ არავინ დაგაყაჩაღოსო. მერე ბავშვს ბრონხების პრობლემა გაუჩნდა. იპოდრომის ზევით, ნაძვნარის ტყეში გაბმული მქონდა სარწეველა და იქ ეძინა მთელი დღე. ასე ვიყავით მთელი დღე მარტოები. რაღაც პერიოდი სამკერვალო ფაბრიკაში ვმუშაობდი. შვილის სარჩენად ცდილობ ყველგან შეყო თავი და იმუშაო, ოღონდ საჭმელი არ მოაკლო და უზრუნველყო.

### „შემიძლია დიდი სიყვარული და დიდი სიძულვილი“

„სალომე ექვსი წლის ხდებოდა, მამამისმა რომ ნახა. მანამდე უმნიშვნელოდ გვეხმარებოდა. წავიდა, წამოვიდა, არასდროს მიკითხავს - სად იყო, ვისთან. არ გავკიდებივარ. ვისაც მე არ ვუნდივარ, კარგად იყოს, არ ჩავეძიები. ზედმეტია ჩხუბი, აყალ-მაყალი და გამოძიება. მე არაფერი მიკითხვას, თვითონ მოდიოდა და თავს იმართლებდა. ბუნებით ძლიერი ვარ, შემიძლია დიდი სიყვარული და დიდი სიძულვილი. ის არ მძულს, მაგრამ ჩვენი ისტორია შევფუთე და ჩავმალე ჩემში, სადღაც სიღრმეში. მას შემდეგ მთლიანად



**„სალომე ექვსი წლის ხდებოდა, მამამისმა რომ ნახა. „მამა, რაიონში საქმე მაქვს, ხვალ უკან ჩამოვალ და სკოლაში წაგიყვანო“. იმ „ხვალ“-ის შემდეგ 14 წელი გავიდა. დღემდე არ გამოჩენილა. არასდროს მიკითხავს - სად იყო, ვისთან. არ გავკიდებივარ. ვისაც მე არ ვუნდივარ, კარგად იყოს, არ ჩავეძიები. ზედმეტია გამოძიება“**

შვილზე ვარ გადართული. რამდენადაც შევძლებ, მინდა ჩემს შვილს ნორმალური ცხოვრება მოვუწყო. მინდა კარგად იყოს“.

**- ბოლოს როდის ნახეთ ყოფილი ქმარი?**

- ექვსი წლის იყო სალომე, რომ მოვიდა და შვილს უთხრა - მამა, რაიონში საქმე მაქვს, ხვალ უკან ჩამოვალ და სკოლაში წაგიყვანო. იმ „ხვალ“-ის შემდეგ 14 წელი გავიდა. დღემდე არ გამოჩენილა.

**- სალომე გისვამდათ შეკითხვებს - სად არის მამა? როდის მოვაო?**

- არაფერი არ უკითხავს. შინაგანად განიცდიდა, მაგრამ არაფერი გამოუხატავს. ახლაც ცდილობს, რომ არ გამოხატოს, არ უნდა რომ გაღიზიანდეს და მე გამაღიზიანოს. საკმარისია ჩემზე ვინმემ რამე თქვას, სალომეს ვეღარ ვცნობ ისეთი ხდება.

### მსუქანი, მუდო, ბუტუსურა

**- როგორი ბავშვი იყო სალომე?**

- ბუტუსურა, მუდო იყო, ძალიან მსუქანი და ხვეული თმა ეყარა, გახვეულს დავდებდი საწოლზე და ჩუმად იყო. ზამთარში რომ არ გამყინვოდა, დავაძინებდი თუ არა, იპოდრომის ტყიდან შეშა მომქონდა. წვიმაში, თოვლში, ჭყაპში ურიკაზე ტომრით შეშას დავდებდი და სახლში მომქონდა. სალომე გაუნძრევლად მხვდებოდა. დამოუკიდებელ ბავშვად გაიზარდა. ბაღში მივიყვანე, იქ დავიწყე მუშაობა, სკოლაში მივიყვანე იქ ვმუშაობდი. სკოლაში სწავლობდა, როცა „რუსთავი 2“-ში დავიწყე მუშაობდა. მოდიოდა ტელევიზიაში იჯდა და მეცადინეობდა. არასდროს მისაყვედურია. ახლახან ვუთხარი, ნუ აგვიანებ, ამდენი ხანი გართობა არ გინდა, გეყოფა-მეთქი და გაღიზიანდა, ერთადერთხელ თქვა და ცრემლებიც წამოუვიდა - მარტო გავიზარდე და ახლა გამიშვი, თავისუფლად ვიყოო. მე ეს ყველაფერი მაკლდაო. ახლა გამოთქვა გულში ჩაბუდებული და გამოუშვა.

8 წელი იარა ვიოლინოზე. ერთხელაც დადო ვიოლინო და აღარ დაუკრავს. მთელი ამ ხნის განმალობაში მღეროდა, აქტიური იყო სკოლაში. მეათე კლასში გაცვლითი პროგრამით წავიდა გერმანიაში, კონცერტები ჰქონდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი, ვინც ვოკალის პედაგოგთან სიარულის ორი თვე დაუსპონსორა. მერე შეგვიწყდა დაფინანსება. განვადებით კომპიუტერი გამოვუტანე. მთელი დღეები ატარებდა კომპიუტერთან და სულ მღეროდა. გავიდა „ჯეოსტარზე“, „ვოისზე“, გამოვარდა... ერთხელ მეგობარმა, ბესო როსტიაშვილმა „იუთუბზე“ სალომეს ნამღერი დადო. აქედან წამოვიდა სალომესადმი ხალხის სითბო, რაღაც წრეში ცნობილი გახდა. „იქს ფაქტორში“ მივიდეთ-მეთქი, დავუჩემე. პროექტები არ გამაგონოო, ამბობდა. აი, ასე რაღაცნაირად მოვიდა დღემდე და ხალხის სიყვარულით და დახმარებით მიდის. ხალხის სიყვარული ყველაზე მაგარია. კონკურსში ძლიერი ბავშვები არიან, ძალიან მომზადებულები.

**- გულწრფელია და თავის თავზეც გულწრფელად ყვება.**

- გულწრფელად ყვება, არ იტყუება და ხალხმა ეს ცუდად გაიგო - სპეკულირებსო, თავს გვაცოდებსო, რატომ, ხალხნო? ეს ხომ რეალობაა?! ხომ არ ვიგონებთ? ძალიან მახარებს ის, რომ ჩემი შვილი გულწრფელია, ვინ რას იტყვის იმის იქით, არ მაინტერესებს. მე შემიძლია გავჩერდე და რაღაც არ ვთქვა, სალომეს არ შეუძლია. ზის და კითხულობს კომენტარებს, გამოხმაურებებს, პასუხებს სცემს. ვკამათობთ ყოველდღე, არ წაიკითხო, ნუ ეხმაურები, არ გასცე პასუხი-მეთქი, ვეუბნები. ბოლოს თითქოს მინელდა, თორემ გააფთრებული სცემდა პასუხებს ყველას. წაშალე, ამოიღე, რატომ დადე? ზღვაზე გადაღებული ფოტო დაუდო ერთმა სააგენტომ და დაასათაურეს - სალომემ გაიხადაო. სანამ არ წააშლევინა, ისეთი ამბები აუტეხა... ამ ყველაფრის ფონზე ბევრი დადებითი ემოცია მოდის და ეს ყველაფერზე მაღლა დგას.

### „არაფერი იკარგება“

ქალბატონი თამარის „კომედი შოუს“ სკეტში გამოჩენა ნიკა გრიგოლიას და ნიკა არაბიძის იდეა ყოფილა. სალომეს არ მოსწონდა დედის არასერიოზულ როლში ნახვა.

„ცირკის არენაზე უნდა მეხტუნავა, სულელური სკეტჩში. სალომე ამის წინააღმდეგი იყო. მე მაინც შევასრულე. არ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# - მარტოხელა დედის მძიმე ისტორია

„16-წლიანი ლოდინის შემდეგ ერთხელაც სასწაულებრივად დავორსულდი. უცებ დავმძიმდი და უჰაეროებამ შემაწუხა. 38 წლის ასაკში გამიჩნდა ვეებერთელა სალომე, 4 კილო და 400 გრამი. ჩემი ორსულობის პერიოდში სალომეს მამას უკვე ვიღაც საყვარელი ჰყავდა. სამშობიაროში არ მოუკითხავს, ჩემებმა წამომიყვანეს“

„ბუნებით ძლიერი ვარ, შემიძლია დიდი სიყვარული და დიდი სიძულვილი. ის არ მძულს, მაგრამ ჩვენი ისტორია შევფუთე და ჩავმალე ჩემში, სადღაც სიღრმეში. მას შემდეგ მთლიანად შვილზე ვარ გადართული“





„შვილის სარჩენად ცდილობ ყველგან შეყო თავი და იმუშაო, ოღონდ საჭმელი არ მოაკლო და უზრუნველყო“

EXCLUSIVE

„არაფერი იკარგება. ბევრი ვიწვალე, მაგრამ ყველაფერ ამად ღირდა. მე სალომეს მამას ვუთხარი - მოვა დღე და მე და შენი შვილი დაგანახებთ, რომ მარტოც შეიძლება ადამიანმა გზა გაიკვლიოს და რაღაცას მიაღწიოს-მეთქი“



მივაქციე ყურადღება. ოთხჯერაც გამათხოვეს. ძალიან ვხალისობ. მერე მაია ასათიანთან „პროფილში“ ვიყავი. ესთეტიკური მედიცინის ცენტრში გამალამაზეს. საშუალება რომ მქონდეს კიდევ გავიკეთებდი ბოტოქსს. მომეწონა მისი შედეგი. მერე იყო ნანუკა, ახლა ისევ „პროფილში“ ვიქნებით და ასე...

**- როგორ ფიქრობთ, ამდენი გაჭირვების შემდეგ ღმერთმა ხალხის ასეთი სიყვარული ჯილდოდ გარგუნათ?**

- ნამდვილად. არაფერი იკარგება. ბევრი ვიწვალე, მაგრამ ყველაფერ ამად ღირდა. ალბათ, ცხოვრების პრინციპიც მქონდა. მე სალომეს მამას ვუთხარი - მოვა დღე და მე და შენი შვილი დაგანახებთ, რომ მარტოც შეიძლება ადამიანმა გზა გაიკვლიოს და რაღაცას მიაღწიოს-მეთქი. გვერდით საყრდენი რომ გყავს, მოშვებული ხარ. როცა ეს საყრდენი გეცლება და არავის იმედზე აღარ ხარ, მობილიზდები და ყველაფერს აკეთებ და შეიძლება ჯინაზეც, რომ დაუმტკიცო.

**- სალომესაც ვკითხე, რომ არა ასეთი განვლილი ცხოვრება, ასეთი „ჟილკიანი“ და ფხიანი იქნებოდი-მეთქი? არაო.**

- ბუნებრივია, არ იქნებოდა ასეთი მეომარი ხასიათის. მარტო რომ ხარ, ყველანაირად იქოქები. ყველას თავისი ოჯახი და პრობლემა აქვს.

**- საგარეჯოში ჩადიხართ?**

- სალომე ხშირად დადის, მე სამსახურის გამო ვერ ვახერხებ. ახლახან გამოჩნდნენ მამამისის დეიდაშვილები, სალომეს ეხმიანებიან, შენი ნახვა უნდა შენ ძმას და წინააღმდეგი ხომ არ იქნები ერთად რომ გნახოთო? სამჯერ დაურეკეს, მაგრამ არავინ გამოჩენილა.

**- სალომე ნახავს?**

- ნახავს. მე არ ვერევი, როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოს. სალომე იმაზე ღიზიანდება, რადგან ახლა გამოვჩნდი, ახლა მოუნდათ ჩემი ნახვაო, თუმცა თანახმაა ნათესავები მიიღოს.



**- დრამატული მომღერალია, მთელ განვლილ ცხოვრებას სიმღერაში დებს.**

- ამას მე ყველაზე მეტად ვგრძნობ. ბუნებრივად აქვს ეს დრამატიზმი. სანამ გამოცხადდებოდა, ვინ იყო ესემეს ლიდერი, მხოლოდ მე ვხედავდი და ვგრძნობდი, რას განიცდიდა შინაგანად სალომე. თვალებში ეტყობა სათქმელი - რაც მინდოდა, იმას ვაკეთებ! უმტკიცებს მამის მხარეს, რომ მიაღწია. არ მეგონა სცენაზე ასე კარგად თუ წარმოჩინდებოდა ეს ყველაფერი სახეზე, თვალებში. ჩაკეტილი არის, მაგრამ ზომიერად. მეგობარი ბიჭები ჰყავს.

**- შეყვარებულს დავშორდიო, მითხრა.**

- მშობელს გინდა შვილი კარგად იყოს. ის ბიჭი არ იყო დასაყრდნობი ადამიანი. ჩუმად გადავიტანე ნერვიულობა. მიხარია, რომ დაშორდნენ. ეს დაშორება რომ არა, სალომე ასე წინ ვერ წავიდოდა. ამ ფაქტორმაც იმოქმედა. ჟილკა გაუჩნდა, მამას დაუმტკიცა, ამ ბიჭს დაუმტკიცა, რომ შეუძლია ასეთი რამის გაკეთება. სალომე ძალიან მაგარია. მე ასეთი ვერ ვარ. შეიძლება მებრძოლი ვიყო, მაგრამ ვერავის ჯინაზე ვერ გავაკეთო. კონფლიქტს ვერიდები, უსიამოვნება არავისთან მომსვლია. ალბათ, ამდენი ხანიც ამიტომ ვარ ერთ სამსახურში. დიდი იმედი მაქვს, ხალხი დაინახავს ამ ყველაფერს და გვერდში დაუდგება.

## „თავი უნდა დაქოქო“

**- პირადი ცხოვრება ჩაკეტილი გაქვთ?**

- იქ ჩავკეტე ჩემი პირადი, როცა მამამისმა კარი გაიხურა და წავიდა. ვერ ვიფიქრებდი თუ საბოლოოდ წავიდოდა და ვერც იმას ვიფიქრებდი, სალომეს სხვა მამა შეიძლებოდა ჰყოლოდა. წამოძახებას - შენი შვილი, შენმა შვილმა - ვერავისგან ავიტანდი, საუკეთესო მამაკაცისგანაც კი. ჩემი პირადული სადღაც ჩავკეტე, ყველანაირად ჩემი შვილისთვის ვარსებობ. ხუმრობით ვთქვი, ალბათ, მოვა დრო, შვილს გზაზე რომ დავაყენებ, თავს მივხედავ-მეთქი. ხანდახან ხომ შეიძლება წლებშიც იფიქრო რამეზე :)

**- რა რჩევას მისცემდით მარტოხელა დედებს?**

- მთავარია გჯეროდეს, გწამდეს და იყო მებრძოლი. არანაირ სამსახურზე არ უნდა თქვა უარი, არ უნდა გეთაკილებოდეს. ჩემზე უთქვამთ - როგორ, ალაგებს? კი არ ალაგებს, „კომედი შოუს“ მსახიობია და პიარისთვის ესეც სჭირდებაო. მთავარია, შენი შვილი იყოს კარგად და არანაირი სამსახური სათაკილო არ არის. ზოგი ცუდს აკეთებს და თავს ისე ირჩენს, ღმერთმა დამიფაროს, ზოგი სხვანაირად შრომობს. მებრძოლი და მიზანდასახული უნდა იყო. ფარხმალი თუ დაყარე, ყოველთვის ჩაგძირავს. პირიქით, თავი უნდა დაქოქო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N22 (272) ორშაბათი, 9 ივნისი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.pt



# მიშო ელიავა მარქსის შთამომავალია



## რა ხდება სოფი სააკაშვილსა და მიშო ელიავას შორის?

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება